ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

# ახალი უნივერსიტეტი

31 მარტი, სამშაბათი, 2015 წ., №4


## ნომერში


■ სენატის წევრმა სტუდენტებმა საუნივერსიტეტო საზოგადოებას მორიგი ანგარიში ჩააბარეს

გვ. 2

■ როგორია და როგორი უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლება

გვ. 4

■ ვებომეტრიქსის რანჟირებით საქართველო მსოფლიოში 87-ეა

გვ. 6

■ სტუდენტსა და პროფესორს შორის დავის საკითხზე ეთიკის კომისია მუშაობს

გვ. 7

სტუდ-ეტიპი

მე-8-9 გვ.


# რექტორის მორიგი შეხვედრა სტუდენტებთან

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა სტუდენტებისთვის მიცემულ პირობას ასრულებს და პირადად ხვდება უნივერსიტეტში არსებული პრობლემების გადაჭრით დაინტერესებულ სტუდენტებს. 18 მარტს გაიმართა მორიგი ასეთი შეხვედრა, რომელზეც რექტორმა და ფაკულტეტების წარმომადგენლებმა სტუდენტების კითხვებს უპასუხეს.**

### რატომ ინგლისური ენა?

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა უნივერსიტეტში უცხო ენის სწავლების პრობლემას. კერძოდ, იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი შოთა ქემაშვილი დაინტერესდა — რატომაა აუცილებელი მაგისტრატურაზე ინგლისურის ჩაბარება მაშინ, როცა სხვა უნივერსიტეტები ამას არ ითხოვენ. „იქნებ ყურადღება მიექცეს იმას, თუ როგორ ტარდება ინგლისურის ლექციები ბაკალავრიატში.

ამ ორი წლის განმავლობაში ვერ იღებ იმ ცოდნას, რომლითაც მერე მაგისტრატურაში უნდა ჩააბარო. მაგისტრატურაზე არ ბარდება რუსული ენა. ჩვენი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ გასაგებია, მაგრამ იქნებ ეს დამოკიდებულება გადაიხედოს?“ — განაცხადა მან.

მე-5 გვერდზე

## ის პედაგოგები იქნებიან ყველაზე ხისტი ამ სისტემის წინააღმდეგ, ვინც სწავლების გარდა არაფერს აკეთებს

### ინტერვიუ პროფესორ იაგო კაჭკაჭიშვილთან

*თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის გასააქტიურებლად ახალი რეგულაციების შემოღებამ პროფესორებს შორის არაერთგვაროვანი რეაქციები გამოიწვია. რა აქცენტებს აკეთებს სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ახალი წესის შემოღების თაობაზე? რა პოზიციები აქვს მას იმ პროფესორთა რეაქციებზე, რომელთა ერთი ნაწილიც თვლის, რომ ახალი რეგულაციები აკადემიურ თავისუფლებას ზღუდავს? რა მოსწონს და რა — არა ახალ წესში, რომელიც ძალაში 2017 წლიდან შევა?*

მე-3 გვერდზე

## კანონი, რომელიც უნივერსიტეტებს ყოფილი თანამშრომლების დაფინანსების უფლებას აძლევს, მიღებულია

### გლიც-ინტერვიუ პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარესთან ვანო კიღურაძესთან

*საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო კანონი, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ყოფილი თანამშრომლებისთვის მატერიალური დახმარების გაწევის უფლებას აძლევს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კანონის შესაბამისად, უმოკლეს ვადაში დაიწყება იმ წესის შემუშავება, რომელიც დასაფინანსებელ თანამშრომელთა შერჩევას უზრუნველყოფს.*

მე-3 გვერდზე

# სენატის წევრმა სტუდენტებმა საუნივერსიტეტო საზოგადოებას მორიგი ანგარიში ჩააბარეს

## რა განიხილეს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი 2 სტუდენტი ლევან ლორთქიფანიძე და ირაკლი კუპრაძე თავის ამომრჩეველს დაჰპირდა, რომ სისტემატურად გააცნობდნენ სენატის სხდომის ანგარიშებს. უკვე მეხუთე სხდომაა, რაც ისინი სოციალურ ქსელში აქვეყნებენ ამ ანგარიშს, რითაც დაინტერესებულ სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას – რა საკითხები განიხილა სენატმა და რა გადაწყვეტილება მიიღო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ.*

*გთავაზობთ* ***ლევან ლორთქიფანიძის*** *და* ***ირაკლი კუპრაძის*** *ანგარიშს 16 მარტს გამართული სენატის მეხუთე სხდომიდან:*

„შეკრებაზე განიხილებოდა უნივერსიტეტთან დაკავშირებული 6 საკითხი:

1) სენატმა განიხილა საკითხი ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“.

აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული ეს დადგენილება ერთხმად დამტკიცდა, რის შედეგადაც უნივერსიტეტში შეიქმნა დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული ,,ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი”, რომელიც დაფინანსებულია საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ადმინისტრაციის მიერ, დაფინანსება შეადგენს 60 000 ლარს.

ცენტრის მუშაობა მიმართული იქნება ქართულ-ოსური ურთიერთობების, კონფლიქტისა თუ კულტურული ასპექტების შესწავლაზე, სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებაზე, კვლევა-კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობასა და საზოგადოებაში თემის მიმართ ინტერესის ზრდისკენ.

ქართულ-ოსური სამეცნიერო კვლევითი ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის ბაზით, სიმბოლიკით და თავისი საქმიანობით პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოსა და კანცლერის წინაშე.

2) უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილებების დამტკიცება;

ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების დაზუსტების გამო, აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებების შეტანა. კერძოდ, 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილება, შემოსავლების ნაწილში, განპირობებულია 2014 წლის გარდამავალი ნაშთის დაზუსტებით, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების დაზუსტებით, ნაშრომის — „ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის“ გამოცემისათვის თანხების გამოყოფით, ასევე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების და ,,საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სწავლების ხელშეწყობის ფარგლებში“ თანხების გამოყოფით.

ზემოხსენებული ცვლილებებით შემცირდა ხარჯები გრაფებში: შრომის ანაზღაურება, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, მივლინება, მომსახურების ხარჯები, ოფისის ხარჯები და ა.შ

ამდენად, 2015 წლის თსუ-ის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში განისაზღვრა 87 170 413 ლარით, ხოლო გადასახდელები (მთლიანი ასიგნებანი) -83 999 365 ლარით.

ვინაიდან სადავო საკითხები არ ყოფილა, ბიუჯეტის ცვლილება სენატის მიერ ერთხმად დამტკიცდა.

3) ერთადერთი საკითხი, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სხდომაზე, შეეხებოდა უნივერსიტეტის საკუთრების მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების წარმოებასა და უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობაზე თანხმობის გაცემას. უდავო იყო მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე სამშენებლო ნებართვის გაცემის საკითხი, რომელსაც ყველა ეთანხმებოდა, თუმცა დავის საგანი გახდა და თსუ-ის საკუთრებაში არსებული ტერიტორიით სარგებლობის ნებართვის გაცემა მიწის ნაკვეთზე, რომელიც 60 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

ჩვენ გვქონდა კანონით დადგენილი ვალდებულება, გაგვეცა სარგებლობის ნებართვა, რადგანაც მათ სხვა შემთხვევაში არ ეძლეოდათ საკუთარ ნაკვეთთან წვდომის საშუალება, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს არ უნდა მომხდარიყო უსასყიდლოდ. კონკრეტული ტერიტორია, ნებართვის გაცემის შემთხვევაში, გახდება სამოძრაო-შესასვლელი გზა მომინჯავე მეზობლისთვის და ეს ტერიტორია უნივერსიტეტისთვის გამოუსადეგარი იქნებოდა. მოვითხოვეთ, უნივერსიტეტს არ გაეცა უსასყიდლოდ ნებართვა საკუთარი ტერიტორიით სარგებლობაზე, რაზეც კამათის შემდეგ მოხდა შეთანხმება. შესაბამისი სამსახურები კანონით დადგენილი წესით დათვლიან სარგებლობის სანაცვლო კომპენსაციის შესაბამის ღირებულებას და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება მისი დადასტურება. თანხმობა მშენებლობაზე გაიცა უმრავლესობით, წინააღმდეგ ხმა მისცა სენატის ორმა წევრმა.

4) კენჭი ეყარა და დამტკიცდა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და სტრუქტურა, დადგინდა დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო ინსტიტუტები, განისაზღვრა ფაკულტეტის სტატუსი და კათედრები. დებულება მოყვანილია თანხმობაში უნივერსიტეტის ყველა მოთხოვნასთან და სხვა ფაკულტეტების დებულების სტრუქტურასთან. დამტკიცდა ერთხმად.

თსუ-ის სენატის დამოუკიდებელმა სტუდენტმა წევრებმა რექტორსა და იურიდიული სამსახურის უფროსს ახალი რეგულაციის დაწესება შევთავაზეთ. რეგულაციის საშუალებით უნდა შეიზღუდოს მოვალეობის შემსრულებელთა განუსაზღვრელი ვადით არჩევის შესაძლებლობა. ამასთანავე, უნდა გამოირიცხოს იმგვარი სიტუაციები, როდესაც ფაკულტეტი წლების განმავლობაში სტაბილურ ხელმძღვანელს ვერ ირჩევს. შეგახსენებთ, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს 4 წლის განმავლობაში დეკანი არ ჰყავდა. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დღევანდელი დეკანი არჩევამდე 6 წლის განმავლობაში დეკანის მოვალეობის შემსრულებელი გახლდათ. ვფიქრობთ, ამგვარი ლაფსუსები მომავალში უნდა გამოირიცხოს. რექტორი ინიციატივაზე რეაგირებას დაგვპირდა. ვიმედოვნებთ, რომ იგი საკუთარ პოზიციას არ დაივიწყებს.

5) მეხუთე საკითხად განიხილებოდა თსუ-ის გამომცემლობის დებულების დამტკიცების საკითხი, რომელშიც დაიხვეწა ტექნიკური დეტალები, ახალი დებულება ერთხმად იქნა მიღებული.

ასევე ხაზგასმული იყო გამომცემლობის პრობლემების შესახებ, გამოცემული ნაშრომების დაგვიანებასთან, რიგებთან და ნაკლებპროდუქტულობასთან დაკავშირებით, თუმცა, გამომცემლობის წლევანდელი ბიუჯეტი გაიზარდა ორჯერ, რაც გაზრდის გამომცემლობის მუშაობის სიხშირესა და ხარისხს.

6) ბოლო საკითხად განხილული იყო ტექნიკური საკითხი უნივერსიტეტის მიწის ნაკვეთზე (ფიზიკის ინსტიტუტი) არსებული საკანალიზაციო ქსელის ჩანაცვლებაზე უკეთესი ხარისხისა და კვეთის მქონე მილით, რომელზეც საჭირო იყო უნივერსიტეტის ნებართვის გაცემა. მომხსენებლისგან მოვისმინეთ ინფორმაცია და, ვინაიდან არ იყო სადავო საკითხები, უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ერთხმად მივიღეთ გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის შესახებ.

P.S სენატის წევრები მოუთმენლად ველით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას დოქტორანტებისათვის სწავლის გადასახადის ძველი ნიშნულის შენარჩუნების შესახებ. შეგახსენებთ, ჩვენი თხოვნის შემდეგ აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტს გადასახადის შენარჩუნების რეკომენდაცია მისცა (იხ. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი” 2015 წლის მესამე ნომერი, გვ. 2 )”.

### გზავნილი რექტორს

# ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტების განცხადება სწავლის გადასახადის თაობაზე

*გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 17 მარტის ნომერში დაიბეჭდა წერილი — „აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტს გადასახადის გაზრდის თაობაზე საკითხის გადახედვა ურჩია“, რომელშიც საუბარი იყო თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტების მოთხოვნაზე — შეცვლილიყო ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება სწავლის გადასახადის ,,გაზრდის” შესახებ. ამ საკითხზე მათ წერილით მიმართეს უნივერსიტეტის რექტორს აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და აკადემიურ საბჭოს, რასაც მოჰყვა რეკომენდაცია ფაკულტეტის ადმინისტრაციისადმი, რომ კიდევ ერთხელ დაბრუნებოდნენ ამ საკითხს და გადაეხედათ – რამდენად ოპტიმალური იყო დოქტორანტებისთვის ყოველ დამატებით სემესტრზე გადასახადის გაზრდა (600-დან 3150 ლარამდე).*

*18 მარტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში რექტორის სახელზე შევიდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტების განცხადება.*

***უცვლელად გთავაზობთ განცხადების ტექსტს:***

„მოგახსენებთ, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება (რომელიც მიღებული იქნა 2014 წლის დეკემბერში), რომლის თანახმადაც, დოქტორანტებს დამატებითი სემესტრის აღება საგრძნობლად გვიძვირდებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ დაწერილი იყო განცხადება, სადაც თქვენ მოგმართეთ დახმარებისთვის. მადლობას გიხდით ჩვენი თხოვნის გათვალისწინებისთვის. ამ განცხადებით გვსურს ბოდიში მოვუხადოთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს და ჩვენს ხელმძღვანელებს, რადგან ჩვენმა წერილმა ისინი უხერხულ სიტუაციაში ჩააყენა და, ასევე, კიდევ ერთხელ გვსურს დაბეჯითებით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი თხოვნა ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ თანხის პირვანდელი სახის დაბრუნებას. შესაბამისად, ჩვენ არანაირი პრეტენზია არ გაგვაჩნია დეკანთან, პროფესორ-ხელმძღვანელებთან და, ზოგადად, უნივერსიტეტთან. პირიქით, გვეამაყება, რომ ჩვენ ვართ თსუ-ის დოქტორანტები და სწორედ ჩვენი ხელმძღვანელების დამსახურებაა ის, რასაც დღეს წარმოვადგენთ. მათი დახმარებით ჩვენ გვაქვს ნაშრომები იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში, რაც გვეხმარება გრანტების მოპოვებაში, უცხოეთის უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებაში, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენი სურვილით ხორციელდება და სასარგებლოა ჩვენი მომავლისთვის. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დეკანი გვიწევს ფინანსურ დახმარებას კონფერენციებში მონაწილეობისთვის. ჩვენ კარგად გვესმის, რომ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება სწორედ ჩვენს უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევების და გამოქვეყნებული სტატიების საფუძველზე ხორციელდება. ეს ყველაფერი კი ჩვენი ხელმძღვანელების დამსახურებაა და სწორედ ჩვენი დაგროვილი გამოცდილებისა თუ გამოქვეყნებული სტატიების გამო ვახერხებთ სერიოზულ კონკურსში მონაწილეობის მიღებას და კონკურენციის გაწევას სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მიმართ პრეტენზია არ გაგვაჩნია, პირიქით ჩვენი წინსვლით და წარმატებებით ყოველთვის ვიდგებით ჩვენი პროფესორ-ხელმძღვანელების და უნივერსიტეტის გვერდით. ამ განცხადებით, კიდევ ერთხელ ბოდიში გვინდა მოვუხადოთ დეკანს და ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელებს, გაუთვალისწინებელი შედეგებისთვის.

*ზუსტ და საბუნებისმეტყველო*
*მეცნიერებათა ფაკულტეტის*
*დოქტორანტები:*
***ნათია მზარეულიშვილი, მანონი***
***კურტანიძე, ნათია ჯალაღონია “***

სიახლე

# კანონი, რომელიც უნივერსიტეტებს ყოფილი თანამშრომლების დაფინანსების უფლებას აძლევს, მიღებულია

## ბლიც-ინტერვიუ პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარესთან ვანო კიღურაძესთან

პირველი გვერდიდან

**— რას ითვალისწინებს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი?**

— უნივერსიტეტმა საქართველოს პარლამენტში წარმოადგინა უაღრესად საინტერესო და დროული საკანონმდებლო წინადადება, რაც ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის იმ უფლებამოსილების მინიჭებას, რომ მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ყოფილ თანამშრომლებს, რომლებსაც წლების განმავლობაში ამ სასწავლებლებში აკადემიური თანამდებობა ეკავათ და რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით მის წინაშე. აქ მეტად მნიშვნელოვანია ზნეობრივი მხარე. ამ წინადადების ინიციატორი გახლავთ ჩვენი დედა უნივერსიტეტი.

მოგეხსენებათ, რომ ნაციონალების მიერ განხორციელებული ,,ვაი რეფორმის" შედეგად, ბევრი ღირსეული პედაგოგი, პროფესორი, დოცენტი, ასისტენტი აღმოჩნდა გაძევებული უნივერსიტეტიდან. სხვათაშორის ავადსახსენებელმა ხუბუამ, ერთი ხელის დაკვრით, გააუქმა უნივერსიტეტის სამეცნიერო სექტორი. ბევრი ღირსეული პიროვნება ქუჩაში გაყარა. მე არა ერთი შესანიშნავი პედაგოგისა და მეცნიერის დასახელება შემიძლია, რომლებიც შეეწირნენ ამ რეფორმებს. ბევრი მათგანი დღეს ულუკმაპუროდ დარჩა. შესანიშნავი მეცნიერისგან, ფიზიკოს ჯემალ მებონიასგან ვიცი, რომ უნივერსიტეტის ბევრ ყოფილ თანამშრომელს მაღაზიიდან პური დღესაც ნისიად გამოაქვს. როგორ შეიძლება, რომ დაწესებულებამ ასეთ თანამშრომლებზე არ იფიქრო. და მე მადლობელი ვარ უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ ლადო პაპავასი, რომელმაც პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მომართა უნივერსიტეტისათვის იმ უფლებამოსილების მისანიჭებლად, რომ შესაძლებელი გახდეს ყოფილი თანამშრომლებისთვის დახმარების გაწევა. საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ ასეთი კანონი მიიღო და დარწმუნებული ვარ, რომ სტუდენტები, ახალგაზრდა მეცნიერები სათანადოდ შეაფასებენ ამ ზნეობრივი ნაბიჯის მნიშვნელობას.

**— თქვენი აზრით, რა ღონისძიებები შეიძლება გატარდეს ან რა საშუალებები შეიძლება გამოიძებნოს უნივერსიტეტში პროფესურის იმ ნაწილის დასაბრუნებლად, ვინც მაშინდელ რეფორმას ესხვერპლა?**

— ნაციონალებმა რომ დანაშაული ჩაიდინეს და მართლაც ე.წ. ,,ვარდისფერი პროფესურა" ჩანერგეს ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ეს ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დღეს უნივერსიტეტების ხელმძღვანელებმა ანალოგიური შეცდომა დაუშვან. დაუშვებელია, თავისი პოლიტიკური შეხედულების გამო, ვთქვათ, მაღალი რანგის პროფესიონალი ჩამოაშორო სასწავლო პროცესს. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ნებისმიერ ნიჭიერ კაცს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. მათი მოშორება იგივე ხარისხის დანაშაული იქნება, რაც ნაციონალებმა ჩაიდინეს. მაგრამ ისინი, ვინც თავის დროზე მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით იქნა ჩანერგილი უნივერსიტეტებში, რომელთაც არც სათანადო ცოდნა აქვთ და არც მაღალი ზნეობრიობით გამოირჩევიან, ნელნელა უნდა ჩანაცვლდეს პროფესიონალი კადრებით კონკურსების შედეგად. მხოლოდ ამ გზით უნდა გამოიძებნოს ხერხი მაღალი კლასის მეცნიერთა უნივერსიტეტში დასაბრუნებლად. ბატონი ლადო პაპავა კანონს ვერ დაარღვევს და ვადაზე ადრე ვერ შეუწყვეტს ხელშეკრულებას მათ, ვინც არაპროფესიონალია, მაგრამ კონკურსების გზითაა უნივერსიტეტში მოხვედრილი (თუ როგორ, ეს ყველამ ვიცით). აქ ყველაფერს კანონები მართავს. ამიტომ უნდა დაველოდოთ იმ წლებს, როდესაც კონკურსები გამოცხადდება და კვალიფიციურ და ზნეობრივ ადამიანებს უნივერსიტეტში დაბრუნების შანსი მიეცემათ. მთავარია იყოჩაღონ საკონკურსო კომისიებმა და სამართლიანი გადაწყვეტილებები მიიღონ. ბევრი სწორედ ამის მოლოდინშია და იმედი მაქვს, უნივერსიტეტი აღარ გაუცრუებს ხალხს ამ მოლოდინს.

აქცენტი

# ის პედაგოგები იქნებიან ყველაზე ხისტი ამ სისტემის წინააღმდეგ, ვინც სწავლების გარდა არაფერს აკეთებს

## ინტერვიუ პროფესორ იაგო კაჭკაჭიშვილთან

პირველი გვერდიდან

ნატო ოგოლაძე

**— ბატონო იაგო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება თსუ-ის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ, რომელიც ძალაში 2017 წლიდან შევა. ამ სიახლემ აკადემიურ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რას ფიქრობთ, რით იყო ეს ცვლილებები განპირობებული და როგორია თქვენი დამოკიდებულება?**

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება დამოკიდებულია სხვადასხვა კრიტერიუმზე. ეს კრიტრიუმებია: სწავლების გამოცდილება, სამეცნიერო კვლევები, გრანტებში მონაწილეობა და ასე შემდეგ. მთავარი ხინჯი აქ ის არის, რომ არ არის განსაზღვრული თითოეული ამ კრიტერიუმის წონა ერთმანეთთან მიმართებაში და ასევე არ არის განსაზღვრული, რა მაჩვენებლების საფუძველზე ფასდება თითოეული აქტივობა. მოთხოვნები არის, მაგრამ ძალიან ზოგადია. მაგალითად, ჩვენ არ ვიცით, თუ პროფესორს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა პლიუსად ეთვლება, ეს პოზიტივი როგორ ნაწილდება საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერეცნიებში მონაწილეობის მიხედვით, ასევე არ ვიცით, რა ხვედრითი წილი აქვს სამეცნიერო აქტივობის შეფასებისას ცალკე სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას. გვაქვს მხოლოდ ზოგადი კრიტერიუმები, რაც აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გადაწყვეტილების სუბიექტურობის ეჭვს ბადებს.

მეორე საკითხია, თუ რაზეა დამოკიდებული პროფესორთა ანაზღაურება. ის, ძირითადად, მიბმულია წაკითხული საათების რაოდენობაზე და იმ სტატუსზე, რომელიც მას უნივერსიტეტში აქვს. ამავე დროს, თითოეულ პროფესორს აქვს კონტრაქტი, სადაც წერია, რომ, გარდა სწავლებისა, გვევალება სამეცნიერო-კვლევითი, ადმინისტრაციული საქმიანობა და ა.შ. თუმცა, ესეც ზოგადად წერია. არ არის გაწერილი სამუშაო დროის რა ნაწილი უნდა დაეთმოს თითოეულ აქტივობას და რაც მთავარია, არ არის გაწერილი შედეგი, პროდუქტი, რომელიც მეცნიერმა, სწავლების გარდა, სხვა აქტივობის საფუძველზე უნდა დადოს. მოკლედ, ეს პრობლემა სულ დგას და მე, პირადად, სულ ვამახვილებდი ამაზე ყურადღებას — ეს მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოსწორებულიყო.

ძალიან მიხარია, რომ საკითხი დაიძრა, შედგა დოკუმენტი, სადაც ორივე მიმართებით არის ერთმნიშვნელოვანი, ცხადი და, რაც მთავარია, გაზომვადი კრიტრიუმები. კერძოდ, უნივერსიტეტი აპირებს, რომ შემოიღოს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ბევრად უფრო ფორმალიზებული წესი.

აკადემიურ თანამდებობებზე ყოფნა პროფესორისთვის ნიშნავს, სწავლების გარდა, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რაც გაწერილია კონკრეტულ მაჩვენებლებში — მან უნდა დაწეროს სახელმძღვანელო, გამოაქვეყნოს სტატიები ჟურნალებში, მიიღოს მონაწილეობა კონფერეციებში და უფრო მეტიც, პედაგოგმა შეიძლება სასწავლო საქმიანობასა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას შორის ბალანსი თავად განსაზღვროს სასწავლო წლის დასაწყისში. შესაძლოა, მან მუშაობისას ძირითადი აქცენტი გააკეთოს კვლევით საქმიანობაზე და ნაკლები ასწავლოს, ან — პირიქით. ყველა შემთხვევაში, ეს ორი მიმართულება – სწავლება და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა იქნება დაბალანსებული და, რასაკვირველია, გაწერილი. აქამდე მხოლოდ სასწავლო საქმიანობა იყო გაწერილი.

**— თუმცა, სტუდენტების სიმრავლიდან და პედაგოგების სიმცირიდან გამომდინარე, პროფესორებს დატვირთულ რეჟიმში უწევთ მუშაობა და კვლევითი საქმიანობისთვის ცოტა დრო რჩებათ...**

— რასაკვირველია, ასეთი სასწავლო დატვირთვის პირობებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის ცოტა დრო რჩება. ამიტომ ამ პროექტის ერთ-ერთი ღირებულება სწორედ ის არის, რომ პროფესორის ფინანსური წახალისება დამატებითი საათების ხარჯზე კი არ ხდება, არამედ შესაძლებელია ეს საათები ჩანაცვლდეს კვლევითი აქტივობით. მთავარია, პროდუქტი ჩანდეს. ესეც ძალიან კარგია. მეტიც, მე კიდევ შორს წავიდოდი და ვიტყოდი, რომ თუ პროფესორი შექმნის პროდუქტს, რომელიც სავალდებულო მინიმუმზე მეტია, ფინანსური წახალისება კიდევ უფრო მეტი იყოს. ეს, ჯერჯერობით, ამ პროექტში არ არის, მაგრამ ეს დროც დადგება. ასეთ შემთხვევაში პროფესორს გაეზრდება მოტივაცია, რომ იყოს აქტიური, არ წავიდეს უნივერსიტეტიდან, არ დახარჯოს თავისი ენერგია სხვა მიმართულებით და ასე შემდეგ.

**— ამ ცვლილებების რეალურ შედეგს მომდევნო აკადემიური კონკურსების ჩატარების შემდეგ დავინახავთ. რამდენად რაციონალურია ის ვადა, რომელიც მიეცათ პროფესორებს?**

**ახალი რეგულაციები აკადემიურ თავისუფლებას კი არა, აკადემიურ თვითნებობას ზღუდავს!**

— სამწუხაროდ, გვყავს პროფესორები, რომელთა დაკავებული თანამდებობა მათ კვალიფიკაციას არ შეესაბამება. მაგალითად, თსუ-ს შეიძლება ჰყავდეს სრული პროფესორი, რომელსაც, შესაძლოა, არც ერთი ციტირების ინდექსი არ ჰქონდეს, ან არც ერთი სტატია არ ჰქონდეს გამოქვეყნებული მაღალი გავლენის მქონე (ე.წ. "იმპაქტ-ფაქტორიან") ან საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში, არ იცოდეს არც ერთი ევროპული ენა. ვფიქრობ, რომ ეს ხარვეზია. თუ ჩვენ გვინდა, პროფესორის სტატუსი იყოს ნამდვილად აკადემიური, პრესტიჟული, „პროფესორობა" არ უნდა ჩამოვარიგოთ ასე მარტივად. საჭიროა, ვინც პროფესორის სტატუსს ატარებს, მოთხოვნების მიმართ ადეკვატური იყოს. ქაოსი, რაც დღეს არსებობს, პროფესორის ღირებულებას აუფასურებს.

**— ისეთ დარგებში, სადაც არ არის ბევრი მაღალრეიტინგული ჟურნალი, როგორ მოწესრიგდება ეს საკითხი? (მაგალითად, ქართული ფილოლოგია, ქართველოლოგია)...**

— არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ თითქოს ქართველოლოგიის სპეციალისტებს საერთაშორისო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების შესაძლებლობა არ აქვთ. არსებობს, მაგალითად, ბევრი გამოცემა ლინგვისტური მიმართულებით, რომელთაც ძალიან აიტერესებთ ქართული ენის ლინგვისტური შედარებითი ანალიზი სხვა ენებთან ან სემიოტიკური ანალიზი და ა.შ. ქართული ენა და ლიტერატურა არის ერთ-ერთი უნიკალური მსოფლიო ენების ჩამონათვალში. მის მიმართ ინტერესი არსებობს. ბევრ უნივერსიტეტში ქართველოლოგიური ცენტრებია, ბევრია უნივერსიტეტი, სადაც ქართული ენის კვლევის ცენტრი კავკასიური ენების შემადგენლობაშია. ინტერესიც არის და სტატიების გამოქვეყნების შესაძლებლობაც. თუმცა, სადაც შედარებით რთულია საერთაშორისო აკადემიურ წრეებში ჩართვის შანსი, იქ გარკვეული შეღავათები უნდა დაწესდეს და გამონაკლისები დაიშვას.

**— აკადემიურ წრეებში არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ ახალი წესი აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის ტოლფასია...**

— ახალი რეგულაციები აკადემიურ თავისუფლებას კი არა, აკადემიურ თვითნებობას ზღუდავს. უსამართლობაა, თუ პროფესორს შეუძლია წაიკითხოს მხოლოდ სასწავლო საათები, სხვა არაფერი არ გააკეთოს, ლექციებზე შევიდეს და ზოგჯერ ის ლექციებიც გააცდინოს და აიღოს ზუსტად იმდენი ხელფასი, რამდენსაც იღებს მისი კოლეგა, რომელიც ლექციებს პატიოსნად ატარებს, ახდენს საერთაშორისო გრანტების მობილიზებას უნივერსიტეტში, ასწავლის უცხოეთის უნივერსიტეტებშიც, იღებს მონაწილეობას კონფერენციებში და ა.შ. დარწმუნებული ვარ, ის პედაგოგები იქნებიან ყველაზე ხისტები ამ სისტემის წინააღმდეგ, ვინც სწავლების გარდა არაფერს აკეთებს და ამ მოვალეობასაც უხარისხოდ ასრულებს.

**თუ ჩვენ გვინდა, პროფესორის სტატუსი იყოს ნამდვილად აკადემიური, პრესტიჟული, „პროფესორობა" არ უნდა ჩამოვარიგოთ ასე მარტივად. საჭიროა, ვინც პროფესორის სტატუსს ატარებს, მოთხოვნების მიმართ ადეკვატური იყოს**

# ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲖᲔ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

როგორი უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლება? როგორია რეალობა ამ მიმართულებით საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში? — აღნიშნულ კითხვებზე პასუხის მისაღებად პირველი მასშტაბური კვლევა მიმდინარეობს. პროექტი ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის ორგანიზებითა და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დაფინანსებით ხორციელდება. კვლევა 2014 წლის პირველ სექტემბერს დაიწყო, მიმდინარე წლის ივნისში დასრულდება და ოთხ ეტაპს მოიცავს, ესენია — უცხოური გამოცდილების შესწავლა-ანალიზი, თვისებრივი კვლევა, რაოდენობრივი კვლევა, კონსოლიდირებული მოხსენების შემუშავება. პროექტს ახორციელებენ ლევან მიქელაძის ფონდის გამგეობის წევრი, თსუ-ის პროფესორი გიორგი გოგსაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ თავმჯდომარე, თსუ-ის პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი და თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, თსუ ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა მაჭარაშვილი. კვლევის მთავარი დანიშნულება საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესსა და ადმინისტრირების სფეროში სტუდენტური თანამონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა გახლავთ.

პროექტის — „სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა“ — შუალედური მოხსენება ავტორებმა აკადემიურ საზოგადოებას 13 მარტს წარუდგინეს. ამ დროისთვის დასრულებულია უცხოური გამოცდილების შესწავლა-ანალიზი და თვისებრივი კვლევა. სიტუაციის დაკვირვება-ანალიზი ოთხ სამიზნე უნივერსიტეტში ხორციელდება — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტები.

„პროექტის მიზანი იყო სასწავლო და ადმინისტრირების პროცესში სტუდენტური თანამონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა. სამი კომპონენტიდან, რომელიც დამახასიათებელია უნივერსიტეტის ცხოვრებისთვის — სასწავლო პროცესი, სტუდენტთა მომსახურება და სამეცნიერო კვლევები — ჩვენ პირველი ორი შევარჩიეთ. სამეცნიერო საქმიანობა განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს და აღნიშნულის განხორციელებას უკვე მომავალი წლიდან დავიწყებთ,“ — განაცხადა ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის გამგეობის წევრმა, თსუ-ის პროფესორმა გიორგი გოგსაძემ.

სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის უცხოური გამოცდილების შესწავლა-ანალიზი თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა ნანა მაჭარაშვილმა განახორციელა. შედეგად განისაზღვრა კონკრეტული პრინციპები, რომელთა გათვალისწინებაც პროექტის ბენეფიციარ უნივერსიტეტებში სტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინების პრაქტიკას ხელს შეუწყობს. სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის პრინციპები ასე ჩამოყალიბდა: მოქნილობა – კრედიტების დაგროვების შესაძლებლობაში არჩევანის თავისუფლება; სტუდენტზე ორიენტირებული სერვისების გამართულობა; აკადემიური კონსულტირება; კარიერული კონსულტირება; აქტიური სწავლების სისტემა; უკუკავშირის მექანიზმების არსებობა და აქტიური გამოყენება; პროპორცია პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის; სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი სისტემის გამოყენება; საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის სივრცის ხელმისაწვდომობა; ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო; ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და სტუდენტთა ინტერესების დაცვა; სტუდენტთა წარმომადგენლობა; სტუდენტთა ჩართულობა საუნივერსიტეტო და საგანმანათლებლო საქმიანობაში.

„ჩვენი გუნდი მუშაობს აქტუალურ თემაზე, რომელიც ნებისმიერი სტუდენტისთვის და თავად უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვისაც მნიშვნელოვანია – სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო სისტემა. მინდა ყურადღება გავამახვილო უცხოური გამოცდილების შესწავლისას განსაზღვრულ პრინციპებზე, რომელთა ერთგულებასაც ნებისმიერი დასავლური უნივერსიტეტი ადასტურებს. იგულისხმება, რომ სასწავლო-კვლევითი გარემო უფრო მოქნილი გახდეს, სტუდენტს ნაკლები დაბრკოლება შეექმნას საგნების არჩევისას და შეადგინოს მისთვის საჭირო სასწავლო გრაფიკი. მათ მეტი თავისუფლება უნდა მივცეთ თავისუფალი კრედიტების დაგროვებისას, განსაკუთრებით ლექტორის არჩევისას. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტები რესურსების მხრივ შეზღუდულები არიან, მაგრამ, ნებისმიერი პროგრამის დაგეგმვისას, სწორედ არჩევანის თავისუფლებაა აუცილებელი წინაპირობა დასავლეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და ამ პრინციპით ჩვენც უნდა ვიხელმძღვანელოთ. აკადემიური და კარიერული კონსულტირებისას იგულისხმება, რომ სტუდენტს შესაბამისი რეკომენდაციები მივცეთ გარკვეული გამოცდილების შესაძენად პროფესიული ზრდისა და სწავლის პარალელურად. აქტიური სწავლების სისტემა ყველაზე მგრძნობიარე თემაა, რადგან აქცენტი გადატანილია სწავლების მეთოდოლოგიაზე. საუბარია, რომ ლექციებისა და სემინარების შეთავაზების პრინციპი მაქსიმალურად სტუდენტის ჩართულობაზე ორიენტირებული გახდეს. უკუკავშირის მექანიზმების არსებობაში იგულისხმება სტუდენტებისგან ინფორმაციის მიღება, თუ როგორ აფასებენ სასწავლო პროგრამებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. ამ მხრივ, უნივერსიტეტების ნაწილში მდგომარეობა გამართულია, ზოგან კი სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგავართ სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის პროპორციის თვალსაზრისით. აუცილებელია, დაინერგოს სტუდენტზე ორიენტირებული შეფასების მრავალფეროვანი სისტემა. ახალგაზრდების ნაწილი კითხვის საშუალებით უფრო ითვისებს მასალას, ნაწილი – პრაქტიკაზეა ორიენტირებული... სტუდენტის არც ერთი სავარაუდო პლიუსი არ უნდა დაიკარგოს“, — აღნიშნა პრეზენტაციისას ნანა მაჭარაშვილმა.

სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის უცხოური გამოცდილების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა თვისებრივი კვლევის ძირითადი დირექტივები. კვლევის საშუალებით, ფოკუს-ჯგუფების ორგანიზების გზით, სასწავლო პროცესის და სტუდენტთა მომსახურების სფეროებში არსებული პრობლემები იდენტიფიცირდა. ოთხ სამიზნე უმაღლეს სასწავლებელში 11 ჯგუფის დისკუსია გაიმართა, რომელშიც უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესორები და სტუდენტები მონაწილეობდნენ.

თვისებრივი კვლევა თსუ-ის პროფესორს იაგო კაჭკაჭიშვილს ეკუთვნის. მან შედეგები პრეზენტაციაზე 5 მახასიათებლის მიხედვით წარმოადგინა — სასწავლო პროგრამების მოქნილობა; სტუდენტების უკუკავშირი; სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა; ინტერნაციონალიზაცია; სტუდენტებისთვის სხვადასხვა სერვისების შეთავაზება.

„კვლევის შედეგებში აქცენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზეა გადატანილი, თუმცა თსუ-სთვის მნიშვნელოვანი პრობლემები საერთოა კვლევაში ჩართული სხვა უმაღლესი სასწავლებლებისთვისაც. ასევე მეტ-ნაკლებად საერთოა სიმწვავეც, მაგრამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაინც გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. სასწავლო პროგრამების მოქნილობის კუთხით ვიკვლიეთ — არჩევითი საგნების როგორი თანაფარდობაა სასწავლო პროგრამებში. გაირკვა, რომ არჩევითი საგნების ხვედრითი წილი თსუ-ის ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამებში ძირითადი სპეციალობის მაქსიმუმ 70% და მინიმუმ 40%-ს შეადგენს. სამაგისტრო პროგრამები შედარებით ხისტია. ფაქტორები, რომლებიც აბრკოლებს არჩევითი საგნების წილის ზრდას, შემდეგია: არასაკმარისი მოტივაცია პედაგოგების მოსაწვევად, ზოგადად კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა, ფინანსების დაზოგვის მიზნით პედაგოგების მოწვევის შეზღუდული შესაძლებლობა. არჩევითი საგნების წილი იკლებს ე.წ. რეგულირებადი სპეციალობების სასწავლო პროგრამაში (იურიდიული და სამედიცინო სპეციალობები). დისკუსიის მონაწილეები ამას ხსნიან საბაზო საგნების დიდი რაოდენობით, რომლებიც აუცილებელია სწავლის ძირითადი შედეგების მისაღწევად. მაგალითად, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტს უწევს საშუალო სკოლაში მიღებული განათლების ხარვეზების კომპენსირება უნივერსიტეტის ფარგლებში. ერთ სასწავლო საგანზე ალტერნატიული პედაგოგის შეთავაზება, ძირითადად, ბაკალავრიატის პირველ კურსზე ხდება.

მეორე მახასიათებელი სტუდენტების უკუკავშირია. ეს თსუ-ში, ძირითადად, გამოიხატება სტუდენტების ანონიმურ სემესტრულ გამოკითხვაში სასწავლო საგნების პედაგოგების შეფასების სისტემით. ამ პრაქტიკის მიმართ პოზიტიური განწყობები არსებობს, მაგრამ, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების აზრით, არის პრობლემები: სტუდენტების ანონიმური სემესტრული გამოკითხვის შედეგებს არანაირი ინსტიტუციური გავლენა არ აქვს. ასევე, არ ხდება ამ შედეგების გათვალისწინება სასწავლო პროგრამების და სასწავლო პროცესის განვითარების მიმართულებით. გამოკითხვის მეთოდოლოგია ხარვეზიანია — კვლევის კითხვარი ელექტრონულ ფორმატშია, ანონიმურობა ვერ უზრუნველყოფილია, ინდიკატორებს ეკითხებიან ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე ფლობა, ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობა, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ძებნა, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ანალიზი, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ინტეგრირება, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის შეფასება, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ორგანიზება, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ინტერპრეტაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ინოვაციური გამოყენება, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური გამოყენება, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური ორგანიზება, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური ინტერპრეტაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური ინოვაციური გამოყენება, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური ორგანიზება, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური ინტეგრირება, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური ანალიზი, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური ძებნა, ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფორმაციის ეფექტური ინფორმაციული ტექნოლოგიებ

**ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ: ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝ�გᲘᲐ ᲮᲐᲠᲕᲔᲖᲘᲐᲜᲘᲐ — ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲘ ᲘᲡᲔᲗ ᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲙᲣᲠᲡᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐ, ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲠᲔᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲢᲣᲚᲝᲑᲐ.**

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲐ: ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲔᲑᲘ ᲩᲐᲔᲠᲗᲝᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲖᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲚᲘᲗ. ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲥᲪᲔᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲠᲔᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲢᲣᲚᲝᲑᲐᲡ. ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ — ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲬᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ Ა.Შ.**

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲬᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲐ.

„სტუდენტთა დასაქმების კუთხით, სოციალური მუშაობის სპეციალობის გარდა, პრაქტიკული სწავლების წილი მაგისტრატურის საფეხურზეა გადატანილი, რაც ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს დასაქმების ბაზარზე არაკონკურენტუნარიანს ხდის. იურიდიული და სამედიცინო შიდასაუნივერსიტეტო კლინიკების მწვავე ნაკლებობაა. ფაკულტეტებს იშვიათად აქვთ ინსტიტუციური კავშირები პოტენციურ დამსაქმებელთან.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, თვისებრივ კვლევებში ჩართული მონაწილეების განცხადებით, უცხოეთის უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობას უფრო მეტად უზრუნველყოფს გარესაუნივერსიტეტო სტრუქტურები (საერთაშორისო ორგანიზაციები, სამთავრობო სტრუქტურები), ვიდრე თავად უნივერსიტეტები.

ცალკეული გამონაკლისების (მაგალითად, იურიდიული ფაკულტეტის) გარდა, ფაკულტეტების სასწავლო პროგრამებში იშვიათად ხდება უცხოენოვანი კურსების/პედაგოგების ინტეგრირება. ამის ძირითადი მიზეზებია: არასაკმარისი ფინანსები საფაკულტეტო ბიუჯეტებში უცხოელი პროფესორების მოსაწვევად, მჭიდრო კონტაქტების სიმწირე საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, უცხოენოვანი პროფესორების დაბალი მოტივაცია საქართველოში ჩამოსასვლელად, უცხო ენის მცოდნე სტუდენტების ნაკლებობა (მაგალითად, იურიდიულ ფაკულტეტზე ბაკალავრიატის 3000 სტუდენტიდან ხერხდება მხოლოდ 20-30 კაციანი უცხო ენის მცოდნე ჯგუფის შედგენა). უცხოენოვანი პროფესორების მობილიზება, ძირითადად, ხდება პროფესორთა პირადი კონტაქტების წყალობით; საუნივერსიტეტო სტრუქტურების ძალისხმევა დაბალია,“ — აღნიშნა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი კვლევის მიხედვით, ვითარება პრობლემურია სტუდენტებისთვის სხვადასხვა სერვისების შეთავაზების კუთხითაც, მაგალითად, არაკომფორტული აუდიტორიები, რესურს-ცენტრები, სადაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. რესურს-ცენტრები თითქმის ყველა ფაკულტეტზეა, თუმცა ხშირად გამოიყენება სააუდიტორიო ფართად, რაც ზღუდავს მათი გამოყენების შესაძლებლობას. ასევე, რესურს-ცენტრებით სარგებლობა ეზღუდება შეუსაბამო სასწავლო პროგრამის ან ფაკულტეტის წარმომადგენელ სტუდენტებს. კვლევის ავტორის თქმით, სერიოზული პრობლემებია სტუდენტების ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სტუდენტები ხშირად შემთხვევით იგებენ იმ ინოვაციების შესახებ, რაც ფაკულტეტებზე ხდება.

კვლევითი პროექტის — „სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობის“ — მთავარი მეთოდი — რაოდენობრივი კვლევაა, რომელიც ოთხივე სამიზნე უნივერსიტეტში ჩატარდება. სულ 1175 სტუდენტი გამოიკითხება. პროექტის საბოლოო შედეგები მიმდინარე წლის ივნისში გახდება ცნობილი. მანამდე კი კვლევის მიმდინარეობის დეტალების გაცნობა დაინტერესებულ მკითხველს ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის ვებგვერდზე შეეძლება.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ

# ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ

**პირველი გვერდიდან**

მაგისტრატურაში სწავლის დროს ევროპული ენის სათანადო ცოდნის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა, რომელმაც აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი არის წარმატებული ფაკულტეტი, რაც მიიღწევა იმით, რომ დაწესებულია მაღალი სტანდარტები, მათ შორის — აუცილებელია ევროპული ენების ცოდნა, იქნება ეს ინგლისური, გერმანული თუ ფრანგული. „რატომ არ ბარდება რუსული ენა? აქ არანაირ შოვინისტურ და ნაციონალურ მიდგომას არ აქვს ადგილი. უბრალოდ, რუსული ენით და რუსულ იურიდიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით სამეცნიერო ცხოვრებაში შორს ვერ წახვალთ. თუ ჩვენ გვინდა ევროპული და ამერიკული სამეცნიერო განათლების მიღება, ჩვენ უნდა ვესაუბროთ მათ იმ ენაზე, რომელიც საერთაშორისო დონეზე მისაღებია. ამიტომ ვანიჭებთ პრიორიტეტს დასავლეთ ევროპულ ენებს. როცა საერთაშორისო იურიდიული საზოგადოების ნაწილი გახდებით, თქვენ თავად მიხვდებით ამას. რუსეთშიც კი, მოწინავე იურიდიულ ფაკულტეტებზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინგლისური ენის ცოდნას. მაგისტრატურა არის დოქტურანტურის წინაპირობა, რომელშიც კვლევითი კომპონენტები წინა პლანზე გადმოდის, ამიტომ, თუ გინდათ წარმატებული დისერტაცია დაწეროთ, ამ მიმართულებით უნდა წახვიდეთ," — აღნიშნა ირაკლი ბურდულმა.

რაც შეეხება ბაკალავრიატის დონეზე ინგლისურის შესწავლას, ირაკლი ბურდულის თქმით, ეს არის არა მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის, არამედ უნივერსიტეტის პრობლემა, რომლის დაძლევის გზებიც უკვე მოძებნილია და ყველაფერი კეთდება, რათა ეს პრობლემაც დადებითად გადაიჭრას.

ამავე საკითხზე განმარტება გააკეთა უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ამ პრობლემის მოგვარებისთვის უკვე გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები, თუმცა, როცა ასეთ საკითხზე ვსაუბრობთ, უნდა ითქვას, სად არის პრობლემა. „თუ არ გვეცოდინება კონკრეტული ინფორმაცია — გაცდენებს აქვს ადგილი, არასერიოზულ დამოკიდებულებას თუ პედაგოგი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს სტუდენტებთან კონტაქტს — ჩვენ კონკრეტულ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ. თუ სერიოზული დარღვევაა, პედაგოგს მოვთხოვთ პასუხს და შეიძლება მასთან კონტრაქტიც კი შეწყდეს. პრობლემა კონკრეტულ ფაკულტეტზე, კონკრეტულ პედაგოგთან მიმართებაში უნდა დასვათ, ან შეეხმიანოთ ენების ცენტრის დირექტორს, ქალბატონ რუსუდან დოლიძეს. თუ საკითხი ამ დონეზე არ მოგვარდება, მაშინ ჩვენ — ცენტრალური ადმინისტრაცია — მივიღებთ შესაბამის ზომებს," — აღნიშნა ლადო პაპავამ.

რაც შეეხება რუსული ენის შემოტანას, მისი თქმით, პირველად არ წამოჭრილა ეს საკითხი, მაგრამ ფაკულტეტებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რომელი ენაა მათთვის პრიორიტეტული და თუ აკადემიური პერსონალის მოთხოვნა იქნება, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებას.

## ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲗ

ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტის ირაკლი ზარქუას აზრით, თსუ-ს ავტორიტეტი ეცემა და რეიტინგის ზრდისთვის სხვადასხვა ღონისძიების გატარებაა აუცილებელი, ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა დასაქმების პრობლემაზეც. „ბოლო დროს მოხდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიტეტის დაცემა. ამას ვაწყდებით აბიტურიენტების მიერ უნივერსიტეტების არჩევისას. ამ ნუმერაციაში სახელმწიფო უნივერსიტეტი მესამე-მეოთხე პოზიციაზეა. მინდა აქცენტი გავაკეთო დასაქმების პროგრამაზეც. თუ იქნება შესაძლებელი, ეკონომიკის სამინისტროსთან და ტურიზმის დეპარტამენტთან გაკეთდეს ერთობლივი პროექტები, სადაც ჩაერთვებიან ასპირანტები და მაგისტრანტები. შევქმნათ რაიმე კლუბი, სადაც ჩვენ შევძლებთ ჩვენი აზრი დავაფიქსიროთ ეკონომიკურ საკითხებზე," — განაცხადა მან.

ირაკლი ზარქუას მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტის რეიტინგი ეცემა, არ დაეთანხმა უნივერსიტეტის რექტორი ლადო პაპავა. „საქართველო დიდად ვერ დაიკვეხნის საერთაშორისო საუნივერსიტეტო რეიტინგებში უნივერსიტეტების ადგილით, მაგრამ ორი კვირის წინ გამოქვეყნდა საერთაშორისო რეიტინგი, რომლის მიხედვითაც ჩვენი უნივერსიტეტი მსოფლიოში 2006-ე ადგილზეა. ამ რეიტინგში დაფიქსირებულია 23000 უნივერსიტეტზე მეტი. ანუ ჩვენ მოვხვდით მსოფლიო უნივერსიტეტების 10 პროცენტში. ევროპულ უნივერსიტეტებში ვართ ოც პროცენტში. რაც შეეხება კავკასიას – ვართ პირველები. არც ისე დიდი ხნის წინ, ვებომეტრიქსის რეიტინგით, უნივერსიტეტი არ იყო პირველი საქართველოში და, ბუნებრივია, არც კავკასიაში. ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ უნივერსიტეტი ჩანდეს ბევრად უფრო სოლიდურ კვლევაზე დაფუძნებულ რეიტინგებში, რომლებშიც დღემდე არც ერთი უნივერსიტეტი არ არის დაფიქსირებული," — აღნიშნა მან.

აბიტურიენტების არჩევანის შესახებ რექტორმა განაცხადა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის სტანდარტი, სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით, ძალიან მაღალია (სხვა უნივერსიტეტებში ეროვნული გამოცდის სტანდარტი არის 20 პროცენტი +1, თსუ-ში არის 40 პროცენტი + 1) და ამიტომ ის სტუდენტები, რომლებიც მზად არიან მაღალი სტანდარტისთვის, აქცენტს აკეთებენ თსუ-ზე, ხოლო ვინც სხვა უნივერსიტეტში მიდის, მან იცის, რომ იქ დაბალი ქულით მოხვდება.

„რაც შეეხება დოქტორანტების და მაგისტრანტების ჩართულობას ეკონომიკურ საკითხებში, უნივერსიტეტში თვეში ერთხელ ტარდება ჩემი სემინარი, რომელიც ეხება ეკონომიკურ საკითხებს. ეტყობა სტუდენტებში არაა ეს ინფორმაცია კარგად გავრცელებული. შემდეგი სემინარი ტარდება 3 აპრილს 5 საათზე პირველ კორპუსში. გიწვევთ. ასევე — არც თუ დიდი ხნის წინ, ჩვენმა დოქტორანტებმა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტიდან, დააფუძნეს კვლევითი ცენტრი — ,,თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრი". ამ ცენტრის ფორმატში შექმნეს პროექტი „ლიდერი", სადაც იწვევენ როგორც უცხოელ, ისე ქართველ პროფესიონალებს სტუდენტებთან შესახვედრად და ეკონომიკის პოლიტიკის მწვავე თემებზე სასაუბროდ. დაუკავშირდით მათ და ჩაერთეთ ამ პროექტში," — მოუწოდა დაინტერესებულ სტუდენტებს ლადო პაპავამ.

## ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ლევან კოჭლამაზაშვილმა საკმაოდ აქტუალური და მწვავე საკითხი დასვა. მისი თქმით, უნივერსიტეტის პროფესიულ პროგრამათა სტუდენტები ვერ სარგებლობენ სტუდენტური მომსახურებით და ვერ მგზავრობენ სტუდენტური ტარიფით თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტში, რადგან მათზე შეღავათი არ ვრცელდება.

აღნიშნულ საკითხზე თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დალი კანდელაკმა აღნიშნა, რომ ეს არის მერიისა და შესაბამისი სტრუქტურების მოსაგვარებელი, რადგან მათ შორის გაფორმებული არ არის ხელშეკრულება, რომელიც პროფესიული პროგრამის სტუდენტებს შეღავათიან ფასში მგზავრობის საშუალებას მისცემს. მისი თქმით, ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე უნდა დაისვას. უნივერსიტეტის რექტორმა თხოვნით მიმართა ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურებს, რომ მისი სახელით მოამზადონ წერილი იუსტიციის სამინისტროს სახელზე, რომელშიც ახსნიან სტუდენტების ამ პრობლემას.

## ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ლევან კოჭლამაზაშვილმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ უნივერსიტეტის გაზეთი ვერ აკმაყოფილებს სტუდენტთა მოთხოვნებს. „ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ მათ პრობლემის გასაშუქებლად, მაგრამ მათ, არათუ დაბეჭდეს, ამ თემაზე საერთოდ არ მოხვიდეთო, ასეთი ცივი პასუხით გამომისტუმრეს. პრობლემებზე საუბრისაგნ თავს იკავებს როგორც უნივერსიტეტის გაზეთი, ასევე უნივერსიტეტის გადაცემა. ის უნდა იყოს ღია მტკივნეული საკითხებისთვის და არა მხოლოდ ქება-დიდებისთვის," — განაცხადა მან.

უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ ამ რეპლიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგი არ ერევა უნივერსიტეტის გაზეთისა და საუნივერსიტეტო გადაცემის სარედაქციო პოლიტიკაში და რომ საუნივერსიტეტო მედია აბსოლუტურად თავისუფალია. „ვინმეს თუ ჰგონია, რომ გაზეთი კომუნისტურია, იმიტომ რომ ,,ყვითელი" არ არის, ეს უკვე გაზეთის პრობლემა არ გახლავთ. მე მასში ბევრ საინტერესო მასალას ვკითხულობ. მათ შორის ძალიან მწვავე მასალებსაც — კრიტიკას სტუდენტების მხრიდანაც და პროფესორების მხრიდანაც. თუ ყვითელი გაზეთების კულტურაზე ვართ გაზრდილები, მაშინ დიდი ბოდიში, უნივერსიტეტს ასეთი გაზეთი არ უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება სატელევიზიო გადაცემას, იქაც მინახავს კადრები ძალზედ კრიტიკულად განწყობილი სტუდენტების გამოსვლებიდან. ბევრი საზღვარგარეთ სწორედ ამ გადაცემით იგებს — რა ხდება უნივერსიტეტში," — აღნიშნა რექტორმა.

## ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲐᲖᲣᲠᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ცოტნე თამაზოვმა ყურადღება გაამახვილა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის არასათანადო გამართულობასა და აუდიტორიების არასაკმარის რაოდენობაზე. „ბატონო ლადო, თუ ყოფილხარ მეორე, მესამე, მეოთხე კორპუსების ნულოვან სართულებზე? მრჩება შთაბეჭდილება, რომ არ ყოფილხართ. როცა განათლების დონის აწევაზე ვსაუბრობთ, რატომ არ იქმნება ელემენტარული პირობები, რათა იმ სარდაფებში, ანუ სინესტეში არ ვისხდეთ? პირადად მე სურვილი არ მაქვს, დავესწრო ლექციებს და მივიღო განათლება ასეთ პირობებში. ერთ სემინარზე არის ასი ბავშვი, ნაცვლად 25-ისა. აუდიტორიაში არის 10 კაცის ადგილი, დანარჩენი 15 ფეხზე ვდგავართ. გვეშველება თუ არა რამე?" — მიმართა მან უნივერსიტეტის რექტორს, რაზეც ლადო პაპავამ განაცხადა, რომ ეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვისაც მტკივნეული თემაა, რაზეც, არსებული საუნივერსიტეტო ბიუჯეტის პირობებში, სერიოზულად საუბარიც კი არ შეიძლება. „დიდი ხანია, უნივერსიტეტი საერთოდ არ გარემონტებულა ბიუჯეტის ხარჯზე. პირველი კორპუსი, რომელიც ყველას მოგვწონს, რომელიც საჩვენებელია სტუმრებისა და უცხოელებისათვის, გაარემონტა ბიძინა ივანიშვილმა, სანამ პოლიტიკაში წავიდოდა. მადლობა მას და „ქართუ ჯგუფს"! გეგმაში იყო მეორე კორპუსის გარემონტებაც, რაც ორჯერ მეტი უნდა დამჯდარიყო. ჩემი რექტორობის პირველივე დღიდან მივმართე ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ვთხოვე, რომ, რადგან პროექტი მათივე დამუშავებულია, ხომ არ იყო შესაძლებლობა — „ქართუ-ჯგუფი" დაბრუნებოდა მის განხორციელებას. უარი არ უთქვამთ, მაგრამ უარის ტოლფასი პასუხი მაინც მივიღე. ჯერჯერობით ეს საკითხი არ განიხილება, რადგან საუბარია 47 მილიონ ლარზე. უნივერსიტეტის დაფინანსების მთავარი წყარო არის სტუდენტის მიერ მოტანილი ფული. ეს 2250 ლარი საკმარისია იმისთვის, რომ მივცეთ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი განათლება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს, მაგრამ ცოტაა იმისთვის, რომ სრულფასოვანი განათლება მივცეთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტს, რადგან მათ ლაბორატორიები და სხვა აღჭურვილობა სჭირდებათ. კიდევ უფრო არადამაკმაყოფილებელია ეს თანხა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტის განათლებისთვის. უნივერსიტეტს არ აქვს უფლება, სწავლის საფასური გაზარდოს. ამიტომ იძულებული ვართ, ეს თანხები გადავანაწილოთ. მცირედი შეღავათი მოგვცა პროგრამულმა დაფინანსებამ. მაგრამ ეს არის ზღვაში წვეთი. უნივერსიტეტის განვითარებისთვის მთავარი არის ბაზური დაფინანსება — ანუ ფული, რომელსაც სახელმწიფო აძლევს უნივერსიტეტს... ამ საკითხს, დღე არ გავა, რომ არ შევეხო!" — აღნიშნა ლადო პაპავამ.

რექტორისა და სტუდენტების პირისპირ შეხვედრები კვლავ გაგრძელდება, რაც კარგი საშუალებაა — სტუდენტმა ყველა პრობლემა უშუალოდ ადმინისტრაციას გააცნოს.

*მოამზადა*
**ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ**

# ვებომეტრიქსის რანჭირებით საქართველო მსოფლიოში 87-ეა

ს ულ მცირე ხნის წინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის და მთლიანად საქართველოსთვის სასიხარულო ინფორმაცია გავრცელდა. ვებომეტრიქსის 2015 წლის მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2006 ადგილი, ხოლო ევროპის მასშტაბით კი 714 ადგილი დაიკავა. ეს იმას ნიშნავს, რომ თსუ მსოფლიო უნივერსიტეტების საუკეთესო 10%-ში, ევროპის მასშტაბით — საუკეთესო 20%-ში, ხოლო კავკასიაში კი — ლიდერი სასწავლებელია.

უფრო მეტიც, თსუ თავისი რეიტინგით უსწრებს მრავალი განვითარებული ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებსაც. კერძოდ: მანჩესტერის ბიზნეს სკოლა ინგლისში (4038-ე პოზიცია); რომის ამერიკული აკადემია იტალიაში (7369); ერფურტის უნივერსიტეტი გერმანიაში (2074); კატალონიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ესპანეთში (3076), ნიუ-იორკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი აშშ-ში (2786) და მრავალი სხვა.

სულ კვლევაში 200-მდე ქვეყნის 23 887 უნივერსიტეტი მონანილეობდა. ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, სხვადასხვა პარამეტრების გათვალისწინებით, თუ რამდენად ოპტიმალურია საქართველოს (როგორც ქვეყნის) პოზიცია, მისი საუკეთესო უნივერსიტეტისთვის მინიჭებული შეფასებიდან გამომდინარე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ გვინდა შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნები, მათი საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგის მიხედვით (იხ. ცხრილი №1)

მოცემულ ანალიზში, ისეთი მონაცემების გათვალისწინებით, როგორიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მშპ და განათლების წილი მშპ-ში, ჩვენ გამოვიანგარიშეთ აბსოლუტური მაჩვენებლები — თუ რამდენი აშშ დოლარი იხარჯება ამა თუ იმ ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით განათლების სექტორის დასაფინანსებლად (იხ. ცხრილი №2).

მოცემული ანალიზიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ყველაზე დიდი ოდენობით სახსრები ნორვეგიაში იხარჯება და ის თითქმის 7 ათას აშშ დოლარს შეადგენს. საუკეთესო ხუთეულში ამ პარამეტრით შევიდნენ აგრეთვე: ლუქსემბურგი ($6748), დანია ($5144), შვეიცარია ($4388) და ტრინიდადი და ტობაგო ($3299).

რაც შეეხება კავკასიის რეგიონს, საქართველო მოცემულ ქვეყნებს შორის (იგულისხმება 100 წამყვანი ქვეყანა მშპ-ში განათლების წილით აბსოლუტურ მაჩვენებლებში, მოსახლეობის ერთ სულზე) — 87-ე ადგილზეა (იხ. ცხრილი №2). სომხეთი, რომელიც ამ გამოთვლების თანახმად 86-ე ადგილს იკავებს და შესაბამისად მოსახლეობის ერთ სულზე ხარჯავს უფრო მეტ თანხას ვიდრე საქართველო, ვებომეტრიქსის რეიტინგში 97-ე ადგილზეა და მთელი ათეული საფეხურით ჩამორჩება საქართველოს (იხ. ცხრილი №1). თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში განათლებაზე, სომხეთთან შედარებით, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით სულ რაღაც 1 აშშ დოლარით მეტი იხარჯება. ხოლო აზერბაიჯანი, სადაც იგივე მაჩვენებელის მიხედვით განათლებაზე 218 აშშ დოლარი იხარჯება, სულაც ვებომეტრიქსის საუკეთესო 100-ეულს გარეთაა დარჩენილი.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ შეერთებული შტატები, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით განათლებაში თითქმის 3000 აშშ დოლარი იხარჯება (ამ მაჩვენებლით აშშ მე-13-ეა მსოფლიოში), ნებისმიერი საგანმანათლებლო რეიტინგით (მათ შორის ვებომეტრიქსითაც) ნომერ პირველია მსოფლიოში იგულისხმება ჰარვარდის უნივერსიტეტი). ხოლო ნორვეგია, თითქმის სამჯერ მეტი დანახარჯების პირობებში, რეიტინგში მხოლოდ 13-ეა (ოსლოს უნივერსიტეტი). ეს კი უკვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ მსოფლიოში საუკეთესო უნივერსიტეტის სტატუსის მოსაპოვებლად მხოლოდ ფულადი რესურსების მობილიზება საკმარისი არ არის.

მთლიანობაში წამყვან 20-ეულში სურათი ლოგიკურია, ისევე, როგორც საქართველოს შემთხვევაშიც. ქვეყანაში სადაც განათლებაზე სახელმწიფოს მხრიდან 30-60-ჯერ ნაკლები სახსრები იხარჯება, ვიდრე წამყვან განვითარებულ ქვეყნებში, გასაკვირი ნამდვილად არაა ის ჩამორჩენაც, რაც ამ ქვეყნებსა და, შესაბამისად, მათ წამყვან უნივერსიტეტებს შორის არსებობს.

მეორე მხრივ კი პოზიტიურია, რომ საქართველო, კვლევაში შესულ თითქმის 200 ქვეყანას შორის, სადაც კონკურენცია უაღრესად დაძაბულია, საუკეთესო ასეულში მოხვდა და თავის პოტენციურ შესაძლებლობასაც კი გადააჭარბა: მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, სახელმწიფოს მიერ განათლებაში ჩადებული ფინანსური სახსრების (89-ე) და ვებომეტრიქსში მოპოვებული ადგილის მიხედვით (87-ე), რაც, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებაზე მეტყველებს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ბოლო ორ წელიწადში თსუ ვებომეტრიქსის მსოფლიო რეიტინგში მთელი 400 საფეხურით დაწინაურდა.

აქვე ერთი სასიამოვნო ფაქტის შესახებაც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად საუკეთესო უნვიერსიტეტების 3000-ეულს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიც (2602-ე ადგილი) ამშვენებს, რაც მისასალმებელი ფაქტია და საქართველოს დადებითად წარმოაჩენს საერთაშორისო ასპარეზზე.

*მოამზადა* **ვახტანგ ჭარაიამ**

**ცხრილი №1. ქვეყნების რეიტინგი მათი საუკეთესო უნივერსიტეტების მიხედვით**

| # | ქვეყანა | # | ქვეყანა | # | ქვეყანა | # | ქვეყანა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 26 | სლოვენია | 51 | სლოვაკეთი | 76 | ალჟირი |
| 2 | ბრიტანეთი | 27 | ახალი ზელან. | 52 | ბელარუსი | 77 | ეთიოპია |
| 3 | კანადა | 28 | ისრაელი | 53 | ლიტვა | 78 | ყატარი |
| 4 | შვეიცარია | 29 | ტაილანდი | 54 | პერუ | 79 | ნამიბია |
| 5 | ბრაზილია | 30 | სინგაპური | 55 | კვიპროსი | 80 | ყაზახეთი |
| 6 | ფინეთი | 31 | საუდის არ. | 56 | კენია | 81 | ტრინიდადი |
| 7 | ჰოლანდია | 32 | საბერძნეთი | 57 | რუმინეთი | 82 | პაკისტანი |
| 8 | ჩინეთი | 33 | ირლანდია | 58 | ბულგარეთი | 83 | ომანი |
| 9 | ს. კორეა | 34 | თურქეთი | 59 | ვიეტნამი | 84 | სუდანი |
| 10 | მექსიკა | 35 | პოლონეთი | 60 | იამაიკა | 85 | პალესტინა |
| 11 | იაპონია | 36 | არგენტინა | 61 | ლატვია | 86 | ბოსნია |
| 12 | გერმანია | 37 | საფრანგეთი | 62 | უკრაინა | 87 | საქართველო |
| 13 | ნორვეგია | 38 | ს. აფრიკა | 63 | ლუქსემბურგი | 88 | ბოლივია |
| 14 | ბელგია | 39 | ირანი | 64 | ლიბია | 89 | ურუგვაი |
| 15 | ავსტრია | 40 | უნგრეთი | 65 | ვენესუელა | 90 | ფიჯი |
| 16 | დანია | 41 | ესტონეთი | 66 | ა.გ.ს. | 91 | შრილანკა |
| 17 | ავსტრალია | 42 | მალაიზია | 67 | იორდანია | 92 | გვატემალა |
| 18 | ჰონგ-კონგი | 43 | ხორვატია | 68 | მალტა | 93 | პარაგვაი |
| 19 | იტალია | 44 | კოლუმბია | 69 | მაკედონია | 94 | ბანგლადეში |
| 20 | ესპანეთი | 45 | ეგვიპზე | 70 | ერაყი | 95 | სენეგალი |
| 21 | შვედეთი | 46 | სერბეთი | 71 | პილიპინები | 96 | მოლდოვა |
| 22 | ჩეხეთი | 47 | კოსტა რიკა | 72 | ნიგერია | 97 | სომხეთი |
| 23 | რუსეთი | 48 | ინდონეზია | 73 | ეკვადორი | 98 | ბარბადოსი |
| 24 | პორტუგალია | 49 | ისლანდია | 74 | კუბა | 99 | ელ სალვადორი |
| 25 | ჩილე | 50 | ინდოეთი | 75 | განა | 100 | ბოცვანა |

*** № - ქვეყნის საუკეთესო უნივერსიტეტის პოზიცია ვებომეტრიქსის მიხედვით.**

**ცხრილი №2. ქვეყნების რეიტინგი განათლებაში დახარჯული სახსრების მიხედვით**

| ადგილი მსოფლიოში | ქვეყანა | მშპ წილი განათლებაში (%) | განათლების წილი მშპ-ში მოსახლეობის ერთ სულზე, ($) |
|---|---|---|---|
| 1 | ნორვეგია | 5,6 | **6950** |
| 2 | ლუქსემბურგი | 5,6 | **6748** |
| 3 | დანია | 5,5 | **5144** |
| 4 | შვეიცარია | 5,4 | **4388** |
| 8 | ტრინიდადი და ბობაგო | 4,0 | **3299** |
| 9 | ავსტრალია | 5,0 | **3293** |
| 13 | აშშ | 6,9 | **2968** |
| 86 | სომხეთი | 3,0 | **98** |
| 89 | საქართველო | 2,9 | **97** |
| 90 | კენია | 4,1 | **88** |
| 100 | ბანგლადეში | 2,2 | **23** |

**წყარო: მსოფლიო ბანკი. დამუშავებულია ავტორის მიერ.**

# საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თსუ-ში

*ეროვნული ვალუტის – ლარის დევალვაციაზე, რომელიც გამოწვეული იყო გარე და შიდა ეკონომიკური ფაქტორებით, დღეს ბევრს საუბრობენ. ეროვნულ ბანკში არაერთხელ აღნიშნეს, რომ ლარის გაუფასურება ექსპორტის, ინვესტიციების, ტურისტებისა და ფულადი გზავნილების შემცირებამ გამოიწვია. თუმცა ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ ეროვნულმა ბანკმა, თავისი დაფარული ქმედებით თუ უმოქმედობით, ქვეყანაში ფინანსურ ქაოსს შეუწყო ხელი და რომ სინამდვილეში ქვეყანაში ეკონომიკური ვარდნა ისეთი მასშტაბური არ ყოფილა, რომ სავალუტო ბაზრის კატასტროფა გამოეწვია. სპეციალისტების განმარტებით, ლარის დევალვაცია ნოემბერ-დეკემბერში სპეკულაციურად დაიწყო და მაშინ ეროვნულმა ბანკმა გაუფასურების შესაჩერებლად არაფერი გააკეთა. რადგანაც აღნიშნული საკითხისადმი საზოგადოების ინტერესი მკვეთრად გაიზარდა, თსუ-ის ადმინისტრაციამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე მოიწვია, რომელმაც სტუდენტებისათვის საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და პოტენციალი“. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა, პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ.*

**თამარ დადიანი**

თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას განცხადებით, „ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა სტუდენტებს ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს ეკონომიკაში არსებულ პრობლემებზე და ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკაზე. უნივერსიტეტი მზად არის, მსგავსი შეხვედრები პერიოდულად მოაწყოს, რადგან სტუდენტების მხრიდან დაინტერესება ძალიან დიდია. ლექცია საკმაოდ საინტერესო გამოვიდა — ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ძალიან მარტივი ენით ისაუბრა საკმაოდ რთულ პრობლემებზე. საინტერესო იყო თავად სტუდენტების კითხვებიც“...

„სტუდენტებთან, ახალგაზრდებთან ურთიერთობა ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. მათი პროფესიონალებად ჩამოყალიბებისთვის, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება აუცილებელია“, — აღნიშნა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

შეხვედრაზე მან ბოლო წლებში ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების დინამიკაზე, მიზეზებზე, ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკაზე, ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის შესაძლო გზებზე ისაუბრა: „ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ქმედებები იყო და არის სწორი, დროული და ადეკვატური. ეს აღიარებულია ყველა საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ არაერთხელ და ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ თანმიმდევრულად იმ ნაბიჯების გადადგმას, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ მაქსიმალურად შევარბილოთ ის პროცესები, რაც დღეს მიმდინარეობს ეკონომიკაში... რაც შეეხება ფუნდამენტურად ამ საკითხის გადაჭრას, ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ფუნდამენტური ფაქტორების გამოსწორებით და ქვეყანაში სავალუტო შემოდინებების აღდგენით“, — განაცხადა ქადაგიძემ. მან ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ქართულ სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის ინტერვენციის დადებით და უარყოფით მხარეებზე, რისკებზე და დასძინა, რომ „ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის გარანტი არის ეროვნული ბანკი და რომ ამისთვის მას ფინანსური, ინფრასტრუქტურული, ადამიანური რესურსი გააჩნია“.

შეხვედრის დროს ირაკლი ქადაგიძემ მაგალითები მოიყვანა საერთაშორისო პრაქტიკიდან, ისაუბრა სხვადასხვა ქვეყანაში ვალუტის რყევის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე.

შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ სტუდენტთა შეკითხვებს უპასუხა.

ПРОБЛЕМА

# სტუდენტსა და პროფესორს შორის დავის საკითხზე ეთიკის კომისია მუშაობს

*გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციას თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“ I კურსის სტუდენტმა ირაკლი ჯღარკავამ მომართა. მაგისტრანტმა ამავე პროგრამის ხელმძღვანელთან, თსუ-ის ასოცირებულ პროფესორ ნანა მაჭარაშვილთან შექმნილი კონფლიქტის გაშუქება მოითხოვა და განაცხადა, რომ მას სურს საუნივერსიტეტო გაზეთმა ასახოს მისი პოზიციები და არა უნივერსიტეტის გარეთ სხვა პრესამ თუ ტელევიზიამ, რომელთაც, ჩვენგან მისადმი გამოხატული გულგრილობის შემთხვევაში, აუცილებლად მიმართავდა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სტუდენტსა და ლექტორს შორის აღნიშნულ დავაზე თსუ-ის აკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელი კომისია მუშაობს.*

**ირაკლი ჯღარკავა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“ I კურსის მაგისტრანტი:**

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით დავამთავრე. კვლევა ძალიან მაინტერესებდა და გადავწყვიტე ჩამებარებინა ამავე უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე — „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ ქალბატონი ნანა მაჭარაშვილი. თავიდან, როცა მის შესახებ გავიკითხე, ქალბატონ ნანას რეკომენდაცია სხვა სტუდენტებმა გაუწიეს და, სიმართლე გითხრათ, დასაწყისში, სტუდენტებისადმი დამოკიდებულება მართლაც მომეწონა — ლექციები ტარდებოდა საღამოს 7-დან 9 საათამდე, რაც მაგისტრატურის სტუდენტისთვის ხელსაყრელი დროა. თუმცა, ერთი თვეც არ გასულა, რომ წავაწყდით პრობლემებს. კერძოდ, ქალბატონ ნანას მოწვეული ჰყავდა ორი ლექტორი თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლიდან. მათ შესაბამისი კომპეტენცია არ გააჩნდათ იმისათვის, რომ სალექციო კურსი მაგისტრანტებისთვის წაეკითხათ (როგორც მოგვიანებით ISET-ის მიერ მოწერილი წერილიდან გაირკვა, ეს ორი ლექტორი სინამდვილეში სტაჟიორები იყვნენ, რომელთაც გამოცდილების მისაღებად სერჟის უნივერსიტეტი აფინანსებდა. ქალბატონი ნანა მაჭარაშვილი, ცხადია, თავიდანვე ინფორმირებული იყო აღნიშნული კადრების კომპეტენციისა და ვითარების შესახებ). არსებულ პრობლემაზე ქალბატონ ნანასთან საუბარი მქონდა და მან ბოდიში მოიხადა ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშრებით და დასძინა, რომ თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლიდან მოწვეულ ლექტორებს კარგი რეკომენდაციები ჰქონდათ და რომ ამიტომ დათანხმდა თანამშრომლობას. მე მათგან ერთ-ერთი ლექტორის ლექციაზე საერთოდ არ მივლია, რის გამოც 5 კრედიტი დავკარგე და ასეთ დროს ბოდიში არაფერს შველის. ამ ლოგიკით მეც მოვითხოვ, რომ ვარ აფხაზეთიდან დევნილი, სოციალურად დაუცველი და არ მაქვს ფინანსები სწავლისთვის და ამიტომ ვიტყვი — „ბოდიშს გიხდით,“ მაგრამ ვერ გადავიხდი ფულს და ისე ვისწავლი. მეეჭვება, რომ უნივერსიტეტმა ჩემს ამ ლოგიკას ანგარიში გაუწიოს.

მოგვიანებით თავად ქალბატონმა ნანამაც დაიწყო ლექციების გაცდენა, ჯერ „შპაიერის უნივერსიტეტში“ ატარებდა მთელი ორი კვირის მანძილზე ლექციებს ჩვენი ლექციების ხარჯზე, შემდეგ მოიმიზეზა რა დეკანობის არჩევნებში მისი მონაწილეობა, თითქმის მთელი დეკემბრის თვე გაცდა. აღარ გავამახვილებ ყურადღებას იმაზე, რომ ქალბატონი ნანა ყოველთვის აგვიანებდა ლექციაზე (მინიმუმ 15 წთ.), მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სტუდენტების უმრავლესობა უკმაყოფილო იყო მის მიერ ჩატარებული ლექციის ხარისხით. აქ ვგულისხმობ იმას, რომ მოწოდებული მასალის სათანადოდ ახნა-განმარტება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ხდებოდა და ასეთი გამონაკლისი, ჩემი დაკვირვებით, მხოლოდ სამი იყო. იგი გაცდენილი ლექციების აღდგენას შეუდგა არდადეგების პერიოდში, რამაც თებერვლის ბოლომდე გასტანა თავისი გამოცდებით.

სტუდენტებს შორის უკმაყოფილება გამოიწვია არდადეგების პერიოდში ლექციების ჩატარებამ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უკმაყოფილების შესახებ მხოლოდ ერთმანეთთან საუბრობდნენ. ლექტორთან უთანხმოებას მოერიდნენ, ეშინოდათ ქულების დაკლების და გაჩუმება არჩიეს, რაც ძალზე სამწუხარო და საწყენი ფაქტია.

მე სასაუბროდ მივედი ქალბატონ ნანა მაჭარაშვილთან. ჩვენი საუბარი ასე წარიმართა: ვუთხარი, რომ არჩევანის წინაშე ვიდექი, ან უნივერსიტეტი უნდა გამომეცვალა, ან აკადემიური ამეღო, ან მიმართულება შემეცვალა. შევატყობინე, რომ განცხადების დაწერასაც ვგეგმავდი, რაზეც მიპასუხა — „ირაკლი, ეს ჩაშვებაა!“ ნუთუ შეიძლება ეს ძველბიჭური სიტყვა მაშინ გამოიყენოს პროფესორმა, როცა სამართლიანი შენიშვნით (განცხადებით) გინდა მიმართო მასზე ზემდგომს რეაგირებისთვის? ვინც თავს პროგრესულ ადამიანად მიიჩნევს, ამ სიტყვის თქმას არ უნდა კადრულობდეს, როდესაც საქმე მოვალეობის შესრულება-არშესრულებას და პასუხისმგებლობის საკითხს ეხება. ეს უკიდურესად აღმაშფოთებელია ჩემთვის. ქალბატონმა ნანამ მოგზავნილი და მართულიც მიწოდა მისგან, რომლის კონკურენტიც იყო დეკანობის არჩევნებში. საუბრის დასასრულს მან ისიც მითხრა — „მე რომ ფული მქონოდა გადასახდელი, მაგისტრატურაში საერთოდ არ ვისწავლიდი,“ — პროგრამის ხელმძღვანელის ასეთი ნათქვამი რას შეიძლება ნიშნავდეს, ჩემთვის გაუგებარია! ეს, მინიმუმ, სტუდენტის სრული დემოტივაციის მცდელობაა.

განცხადება დავწერე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სახელზე, რომელშიც აღვნიშნავდი, რომ ლექტორმა შეურაცხყოფა მომაყენა. აღნიშნულ განცხადებაზე ნანა მაჭარაშვილისგან მივიღე ოფიციალური პასუხი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მხოლოდ არაკვალიფიციური ლექტორების მოწვევის პრობლემაზე მეთანხმება და რომ სტუდენტები სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამას დადებითად აფასებენ. მის ამ პასუხს არ ვეთანხმები და ამის საფუძველი მაქვს, რამეთუ კარგად ვიცი სტუდენტების მოსაზრება, რასაც საჯაროდ არ აღიარებენ, სამწუხაროდ.

განცხადება დავწერე რექტორის სახელზეც, რომლის პასუხადაც ვიცე-რექტორთან, პროფესორ ლევან ალექსიძესთან გადაიგზავნა ჩემი საკითხი. პასუხი თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლიდან მივიღე — ის ორი მოწვეული ლექტორი აღარ მუშაობს უნივერსიტეტში (ეს კი ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა, აქ პასუხისმგებლობა მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელს უნდა დაეკისროს, რადგან ქალბატონი ნანა მაჭარაშვილია პასუხისმგებელი იმაზეც, რომ ეს ორი ახალბედა ლექტორი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა). ამის შემდეგ პირადად მივედი ლევან ალექსიძესთან, რომელმაც უხეში პასუხით გამომისტუმრა: „ის ბოდიშს არ მოიხდის, რამეთუ მას ასე სურს! თქვენ არც პირველი და არც უკანასკნელი სტუდენტი იქნებით, ვინც ასეთი პრეტენზიებით მოდის და თუ გნებავთ ესეც დაწერეთ განცხადებაშიო“. ჩემს მოთხოვნაზე რომ ვერ მივიღე ადეკვატური რეაგირება, სოციალურ ქსელში დავდე სტატუსები, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ რექტორის თანაშემწე გიორგი ბენაშვილმა რექტორთან დამაკავშირა. რექტორს მართლაც შევხვდი, ვესაუბრე და ახლა საქმეს ეთიკის კომისია იკვლევს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთში იმისთვის მოვედი, რომ ქალბატონ ნანას შევახსენო, გაჩერებას არ ვაპირებ! თუ საჭირო გახდა, ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად პროტესტის უკიდურეს ფორმასაც მივმართავ! ხაზს ვუსვამ — არ ვარ შემოგზავნილი! თსუ-ის ბაკალავრიატი წითელ დიპლომზე დავამთავრე და მინდა სწავლა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბების შემდეგ მოტივაცია დამეკარგა — ვაპირებ ნაციონალიზმისა და ეთნიკური კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე გადასვლას.

რაც შეეხება ჩემს მოთხოვნებს, იგი კვლავ უცვლელია: მოვითხოვ, რომ ქალბატონმა ნანამ წერილობითი ფორმით მოიხადოს ბოდიში ამ შეურაცხყოფისთვის და თსუ-ის ადმინისტრაციამ კეთილსინდისიერად გამოიძიოს ყველა ის დარღვევა, რასაც ადგილი ჰქონდა გასული სემესტრის განმავლობაში და დადგეს ქალბატონი ნანას პასუხისმგებლობის საკითხი. მოვითხოვ ასევე, არ შემეშალოს ხელი და უნივერსიტეტმა მომცეს გარანტია იმისა, რომ არ მომიწევს დამატებითი სემესტრის აღება. ის 20 კრედიტი კი, რომელიც ქალბატონი ნანას მიზეზით დამრჩა, რაიმე სახით უნდა ანაზღაურდეს, რადგანაც მხოლოდ ბოდიში დანაკლისს ვერ შემიმსუბუქებს.

დანაშაულია, როცა გაჩვევენ, თითქოს ეს ყველაფერი, რაზეც ზემოთ მქონდა საუბარი, ჩვეულებრივ ფაქტადაა მისაღები. ჩემი ეს მომართვა გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტისადმი” კი პრევენციული ხასიათისაა თსუ-ის ახლანდელი და მომავალი სტუდენტებისთვის. დაე, უნივერსიტეტის არც ერთ აკადემიურ პერსონალს აღარ გაუჩნდეს სურვილი ასეთი შეურაცხყოფა მიაყენოს სტუდენტს.

*სტუდენტ ირაკლი ჯღარკავას მომართვის შემდეგ ჩვენ დავუკავშირდით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს ნანა მაჭარაშვილს და აღნიშნულ პრეტენზიებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით მისი კომენტარი ჩავიწერეთ.*

**ნანა მაჭარაშვილი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, „სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:**

— მაგისტრანტ ირაკლი ჯღარკავას მიერ სამაგისტრო პროგრამისა და პირადად ჩემს მიმართ გამოთქმული პრეტენზიები, სამწუხაროდ, შეიცავს რიგ ფაქტობრივ უზუსტობებს. ამავე დროს, ბატონი ირაკლი ჯღარკავა პირადად მასთან საუბარში ჩემ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს უკიდურესად სუბიექტურ ინტერპრეტაციას აძლევს. ყველაზე სამწუხაროა, რომ საკუთარი პრეტენზიებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით აქტიურად ეწევა თავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დისკრედიტაციას. არ გახლავართ ისეთი პიროვნება, რომელსაც სტუდენტებთან არ შეუძლია პრობლემებზე მსჯელობა და ერიდება ბოდიშის მოხდას. პირიქით, გასულ საშემოდგომო სემესტრში სამაგისტრო პროგრამის ფარლებში მოწვეული ორი ახალგაზრდა ლექტორის (ვგულისხმობ თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ორ სტაჟიორს) მიერ განხორციელებული მუშაობის არაკვალიფიციურობის გამო, მე მთელ ჯგუფს მოვუხადე ბოდიში და აქვე აღვუთქვი, რომ გადაუმოწმებელ კადრებთან მუშაობა მათ აღარ მოუწევდათ. პროგრამის ფარგლებში მხოლოდ იმ პროფესორებთან და მოწვეულ ლექტორებთან ექნებოდათ შეხება, რომელთა მუშაობის მაღალი ხარისხი არაერთხელ დადასტურებულა. თუმცა, სამწუხაროა, რომ ირაკლი ჯღარკავას უკმაყოფილების მსგავსი მიზეზით ამ ახალგაზრდა კადრებს სტუდენტებთან მუშაობის გაგრძელებისა და გამოცდილების მიღების საშუალება ნაკლებად მიეცემათ.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ორი ახალგაზრდა მოწვეული ლექტორის მიმართ გამოთქმული პრეტენზია ერთადერთია, რომელსაც ირაკლი ჯღარკავას მიერ დაფიქსირებული პრეტენზიებიდან ვეთანხმები. პრეტენზიების სხვა ნაწილთან დაკავშირებით კი შემიძლია განვაცხადო, რომ ბატონი ირაკლი ჯღარკავა მისთვის მომავალი სემესტრის საფასურის კომპენსირების მიზნით აქტიურად მიმართავს ზეწოლას, დაკავებულია ცილისწამებითა და გამოთქმული მოსაზრებების სუბიექტური ინტერპრეტაციით. კერძოდ, ირაკლი ჯღარკავა საუბრობს ლექციების გაცდენის შემთხვევებზე (შპაიერის საჯარო ადმინისტრირების ინტენსიურ კურსს ერთი კვირა ეთმობა. შესაბამისად, სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო ჯგუფთან მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაიშალა და არა ორი, როგორც ამას ბატონი ირაკლი ჯღარკავა ამტკიცებს; ამავდროულად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესში ჩაიშალა მხოლოდ 3 შეხვედრა და აქედან 1 თავად სტუდენტების თხოვნის საფუძველზე). ლექციების ჩაშლის პრეტენზია მოკლებულია ყველანაირ მტკიცებულებას, რადგან, ბატონ ირაკლი ჯღარკავას გაუჭირდება თუნდაც ერთი ისეთი ლექციის გაცდენის დასახელება, რომლის აღდგენაც არ მომხდარა და არ ანაზღაურებულა. ანაზღაურებას ეთმობოდა შაბათი დღე, ვინაიდან 19.00-21.00 საათებში სამაგისტრო პროგრამა ყოველდღიური დატვირთვის პირობებში მუშაობს, სტუდენტებს, შაბათის გარდა, სხვა დღე სემეტრის განმავლობაში ნაკლებად

რჩებოდათ და ასევე — სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომი 2 კვირიანი პერიოდი. აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ 15-წუთიანი (ისიც ერთეულ შემთხვევებში) დაგვიანება აკადემიურ სტანდარტებთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

რაც შეეხება ბატონ ირაკლი ჯღარკავას 20-კრედიტიან დანაკლისს, აღნიშნული საკითხი ეხება სამ სასწავლო კურსს: აქედან უკვე მოხსენიებულ თსუ-ის საერთაშორისო ეკონომიკური სკოლის ერთი სტაჟორისა და პირადად ჩემ მიერ წარმათულ ორ კურსს („საჯარო პოლიტიკის ანალიზი“ — 5 კრედიტი; „საჯარო ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა“ — 10 კრედიტი). პირადად ჩემ მიერ წარმართულ კურსებთან მიმართებაში გამოთქმული პრეტენზიები ჩატარებული ლექციების ხარისხისა და სწავლების მეთოდოლოგიის თაობაზე პრინციპულად მიუღებელია და აღნიშნულს ადასტურებს არა მარტო თავად ირაკლი ჯღარკავას თანაკურსელების მიერ კურსის დადებითი შეფასებები (შეფასებები განხორციელდა კურსის დასრულების შემდეგ), არამედ აღნიშნულ კურსებზე მუშაობის არაერთწლიანი პრაქტიკაც. ბატონ ირაკლი ჯღარკავას არ შექმნია არანაირი შეფერხება, რომ მაქსიმალურად გამოევლინა საკუთარი თავი და დაეგროვებინა ქულები აღნიშნული კურსების წარმატებით გასავლელად. სწორედ ამიტომ, პრეტენზიები, რომელიც უკავშირდება მის მიერ გასული სემესტრის განმავლობაში პირადად ჩემი კურსების ფარგლებში 15 კრედიტის ჩავარდნის სანაცვლოდ თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტისგან კომპენსაციის გაწევას, მოკლებულია ობიექტურ საფუძვლებს და მან ამ რეალობის მიზეზები საკუთარ თავში უნდა მოიძიოს.

აქვე, პრინციპულად მიუღებელია ბატონ ირაკლი ჯღარკავას ინიციატივით შემდგარი საუბრის დროს ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიზანმიმართული დამახინჯება. კერძოდ, ირაკლი ჯღარკავა ჩემს ციტირებას ახდენს შემდეგნაირად: „მე, რომ ფული მქონოდა გადასახდელი მაგისტრატურაში საერთოდ არ ვისწავლიდი“. მის მიერ გამოთქმულ პრეტენზიაზე, თითქოს მე არ შევდიოდი მის ეკონომიკურ მდგომარეობაში, მოვახსენე, რომ მაქსიმალურად მესმოდა მისი მდგომარეობის და განვუმარტე — თავის დროზე, სამაგისტრო საფეხურზე სწავლის სრულყოფილი დაფინანსების მოპოვების გარეშე, მე ნაკლებად მექნებოდა საკუთარი თავის დაფინანსებისა და სწავლის გაგრძელების საშუალება. სამწუხაროა, რომ ირაკლი ჯღარკავა ამ ნათქვამის სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს და შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. რაც შეეხება პირადად, ირაკლი ჯღარკავასთან წარმართულ საუბარს (რომელიც საკმაოდ დაძაბულ ფორმატში მიმდინარეობდა), მიმაჩნია, რომ ნამდვილად შეურაცხმყოფელია სტუდენტის მხრიდან კრედიტების დაუგროვებლობის მიზეზად და სწავლის საფასურის კომპენსირებისა და დამატებითი სემესტრის აცილების გარანტიების შექმნის მიზნით (აღნიშულს ადასტურებს მისი მოთხოვნების ჩამონათვალი) ჩემი კომპეტენციის ნაკლებობისა და მუშაობის არაეფექტურობის დასახელება. ეს მაძლევს საშუალებას ვიმსჯელო, რომ ის ცდილობს უკიდურესად მერკანტილისტური მოსაზრებებით ჩემი სახელის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას და მიჩენს საფუძველს, პირიქით, პრეტენზიები ვიქონიო მის წინააღმდეგ.

მინდა განვაცხადო, მზად ვარ და მოხარულიც კი, რომ ბატონ ირაკლი ჯღარკავას მიერ გამოთქმული პრეტენზიები და უკმაყოფილება ხდება თსუ-ის აკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელი კომისიის განხილვისა და ინსტიტუციური რეაგირების საგანი. იმედი მაქვს, რომ ბატონი ირაკლი ჯღარკავა პირადად ჩემთან მიმართებაში არსებული პრეტენზიების განზოგადებას არ მოახდენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, რითაც აქტიურად იყო დაკავებული დღემდე.

*მოამზადა* **ნატო ოგოლაძემ**

# სტუდ-ეტიკეტი

№12

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი


## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

# რომელ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის დაფინანსდებიან სტუდენტები?

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, რომელიც 26 თებერვალს გაიმართა, საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესი დამტკიცდა.*

*ეს წესი ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჩართვას საერთაშორისო სასწავლო და კვლევით პროექტებში, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებას.*

*თუ ვის შეუძლია ისარგებლოს ამ წესით და რა სახის ღონიძიებები და აქტივობები დაფინასდება, ამის შესახებ გვესაუბრება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი* ***თამარ დოლბაია****:*

— მიმდინარე წელს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის თსუ-ის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 42000 ლარი, რომელიც სტუდენტების სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას დააფინანსებს. დღეს, როდესაც ასე ბევრს საუბრობენ საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციასა და ინტერნაციონალიზაციაზე, ქართველი მეცნიერებისა და სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო კონფერენციებსა თუ კვლევით პროექტებში დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— ქალბატონო თამარ, მოდით დავაკონკრეტოთ, რა ღონისძიებებზე და აქტივობებზეა ლაპარაკი?**

— საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესის მიხედვით, დაფინანსდება შემდეგი კატეგორიის აქტივობები: სასწავლო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის: დაფინანსდებიან ბაკალავრები, მაგისტრები და დოქტორანტები. კვლევით პროექტებში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ სწავლების ბოლო საფეხურზე მყოფი სტუდენტები, ანუ დოქტორანტები. საერთაშორისო საუნივერსიტეტო კონფერენციებში (კონგრესებში, სიმპოზიუმებში) მონაწილეობა შეეძლებათ სამივე საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც ამ ღონისძიებებზე მომხსენებლებად წარსდგებიან (მსმენელებს ამ შემთხვევაში არ ვაფინანსებთ). აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ საერთაშორისო მოდელირებებში მონაწილეობა მხოლოდ სწავლების პირველი საფეხურის სტუდენტებისათვის იქნება შესაძლებელი. საზაფხულო და ზამთრის სკოლების მუშაობაში მონაწილეობა კი იმ შემთხვევაში დაფინანსდება, თუ მონაწილე სტუდენტებს კრედიტები მიენიჭება.

ამ წესის მიხედვით არ ფინანსდება გაცნობითი, კულტურული გაცვლისა და არასაგანმანათლებლო ფორუმები: ყრილობები, შეხვედრები, მრგვალი მაგიდები და ა.შ.

**— როგორ განისაზღვრება ანაზღაურების ოდენობა?**

— საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესი ადრეც გვქონდა, მაგარამ ახლა აქცენტები შევცვალეთ და უფრო დავაკონკრეტეთ. პრიორიტეტები იმისდა მიხედვით გამოვყავით, თუ რა ცოდნას შეიძენენ ისინი საერთაშორისო თუ ადგილობრივ ღონისძიებებში. ამ წესის მიხედვით, განსაზღვრული გვაქვს სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტების დაფინანსება მსოფლიო რეგიონების მიხედვით.

მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო გაცვლით პროგრამებში და კონფერენციებში მონაწილეობა ფინანსდება 100 %-ით, ან დაფინანსების ლიმიტის მაქსიმუმის ფარგლებში, თუ მოთხოვნილი თანხა ასეთ ლიმიტს აღემატება. კონფერენციის მოხსენების ორი ან მეტი თანაავტორის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია დაფინანსდეს ერთი მომხსენებელი, ან დაფინანსების თანხა განაწილდეს თანამომხსენებლებს შორის (სტუდენტების არჩევანით). იმ შემთხვევაში, თუ გამოყოფილი თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი, მაშინ სხვა „მუხლებიდან“ მოვითხოვთ დამატებას — არასაკმარისი თანხის გამო სტუდენტს უარს არ ვეტყვით.

საქართველოს შიგნით კონფერენციებში, საზაფხულო და ზამთრის სკოლებში მონაწილეობა ფინანსდება არა უმეტეს 500 ლარისა, ხოლო მოდელირებებში, კვლევით პროექტებში მონაწილეობა 50-75 %-ით.

ამ წესის მიხედვით, თუ ვინ ფინანსდება და რამდენი თანხით, ეს ინფორმაცია ღიაა და მისი მოძიება ჩვენს ვებ-გვერდზე შეგიძლიათ.

**— ამ წესის მიღების შემდეგ, შეიმჩნევა თუ არა აქტივობა სტუდენტთა მხრიდან?**

— სტუდენტთა აქტივობა ადრეც შესამჩნევი იყო. იანვრიდან დღემდე 34 სტუდენტი დავაფინანსეთ.

*ესაუბრა* **თამარ ლადიანი**

# თვითდამკვიდრების პრობლემა უნივერსიტეტში

*უნივერსიტეტი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი სოციალიზაციის აგენტია. ჩვენ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ პირველკურსელთა ერთი ნაწილი ძალიან მარტივად შეეგუა ახალ გარემოს, გაიჩინა მეგობრები, თავი გამოიჩინა სწავლითაც, ხოლო მეორე ნაწილი, პირიქით, აბსოლუტურ აუტსაიდერად ჩამოყალიბდა. ამას შეიძლება უამრავი სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზი და ახსნა მოეძებნოს.*



გამოკითხული სტუდენტების დიდი ნაწილი კმაყოფილია და ამბობს, რომ უნივერსიტეტმა სწორედ ისეთი გარემო შესთავაზა მათ, როგორსაც ელოდნენ. მაგრამ, არიან ისეთი სტუდენტებიც, რომლებსაც გაუჭირდათ თავის დამკვიდრება, რაშიც ერთერთ ფაქტორად იმასაც მიიჩნევენ, რომ სტუდენტური თვითმმართველობა სრულიად აცდენილია იმ მიზანს, რასაც უნდა ემსახურებოდეს და არ ეხმარება პირველკურსელებს საუნივერსიტეტო გარემოსთან ადაპტირებაში.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოციალიზაცია და ახალ გარემოში ინტეგრირება არ არის ცალმხრივი პროცესი. რამდენადაც უნივერსიტეტს შეუძლია შესთავაზოს სტუდენტებს მაქსიმალურად გახსნილი და თანამშრომლობასა და მეგობრობაზე ორიენტირებული მექანიზმები, იმდენად თვითონ ინდივიდს, თავისი პიროვნული კომპლექსებიდან გამომდინარე, შეუძლია დაბლოკოს ეს პროცესი. ამ თემასთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად გავესაუბრეთ ფსიქოლოგ სოფო დოლიძეს. ის ძირითად ყურადღებას ადამიანურ რესურსებზე ამახვილებს და თვლის, რომ ყველაფერი მეტწილად პიროვნებაზეა დამოკიდებული: „უნივერსიტეტში პიროვნების ფსიქოლოგიის ლექციის სემინარს ვასწავლი და აქედან გამომდინარე გიპასუხებთ: ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან პიროვნული მახასიათებლების მიხედვით. ეს პიროვნული მახასიათებელი, მაგ.: სიმორცხვე, კომუნიკაბელურობა, ექსტრავერტულობა, არსებობს და ვფიქრობ, ეს ყველაფერი, ძალიან სერიოზულ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ახერხებენ ადამიანები ახალ სიტუაციასთან ადაპტაციას, ადამიანების გაცნობას, მეგობრებთან შეგუებას და ა.შ. ზოგიერთს ჩემ მიერ ჩამოთვლილი მახასიათებლები უფრო მეტად აქვს გამოხატული, ზოგს — ნაკლებად. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი გავარჯიშებადია და შეიძლება ადამიანმა საკუთარი კომუნიკაციური უნარები გაიუმჯობესოს. პირველი შეხვედრის ხასიათი უნივერსიტეტთან, თანატოლებან, ლექტორებთან და ა.შ. განპირობებულია ჩვენი პიროვნული მახასიათებლებით. მერე, უკვე ნელ-ნელა ვცდილობთ, გავივარჯიშოთ ეს უნარები და დროთა განმავლობაში მოვახერხოთ ადაპტირება.

თორნიკე შევარდნაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელია. ის იმ სტუდენტების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებმაც ძალიან მარტივად მოახერხეს ინტეგრირება და უფრო მეტიც, როგორც თვითონ ამბობს, ადაპტაციის პერიოდი მისთვის ძალიან სასიამოვნო იყო: „ჩემთვის უნივერსიტეტთან, როგორც ახალ გარემოსთან, შეგუება უპრობლემო და მეტიც — სასიამოვნო იყო. თუმცა, ეს პროცესი ინდივიდუალურია. რამდენადაც მე გამიმარტივდა ახალ საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან ურთიერთობა, შესაძლოა, ეს პროცესი სხვა პიროვნების ცხოვრებაში რთულად წარიმართოს. ყველა თავისებურად „ებრძვის“ მის ამ ნაკლს, თუ შეიძლება ამას ნაკლი ვუწოდოთ. ზოგიერთი მათგანი გამორჩეულად მეცადინეობს, რათა ამით მიიპყროს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ყურადღება, ზოგიერთი აქტიურ ინტერნეტ-ცხოვრებას ეწევა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით პოპულარული გახდა ბოლო პერიოდში პიროვნების თვითრეალიზაციის გზაზე. არის შემთხვევები, როდესაც ინდივიდი ძალიან პოპულარულია სოციალურ ქსელებში, ფორუმებსა თუ საუნივერსიტეტო ჯგუფებში, თუმცა, როდესაც მას გაიცნობ უკვე არა ვირტუალურ, არამედ რეალურ ცხოვრებაში, აღმოაჩენ, რომ მას ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობისას გარკვეული კომპლექსები აქვს. ვთვლი, რომ უნივერსიტეტში პიროვნების თვითრეალიზაციის და გნებავთ, სოციალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამხმარე რგოლი სტუდენტური თვითმმართველობა უნდა იყოს. მან სტუდენტებს უნდა შესთავაზოს გარკვეული აქტივობები, მათ შორის, ფსიქოლოგებთან კონსულტაციის შედეგად ორგანიზებული ღონისძიებები, რომლებიც სტუდენტს დაეხმარება, ერთი მხრივ, აიმაღლოს თავისი ინტელექტუალურ-პროფესიული ცოდნა, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს თავი დაიმკვიდროს, როგორც აქტიურმა სტუდენტმა. ძალიან ბევრი პირველკურსელი სწორედაც რომ თვითრეალიზების გამო წევრიანდება სტუდენტურ თვითმმართველობაში.“ — ამბობს იგი ჩვენთან საუბრისას.

ინგა ფუტკარაძე სტუდენტების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებსაც გაუჭირდათ თვითრეალიზება ახალ გარემოში. „ზოგადად, ჩემი პიროვნული კომპლექსებიდან გამომდინარე, მიჭირს ახალ გარემოში ინტეგრირება. პირველი დღეები უნივერსიტეტში საკმაოდ რთული იყო. სკოლისგან რადიკალურად განსხვავებული შეფასების სისტემა, ახალი გარემო, ადამიანები ჩემთვის დამაბრკოლებელი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, გამიჭირდა ამდენი სიახლის მიღება. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საუნივერსიტეტო სისტემამ შემიწყო ხელი, რომ ჩემი პიროვნული კომპლექსები გადამელახა. რამდენიმე თვეა, რაც გავწევრიანდი სტუდენტურ თვითმმართველობაში, რითაც მოვახდინე საკუთარი თავის რეალიზება,“ — გვითხრა მან.

ვფიქრობთ, უნივერსიტეტმა უნდა იფიქროს იმ ფაქტორების განვითარებაზე, რაც პირველკურსელს მისცემს სწავლის პირველ ეტაპზე თითდამკვიდრებისა და ახალ სასწავლო გარემოსთან ინტეგრირების საშუალებას.

**თემურ გეჭანიძე**

*თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი*

# უ-„FOOD“-ობა უნივერსიტეტში

*უნივერსიტეტის პირველი კორპუსის პირდაპირ, ჭავჭავაძის ქუჩის კვეთაზე ერთი ქუჩაა, რომელიც თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებლის სახელობისაა, თუმცა, თსუ-ის სტუდენტებიდან ამ ფაქტის შესახებ არც ისე ბევრმა იცის. ამ ქუჩას მათთვის სხვა დატვირთვა აქვს. აქ, ერთ-ერთი ბინის სარდაფში, აცხობენ „ლეგენდარულ“ „კეკელიძის ლობიანს“. ალბათ თსუ-ში ძალიან ცოტაა ისეთი სტუდენტი, რომელსაც ეს ლობიანი ერთხელ მაინც არ გაუსინჯავს. პატარა ოთახი, ორი მაგიდა, ლობიანი და ხაჭაპური, სულ ეს არის ადგილი, სადაც უნივერსიტეტის სტუდენტების დიდი ნაწილი იკვებება. რატომ უნდა იყოს ასე? რატომ დაიხურა (ისევ) უნივერსიტეტის კაფეტერია, ადგილი, რომელიც სტუდენტური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია? რატომ დგას პირველი კორპუსის ეზოში უფუნქციოდ შენობა, რომელსაც დიდი ასოებით აწერია „Good Food“ - იმის მიუხედავად, რომ ამ დანესებულებას ეს სახელი დიდი ხანია აღარ ჰქვია? შევეცადეთ გაგვერკვია, აღდგება თუ არა და დაიწყებს თუ არა მუშაობას ხელმისაწვდომ ფასებში სტუდენტური კაფეტერია?*

„ხშირად დავდიოდი „გუდ ფუდში“ და გული დამწყდა, რომ დაიხურა. უნივერსიტეტის შემდეგ, ან შესვენებაზე მეგობრებთან ერთად მივდიოდი. სისუფთავე და ფასებიც კარგი იყო, სიტუაციაც ძალიან მომწონდა. აქ, ახლოს, რა კვების ობიექტებიც არის, არცერთი ადგილი არ მომწონს. სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, რატომ დაიხურა და კარგი იქნება, თუ ისევ გაიხსნება,“ — გვითხრა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა მატილდა ბარკალაიამ.

სტუდენტების დიდი ნაწილი ამავე აზრს იზიარებს. მათ არ იციან, თუ რატომ დაიხურა სასადილო, რომელსაც დღესაც „გუდ ფუდს“ ეძახიან. თითქმის ყველას უნდა, ისევ გაიხსნას იგი. მართალია, ნაწილი უჩიოდა ადგილების ნაკლებობასა და ხმაურს, მაგრამ დღის განმავლობაში „გუდ ფუდში“ მაინც დიდ დროს ატარებდნენ.

იმის გასარკვევად თუ რატომ დაიხურა „გუდ ფუდი“ და გაიხსნება თუ არა ის, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს გიორგი ტალახაძეს გავესაუბრეთ: „იმის გამო, რომ უნივერსიტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ უნდა გამოცხადდეს კონკურსი და ისე გაიცეს ფართი იჯარით. ამის თანახმად, კომპანია, რომელიც მართავდა ,,გუდ ფუდს“ ტენდერის საფუძველზე შეირჩა. მაგრამ მათ ჩათვალეს, რომ მოგება არ იყო საკმარისი და ამის გამო შეაჩერეს მუშაობა. ასევე იყო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსშიც. შარშან, ერთი პერიოდი მუშაობდნენ და მიხვდნენ, რომ საიჯარო ფასი, რომელიც კონკურსში დააფიქსირეს, არ იყო მათთვის რენტაბელური, ამიტომ ისინიც წავიდნენ. შემდეგ კიდევ გამოვაცხადეთ ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული, თუმცა ისინი თავიდანვე მიხვდნენ, რომ არ ექნებოდათ მათთვის სასურველი მოგება და არ იმუშავეს.

რაც შეეხება იმას, თუ როდის გაიხსნება „გუდ ფუდი“, იურიდიულ დეპარტამენტში ახლა განიხილება მოსაზრება, რომ თვითონ უნივერსიტეტმა გააკეთოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო და დამოუკიდებლად იმუშაოს იმისათვის, რომ არ იყოს გარეშე ფაქტორებზე და პირებზე დამოკიდებული. კაფეტერია მუდმივად პრობლემაა. შარშანაც რომ მუშაობდა, ამისთვისაც დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა..“ — განაცხადა გიორგი ტალახაძემ.

ჭავჭავაძის გამზირზე განთავსებული კორპუსების სტუდენტები, შეიძლება ითქვას, შედარებით კარგ სიტუაციაში არიან — ახლომახლო კეკელიძის ლობიანი და სხვა რამდენიმე კაფე და საცხობია. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის სტუდენტებს კი ეს არჩევანიც არ აქვთ. მათ ქავთარაძის ქუჩაზე უწევთ ჩასვლა, რომ საკვები იყიდონ. უარეს შემთხვევაში კი უნივერსიტეტში განთავსებული კვების აპარატებით სარგებლობენ, რომელშიც რამდენიმე შოკოლადი, ორცხობილა და მიწის თხილია, რა თქმა უნდა, თუ გაუმართლათ და სხვებს დაასწრეს.

„ძალიან კარგი იყო როცა „გუდ ფუდი“ მუშაობდა. ახლა ქავთარაძის ქუჩაზე გვიხდება ჩასვლა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვის წინ ერთი სწრაფი კვების ობიექტი მაღლივი კორპუსის გვერდითაც გაიხსნა, მაინც გვიწევს, რომ ვიყიდოთ რამე და შემდეგ უნივერსიტეტში მაღალ სართულებზე ცარიელი აუდიტორიებში ვჭამოთ,“ — გვითხრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა ნინო გვარამაძემ.

სტუდენტური კაფეს დახურვასთან დაკავშირებული პრობლემა თსუ-ში თითქმის ყველა სტუდენტს აწუხებს, განსაკუთრებით მაღლივ კორპუსში. სტუდენტებს სურთ, რომ გაიხსნას კაფეტერია. მათ მოსწონთ გარემო, საკვები და ფასებიც. ტენდერის პირობებით გათვალისწინებულია, რომ საბაზრო ფასთან შედარებით აქ ფასები 5%-ით ნაკლები უნდა იყოს.

„ჩვენ გვინდა, რომ მალე მოგვარდეს ეს საკითხი. თუმცა, თუ თვითონ უნივერსიტეტმა გადაწყვიტა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს ჩამოყალიბება, ამას მთელი რიგი პროცედურები მოჰყვება. ჯერ, უნივერსიტეტის წარმომადგელობით საბჭოზე უნდა გადაწყდეს, შემდეგ სამინისტროშია საჭირო შეთანხმება და სხვ. რთულია ვთქვათ, თუ რა დრო დასჭირდება ამას. მაგრამ, თუ აუქციონის გზით წავედით, აქაც გარკვეული პროცედურებია ჩასატარებელი. დაახლოებით ორი თვე უნდა აუქციონს და, არა მგონია, რომ ამ სემესტრში ეს პროცედურები მოესწროს. თუმცა მომავალი წლისთვის აუცილებლად იქნება სტუდენტური კაფე როგორც პირველ კორპუსთან, ასევე, მაღლივში,“ – გვითხრა მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ტალახაძემ.

**ხატია მეხრიშვილი**

*თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი*

# ცოტნე ცხვედიანი: „ქალაქი და წმინდანები”

*ცოტნე ცხვედიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. ახლახან გამოვიდა მისი მოთხრობების კრებული „ქალაქი და წმინდანები”, რომელიც პროვინციულ ქალაქებსა და დაბებში მცხოვრები ადამიანების შესახებ მოგვითხრობს. მოთხრობებში აღწერილია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სოციალური ყოფა, რომელზეც თითქმის არასდროს საუბრობენ. ერთერთ მოთხრობაში დასმულია მედიის მიერ შექმნილ რეალობასა და ჩვენს სინამდვილეს შორის არსებული განსხვავების საკითხიც.*

*კრებულში გაეცნობით ჩვენი ქვეყნის რიგით მოქალაქეებს, რომლებსაც ყოველდღიურად უწევთ ბრძოლა არსებობისთვის და სჭირდებათ სტიმული ბრძოლის გასაგრძელებლად უიმედო გარემოში, როცა სახელმწიფო არ ჰპირდება მათ უკეთეს მომავალს. ცოტნე წერს იმ პრობლემებზე, რომლებსაც ყველა მონდომებით არიდებს თვალს. გთავაზობთ ინტერვიუს ახალგაზრდა ავტორთან:*

**— ცოტნე, მაინტერესებს რატომ გადაწყვიტე ამ თემებზე წერა?**

— საქართველოში დღეს ხშირად საუბრობენ ევროპულ არჩევანზე. ვიდეორგოლებიც კი იყო, სადაც პოლიტიკოსები, ხელოვანები, სტუდენტები და სხვები საუბრობდნენ ევროპული არჩევანის აუცილებლობაზე. მე ვფიქრობ, რომ, სამწუხაროდ, ამ ადამიანების უმრავლესობას არ აქვს გააზრებული, რას ნიშნავს ეს ყველაფერი. ევროპელობისთვის არ კმარა ვიღაცებს მიბაძო, მავნე ტრადიციებზე უარი თქვა, ე.წ. თავისუფალი ცხოვრების სიტილით იცხოვრო ან მინიმალური განათლება მიიღო და მერე ამით თავი მოიწონო და საზოგადოება ორ დაპირისპირებულ ბანაკად აღიქვა: ბნელებად და პროგრესულებად.

ამგვარი აზროვნება მხოლოდ დაცინვას იმსახურებს.

ევროპელობა უპირველესად ნიშნავს, იბრძოდე ცვლილებებისთვის, იყო რეალისტი, ითხოვდე შეუძლებელს და, რაც მთავარია, იყო სოლიდარული.

ქვეყანაში, სადაც ადამიანებს არანაირი არჩევანი არ აქვთ და მხოლოდ გადარჩენისთვის იბრძვიან, სადაც შენი თანატოლები კერძო კაპიტალის მფლობელების მხრიდან ექსპლუატაციას განიცდიან, სადაც მარტო 2014 წელს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის შედეგად 41 ადამიანი დაიღუპა და ამ ყველაფრის შემხედვარე ადამიანები ჩუმად არიან, სისულელეა ევროპულ არჩევანზე ისაუბრო. მე უბრალოდ მინდოდა მეთქვა, თუნდაც ჩემი თანაუნივერსიტეტელებისთვის, რომ არსებობს რიგი პრობლემები, რომელთა წინააღმდეგაც ბრძოლა აუცილებელია, ჩუმად ყოფნა კი, უბრალოდ — ლაჩრობა.

**— „ქალაქი და წმინდანებში ” წერ, რომ მწერალმა არ უნდა წეროს აქტუალურ თემებზე. შენი აზრით, რატომ არ არის ეს თემატიკა აქტუალური ?**

— ხშირად მწერლები თავიანთ ტექსტებს არგებენ საზოგადოების მოთხოვნილებას. ამით ისინი მარტივად ხდებიან პოპულარულები. კარგი მწერალი კი პირიქით უნდა იყოს — მან უნდა „აიძულოს“ საზოგადოება, რომ დაფიქრდეს აქამდე არააქტუალურ თემებზე. აქტუალურ თემებს განსაზღვრავს უმრავლესობა, მწერლის მოვალეობა კი არის უმცირესობის გვერდით იდგეს.

**— ერთ-ერთ მოთხრობაში წერ, რომ მხოლოდ დამარცხებული მიისწრაფვის სხვისი ჩაგვრისკენ. შენი აზრით, როგორ უნდა გადალახოს ადამიანმა ეს კომპლექსი?**

— ჩვენ ვართ ის თაობა, რომელიც ომში დამარცხებულმა მამებმა აღზარდეს. ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო წაგებულის მენტალიტეტი, სიძულვილი, მტრის ხატები. პოლიტიკოსებიც სწორედ ამგვარ იდეოლოგიას აწვდიან ხალხს. წლების მანძილზე სკოლაშიც ასე აღზარდეს ბავშვები. შენი ქვეყნის სიყვარულისთვის არაა აუცილებელი, დაელოდო, თუ როდის გიბრძანებენ იარაღი აიღო ხელში მის დასაცავად. საჭიროა, ყოველდღე მივიღოთ პატარ-პატარა „ომები“. ყოველ ფეხის ნაბიჯზე დავამარცხოთ უსამართლობაა, უიმედობა, ჩაგვრა, გაუნათლებლობა...

**— წერ, რომ ეს ქალაქები განწირულები არიან უპერსპექტივობისთვის. შენი აზრით, რამდენად პერსპექტიულია თბილისი?**

— ეს სამწუხარო რეალობაა. საქართველოში არსებობს მიტოვებული ქალაქები, რომლებიც მხოლოდ მაშინ ახსენდებათ პოლიტიკოსებს, როცა იქ საარჩევნო ხმების დაგროვება უნდათ. ზოგიერთ პატარა ქალაქს მხოლოდ სადგურის ფუნქცია აქვს. იქ დარჩენა და ცხოვრება თითქმის არავის უნდა. მიუხედავად ამისა, უიმედოდ არ ვარ. ბოლო დროს ჩნდებიან ახალგაზრდები, რომლებიც ხვდებიან, რომ პირველ რიგში შენს ქალაქში უნდა შეცვალო რამე. იმედია, ოდესმე საქართველოს სხვა ქალაქებშიც შეიქმნება ისეთი უნივერსიტეტები, სადაც ადამიანები საჭირო განათლებას მიიღებენ და აღარ მოხდება რეგიონების დაცლა ახალგაზრდებისგან. ამაზე საუბარი ახლა ძალიან ნაადრევია. ამ ეტაპზე თბილისშიც კი ძნელად მოიძებნება მსგავსი უმაღლესი სასწავლებელი.

**— შენს მოთხრობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზეც წერ. შენი აზრით, რა პრობლემებია უნივერსიტეტში?**

— 2012 წელს სტუდენტები აქტიურად იბრძოდნენ უნივერსიტეტის ავტონომიისათვის. მაშინ ხელისუფლება აშკარად ერეოდა უნივერსიტეტის ცხოვრებაში. მერე ისე მოხდა, რომ ''ციხის კადრების'ცნობილმა სკანდალმა დროებით უკანა პლანზე გადაწია ეს პრობლემა. ბუნებრივია, მაშინ ჩვენთვის მთავარი იყო ადამიანების წამებაში დამნაშავეები დასჯილიყვნენ. ვერ ვიტყვი, რომ ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ უნივერსიტეტში რამე ძირეული ცვლილებები მოხდა.

მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ რეგიონიდან ჩამოსული უამრავი სტუდენტი გაუსაძლის გაჭირვებაში ცხოვრობს. უწევს, იმუშაოს მინიმალურ ხელფასზე, რომელიც ხშირად ბინის ქირის გადასახდელად არ კმარა. უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში საშინელი პირობებია და ყველა მსურველს მაინც ვერ იტევს. ამას ემატება ერთფეროვანი სასწავლო პროცესი, ლიტერატურის ნაკლებობა...

**— როგორ მოახერხე იმ ქალაქების გაცნობა, რომელებზეც დაწერე?**

— მეგობარ სტუდენტებთან ერთად ხშირად ჩავდიოდი ამ ქალაქებში და უშუალო კონტაქტი მქონდა იქაურებთან. სწორედ მათი მოსმენის შემდეგ გამიჩნდა სურვილი ერთგვარი მოთხრობა-რეპორტაჟები დამეწერა.

**— რა გამოხმაურება მოჰყვა შენს მოთხრობებს და როგორ გამოიცა წიგნი?**

— წიგნი გამოსცა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ. ჩემი მოთხრობა შემთხვევით წაიკითხა ერთ-ერთმა რედაქტორმა და სწორედ მისი დამსახურებაა ამ წიგნის გამოცემა. გამოხმაურებაზე ცოტა მოგვიანებით აჯობებს საუბარი, ჯერჯერობით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემმა ერთ-ერთმა მოთხრობამ გაიმარჯვა ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის კონკურსში და ითარგმნა ინგლისურად.

**— მომავლისთვის რა გეგმები გაქვს შემოქმედებასთან დაკავშირებთ?**

— ვაპირებ, რომ კიდევ დავწერო, მაგრამ ჯერ ძალიან ბევრი მაქვს სამუშაო საკუთარ თავზე და უამრავი წიგნი მაქვს წასაკითხი.

სულ ბოლოს მირჩიეს, წამეკითხა ვარლამ შალამოვის ტექსტები და ძალიან მწყდება გული, რომ აქამდე კარგად არ ვიცნობდი ამ ავტორს.

ასევე ჩემ მეგობრებთან ერთად ვრჩები სტუდნეტურ მოძრაობაში. ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი მიზანია, შეიქმნას რეალური შრომის ინსპექცია, რომელიც საბოლოოდ მოუღებს ბოლოს მონურ გარემოს სამუშაო ადგილებზე და ადამიანები აღარ იმუშავებენ სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში.

**ანო მაჭავარიანი**

*თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი*

# თბილისი-სალერნოს მეორე სამეცნიერო ვორქშოპი „მათემატიკური მოდელირება“

ნატო ოგოლაძე

ქვეყნის 16 სამეცნიერო ორგანიზაციის 32 მკვლევარი თსუ-ში თბილისი-სალერნოს (იტალია) მეორე საერთაშორისო ვორქშოპზე — „მათემატიკური მოდელირება“ — შეიკრიბა. სამეცნიერო ვორქშოპის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლდათ მათემატიკური მეთოდების მოძიება, რომლებიც სხვა სამეცნიერო დარგებში — ბიოლოგიაში, მედიცინაში და ა.შ. გამოიყენება და მათ განვითარებას უწყობს ხელს.

„ვფიქრობ, მეცნიერისთვის კოლეგებთან ხშირი კონტაქტები ძალიან მნიშვნელოვანია. ეს გულისხმობს აზრთა გაცვლა-გამოცვლას, დასმულ კითხვაზე საინტერესო პასუხის მიღებას, სამომავლო პროექტებზე მოლაპარაკებას და ა.შ. აღნიშნულ ვორქშოპზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები, რომლებიც საკმაოდ აქტუალურ საკითხებს შეეხებოდა. კერძოდ, იყო მცდელობა, რომ დიფერენციალური განტოლებებიდან, რიცხვითი ანალიზიდან, მათემატიკური ლოგიკიდან, გეომეტრიიდან და ალბათობის თეორიიდან სხვადასხვა კვლევითი მეთოდი შეეთავაზებინათ ბიოლოგიისა და მედიცინის დარგებისთვის. ეს მეთოდები სხვადასხვანაირია და სწორედ ისინი შეაჯამეს ამ სამეცნიერო ვორქშოპზე სხვადასხვა თაობისა და ქვეყნის წარმომადგენელმა მკვლევარებმა,“ — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა რევაზ გრიგოლიამ.

„ასეთი ტიპის ვორქშოპის ორგანიზება ერთი წლის წინ გადაწყდა. იდეის ავტორები იყვნენ — იტალიიდან სალერნოს უნივერსიტეტის პროფესორი ანტონიო დინოლა და საქართველოდან — რევაზ გრიგოლია. პირველი შეხვედრა ჩატარდა სალერნოს უნივერსიტეტში გასულ წელს. ვორქშოპის მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოინახოს საერთო პრობლემატიკა მათემატიკაში, რომელსაც გამოყენება ექნება მედიცინაში, იმუნოლოგიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვადასხვა დარგებში და შეიქმნას ერთობლივი პროექტი. ვფიქრობ, ვორქშოპი წარმატებით დასრულდა. მინდა აღვნიშნო, რომ ვორქშოპი ნაწილობრივ დაფინანსებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, პროექტების 31/23 (ხელმძღვანელი თ. თადუმაძე) და 31/09 (ხელმძღვანელი რ. კოპლატაძე) ბიუჯეტიდან. ვორქშოპზე განხილული საკითხები მჭიდრო კავშირშია აღნიშნული პროექტების თეორიულ და გამოყენებით ასპექტებთან“, — განაცხადა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა თამაზ თადუმაძემ.

მათემატიკის დარგში განხორციელებული ახალი კვლევების შედეგების წარმოდგენის გარდა, სამეცნიერო ვორქშოპის მონაწილეები თანამშრომლობის გაგრძელებისა და გაღრმავების აუცილებლობაზეც შეთანხმდნენ.

„ამ შეხვედრის ერთერთი მთავარი მიზანი ის არის, რომ გაძლიერდეს კოლაბორაცია, ურთიერთობა, გაცვლითი პროგრამები, ურთიერთთანამშრომლობა და აზრთა ურთიერთგაცვლა არამხოლოდ მეცნიერთა, არამედ სტუდენტების დონეზეც“, — განაცხადა საფრანგეთის წარმომადგენელმა მარკ ტირიემ (ავტომატიკასა და ინფორმატიკაში კვლევების ეროვნული ინსტიტუტი).

„მე თეორიულ მათემატიკაში ვმუშაობ. ეს კონფერენცია კი გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ თეორიული შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა. ზოგადად, საქართველოში ჩემს ვიზიტს ასე შევაფასებდი — მომწონს ხალხი, ქალაქი, ქვეყანა, აქ არიან მაღალი დონის მათემატიკოსები, კონფერენციაზე მოვისმინე საინტერესო მოხსენებები,“— აღნიშნა პორტუგალიის წარმომადგენელმა სანდრა პინელასიმ (პორტუგალიის სამხედრო აკადემია).

„ეს ძალზე მნიშვნელოვანი კონფერენციაა, რადგან თუ გასული საუკუნის პრიორიტეტი ქიმიისა და ფიზიკის განვითარება იყო. ამჟამად კომპლექსური პრობლემების, მედიცინისა და ბიოლოგიის საუკუნეა. ამიტომ, საჭიროა მთელი ძალისხმევა მიიმართოს იმისკენ, რომ წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად დადგინდეს კონკრეტული საშუალებები,“ — განაცხადა ანტვერპენის უნივერსიტეტის (ბელგია) წარმომადგენელმა, ვორქშოპის ერთერთმა თანაორგანიზატორმა პროფესორმა იოჰან ჰილისმა.

კონფერენციაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის საპატიო დოქტორს (2003 წლიდან), პროფესორ პაოლო ემელიო რიჩის გეომეტრიის დარგში განხორციელებული კვლევებისთვის სპეციალური ჯილდოც გადაეცა. ეს არის ბელგიის გეომეტრიის ინსტიტუტის მიერ დაწესებული ჯილდო, ე.წ. სიმონ სტევინის პრიზი — ვერცხლის მედალი.

„ჩემთვის მოულოდნელი იყო, რომ აქ მივიღე სტევინის პრიზი გეომეტრიაში. საქართველოში უკვე მეექვსედ ვარ და ეს ქვეყანა მომწონს, ქართველები თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია. კონფერენციაზე ძალიან საინტერესო მოხსენებები იყო წარმოდგენილი,“ — განაცხადა პაოლო ემელიო რიჩიმ.

სამეცნიერო ვორქშოპის დასრულდების შემდეგ, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით, მრგვალი მაგიდა გაიმართა. შეხვედრაზე გამოიკვეთა სამომავალო თანამშრომლობის პერსპექტივები, რომლის ფარგლებში სტუდენტებსა და დოქტორანტებს გაცვლით პროგრამებსა და სამეცნიერო მივლინებებში ჩართვის ახალი შესაძლებლობები მიეცემათ.

„ვფიქრობ, არსებული ურთიერთობები და ურთიერთთანამშომლობა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ახალგაზრდა მეცნიერები უფრო განვითარდნენ გაცვლითი პროგრამებისა თუ სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საშუალებით,“ — აღნიშნა იტალიის წარმომადგენელმა პროფესორმა ჯუზეპე დატოლიმ.

მან აქვე დასძინა, რომ „იტალიის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ორგანიზაცია – „ENEA“ დაინტერესებულია საქართველოდან სტუდენტების მიღებით. მათ უკვე აქვთ ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობის გამოცდილება.

ვორქშოპი „მათემატიკური მოდელირება“ მომავალ წელს სალერნოს უნივერსიტეტში ჩატარდება. სალერნოს დელეგაციამ ამის შესახებ თანხმობა უკვე განაცხადა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ-იტალიური თანამშრომლობა მათემატიკის დარგში სათავეს ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ანდრია რაზმაძისა და ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორის ლეონიდა ტონელის ურთიერთობიდან იწყებს. შემდგომში, უნივერსიტეტის რექტორის ილია ვეკუასა და რომის უნივერსიტეტის პროფესორის გაეტანო ფიკერას წყალობით, ეს ურთიერთობა ახალ ეტაპზე გავიდა და დღესაც გარკვეული ფორმით გრძელდება.

# მოლაპარაკებები კაპოდისტრიის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან

16-23 თებერვალს, თსუ-ის იმიტაციური მოდელირებისა და ინტერაქტიური მეთოდების საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მეცნიერ-ხელმძღვანელი ჟანა თოლორდავა იმყოფებოდა საბერძნეთში, ათენის კაპოდისტრიის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელთან თანამშრომლობის შესახებაც თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის ოფიციალური მიმართვის საფუძველზე აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

კაპოდისტრიის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ ნიკოლაოს ერიოტისთან ერთად დაიგეგმა თანამშრომლობის მიმართულებები, როგორიცაა კვლევების ერთობლივი პროექტები, კონფერენციები, ერთობლივი სამეცნიერო შრომების გამოქვეყნება ათენისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში, ერთობლივი სემინარების ჩატარება, აკადემიური პროგრამების შედგენა, სტუდენტებისა და მაგისტრანტების გაცვლითი პროგრამები და სხვა.

იყო მსჯელობა ორმაგი ხარისხის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების შექმნის შესახებ, რომლის დროსაც მაგისტრანტები საგნების ნაწილს გაივლიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ნაწილს კი ათენის კაპოდისტრიის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ ეტაპზე ხდება იმ სპეციალობების დაკონკრეტება, რომლებიც უნდა შევიდნენ აღნიშნულ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში.

საუბარი შეეხო ბაკალავრიატის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასაც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელის თხოვნით, წარჩინებული სტუდენტები ერთი თვის ვადით გაიგზავნებიან რომელიმე გარკვეული კურსის მოსასმენად (ბიზნესის ადმინისტრირება, გამოყენებითი ეკონომიკა და სხვა მიმართულებები). მიმღები მხარე თავის თავზე აიღებს შეღავათიან ფასებში საცხოვრებელი პირობების შექმნასა და კვებით უზრუნველყოფას. ამ სფეროში დახმარებას გვთავაზობს საბერძნეთში მცხოვრები აღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტი ნატალია ქოქრაშვილი, რომელიც დაეხმარება საქართველოდან იქ ჩასულ სტუდენტებს.

ჟანა თოლორდავას განცხადებით, მოლაპარაკებებში აქტიურად ეხმარებოდათ და განსაკუთრებული საქმიანი აქტივობა გამოიჩინა ათენში მცხოვრებმა თბილისელმა ქალბატონმა ალიკი პაპადოპულუმ, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობს საზოგადოებრივ ორგანიზაციაში კულტურისა და განათლების კუთხით.

პერსონა

# შექსპირის კვლევის აღდგენილი ცენტრი და ანგლისტიკის ახალი გამოწვევები

*გასულ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კიდევ ერთი სამეცნიერო ტრადიცია აღადგინა: გაიხსნა შექსპირის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის წინამორბედიც ჯერ კიდევ 1971 წელს დააფუძნა ნიკო ყიასაშვილმა. მაშინ დიდი მეცნიერის მიერ შექმნილ ლაბორატორიაში დასავლეთევროპული ლიტერატურის მკვლევართა მთელი თაობა ჩამოყალიბდა, რომელთა დამსახურებითაც ქართული საზოგადოება ანგლო-ამერიკულ ლიტერატურას მშობლიურ ენაზე ეზიარა და ის ფასეულობები გაითავისა, რომლებიც საბჭოური იდეოლოგიური რკინის ფარდის მიღმა ლიტერატურის საშუალებით ჟონავდა. შექსპირის კვლევის ახლადდაფუძნებულ ცენტრს დღეს პროფესორი მანანა გელაშვილი ხელმძღვანელობს, რომელიც, ამავე დროს, დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს უდგას სათავეში.*

ლელა კურდღელაშვილი

მანანა გელაშვილი

**— ქალბატონო მანანა, როგორ შეიქმნა და რა გამოწვევების წინაშე აყენებდა დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის შემსწავლელ ქართულ სამეცნიერო სკოლას დრო? რა პერსპექტივა აქვს სამომავლოდ ანგლისტიკას, მეცნიერებას, რომელსაც თქვენი ცხოვრება და საქმიანობა დაუკავშირეთ?**

— ვფიქრობ, ბედისწერა არსებობს. ეს ნიშნავს, რომ მოხდება ის, რაც მოსახდენია! ასეთი ბედისწერის ძახილად იქცა ჩემთვის მიხეილ კვესელავას მიერ სტუდენტებისათვის მიცემული დავალების სათაური: „იყო შარლ ბოდლერი, მწარე და ძვირფასი..", ამის შესახებ ჩემი მეგობრისაგან შევიტყვე, რომლის დაც უნივერსიტეტში ფრანგულს სწავლობდა. ძალიან დამაინტერესა თემამაც და ლექტორმაც, მით უმეტეს, რომ ბატონი მიხეილის ნაშრომი „ფაუსტური პარადიგმები" უკვე წაკითხული მქონდა. სწორედ მაშინ გამიჩნდა აზრი, რომ ფილოლოგი გავმხდარიყავი, ოღონდ ინგლისური ენის სპეციალობით, თუმცა მშობლებს, რომლებიც სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორები იყვნენ, სურდათ მედიცინას გავყოლოდი, მე კი, ერთი პერიოდი, მათემატიკოსობას ვაპირებდი, მიუხედავად იმისა, რომ სამი წლის ასაკიდან ვწერდი ლექსებს, ვთარგმნიდი კიდეც და ლიტერატურა ძალიან მიყვარდა. ინგლისურს ბავშვობიდან მასწავლიდნენ, რადგან იმ დროს თბილისში მიღებული იყო ბავშვისათვის მუსიკა და უცხო ენა ესწავლებინათ.

ჩემი პროფესიული არჩევანი მიხეილ კვესელავას პიროვნებამ განაპირობა და სტუდენტობისას ჩემი ლექტორიც იყო, თუმცა, ასპირანტურაში სწავლისას თემის ხელმძღვანელად პროფესორი ნატალია ორლოვსკაია ავირჩიე. ბატონი მიხეილი უაღრესად საინტერესო ადამიანი, იდეების გენერატორი და არაჩვეულებრივი ლექტორი იყო, მაგრამ მიმაჩნდა, რომ ხედვა ისეთი რამ არის, რასაც ვერ გასწავლიან: ხედვა ან გაქვს, ან — არა! სწავლებით კი ფაქტობრივი მასალის სწავლაა შესაძლებელი. ამიტომ გადავწყვიტე, სამეცნიერო ხელმძღვანელად ამერჩია ქალბატონი ნატალია ორლოვსკაია, რომელიც იყო ენციკლოპედიური ცოდნის პატრონი, ძალიან მოწესრიგებული ადამიანი, რომელიც ყოველთვის ფაქტებს ეყრდნობოდა და დიამეტრალურად განსხვავდებოდა მიხეილ კვესელავასგან და ჩემგანაც. ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე და ძალინ მადლობელი ვარ მისი, რადგან არასდროს შეუზღუდავს ჩემი არჩევანი.

უნივერსიტეტში პირველი ლექციების ჩატარება ისევ მიხეილ კველელავას სახელს უკავშირება: როდესაც ბატონი მიხეილი ავად გახდა, მან კატეგორიულად მოითხოვა — მისი ლექციები — მე-20 საუკუნის საზღვარგარეთის ლიტერატურაში მე ჩამეტარებინა. ბუნებრივია, რომ ამას დიდი წინააღდეგობა მოჰყვა ფაკულტეტზე: ხარისხის არმქონე თანამშრომელს ლექციების ჩატარების უფლება არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ბატონ მიხეილს იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ უარი ვერ უთხრეს. მე კი ასე აღმოვჩნდი დიდი აუდიტორიის პირისპირ, სადაც სტუდენტთა ნაწილი ჩემი ასაკის, ზოგი კი უფროსიც იყო.

მოდერნისტებით თავიდანვე დავინტერესდი და სადიპლომო ნაშრომად „დრო ფოლკნერთან" მოვამზადე. მაგრამ საკანდიდატო დისერტაცია რომანტიკოსებზე გავაკეთე, რადგან იმ პერიოდში გარკვეული თემები ცენზურის ქვეშ იყო და ფოლკნერსა და დროზე წერა არადისერტაბელურ თემას წარმოადგენდა. ქალბატონმა ნატალიამ, რომელმაც იცოდა ჩემი მისწრაფებები და ისიც, რომ კლასიციზმი და განმანათლებლობა არ დამაინტერესებდა, მირჩია რომანტიზმში მომემზადებინა თემა. ინგლისელ რომანტიკოსთა პირველი თაობა, ე.წ. ტბის სკოლის პოეტები, კომუნისტების პერიოდში თითქმის არ იყო გამოკვლეული. ჩვენში მათ ძირითადად ლანძღავდნენ და რელიგიურ პოეტებსა და მისტიკოსებს უწოდებდნენ, მე კი სწორედ ამან მომხიბლა და გადავწყვიტე, რომ ნამდვილად ღირდა მათი შემოქმედების კვლევა. ჩემი დისერტაციის სახელწოდება იყო „კოლრიჯის შემოქმედებითი პრინციპები". მასში რომანტიზმის თეორიის ფონზე განვიხილავდი სემუელ კოლრიჯისა და უილიამ უორდსუორთის პოეზიას. მოგვიანებით კი კვლავ დავუბრუნდი მოდერნისტებს: ფოლკნერს, ჯოისს, ვირჯინია ვულფს, დავუბრუნდი დროის თემას, რადგან დრო შეიცვალა და 80-იან წლებში უკვე შეიძლებოდა ამაზე წერა. პირველი მონოგრაფია, რომელიც გამოვეცი, იყო არა რომანტიზმზე, არამედ სწორედ ამ თემაზე: „დროის პრობლემა მოდერნისტულ ლიტერატურაში".

**— სწორედ ამ პერიოდიდან ჩვენში დასავლეთ ევროპული მოდერნიზმი ძალიან მოდური გახდა, თუმცა, ეს ერთბაშად არ მომხდარა და ძალიან ბევრი ადამიანის ღვაწლი და მონდომება ჩაიდო იმაში, რომ საქართველოც ჩართული ყოფილიყო მეოცე საუკუნის ლიტერატურულ პროცესებში..**

— ამ ავტორების პოპულარიზაცია ნიკო ყიასაშვილის სახელს უკავშირდება. სწორედ მან დაიწყო უნივერსიტეტში ჯეიმს ჯოისის, ვირჯინია ვულფის და სხვა მოდერნისტი მწერლების სწავლება. თუმცა, ყიასაშვილამდე იყო ერეკლე ტატიშვილი, რომელმაც შალვა ნუცუბიძესთან ერთად ჩაუყარა საფუძველი დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტს. სწორედ მისგან გაიგო პირველად ჯოისის სახელი ნიკო ყიასაშვილმა. მართალია, 40-იან წლებში უნივერსიტეტში მოდერნისტებს ვერ ასწავლიდნენ, მაგრამ სტუდენტთა ჯგუფი: ნიკო ყიასაშვილი, ნოდარ კაკაბაძე, მიხეილ კვესელავა, ციალა თოფურიძე, სახლში დადიოდნენ ერეკლე ტატიშვილთან და სწორედ აქ ისმენდნენ იმას, რისი თქმაც ლექციებზე არ შეიძლებოდა.

80-იანი წლების დასწყისში, როდესაც ცენზურა შერბილდა, ნიკო ყიასაშვილმა უნივერსიტეტში გახსნა მეოცე საუკუნის ლიტერატურული პროცესების შემსწავლელი ლაბორატორია. ამ ლაბორატორიაში მუშაობდნენ: თემურ კობახიძე, რომელიც ტომას ელიოტის არაჩვეულებრივი სპეციალისტია; პაატა შევარდნაძე, რომელიც ჩვენი კოლეგაა და დისერტაცია უილიამ ბატლერ იეიტსზე დაწერა; დღეს უკვე ცნობილი მწერალი ზურაბ ქარუმიძე, რომელიც ჯონ დონის პოეზიას იკვლევდა; მოკლედ, შესანიშნავი ჯგუფი შეიკრა, რომელიც ლიტერატურული ინტერესებით ცხოვრობდა; ჯერ კიდევ 1971 წელს ნიკო ყიასაშვილის თაოსნობით გაიხსნა შექსპირის ცენტრიც, ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია შექსპირის თემაზე. სამწუხაროდ, უნივერსიტეტის რეფორმის პერიოდში, ეს ცენტრი და ლაბორატორია დაიხურა. საერთოდ, 80-იანი წლები საკმაოდ ნაყოფიერი იყო დასავლეთევროპული ლიტერატურის კვლევის მხრივ, შემდეგ, ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა, რომ უკვე აღარავის ეცალა ლიტერატურისათვის.

**— თუმცა, ზუსტად იმ პერიოდში გაიხსნა საზღვრები და შესაძლებლობა მოგეცათ, პირდაპირი ურთიერთობები დაგემყარებინათ უცხოელ კოლეგებთან. ეს ფაქტორი როგორ აისახა დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის შესწავლის პროცესზე?**

— მახსოვს, პირველად ოქსფორდის უნივერსიტეტს 90-იან წლებში ვეწვიე. მანამდე იქ მოხვედრა სრულიად წარმოუდგენელი ამბავი იყო. კოლეგებმა მკითხეს, თუ შეიცვალა რამე თქვენთანო? მე მოკლედ ვუპასუხე: ოქსფორდში ვარ! ის ფაქტი, რომ შესაძლებელი გახდა ჩემი ოქსფორდში ყოფნა, თავისთავად ნიშნავდა ძალიან დიდ ცვლილებებს. ოქსფორდში სპეციალური სტიპენდიის დახმარებით გავემგზავრე, შემდეგ კი თანამშრომლობა გააქტიურდა და შემომთავაზეს, როგორც მიწვეულ პროფესორს, წალიწადში ერთი თვის მანძილზე მემუშავა მათ ბიბლიოთეკებში. ფაქტობრივად, მთელი ნაშრომები, რასაც მერე უკვე სტატიების სახით ვაქვეყნებ, მზადდება ამ მასალებზე დაყრდნობით.

**— ის, რომ ევროპული ფასეულობები გაზიარებულია ჩვენი საზოგადოების მიერ, დიდწილად იმ ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნეში თითქმის მოწყვეტილები ვიყავით დასავლეთ ევროპას, ლიტერატურის გზით ცდილობდნენ ამ კულტურის შემოტანას საქართველოში. დღეისთვის რამდენად შენარჩუნებულია ტრადიცია და დასავლეთევროპული და ანგლო-ამერიკული ლიტერატურის უახლეს ტენდენციებს თუ იცნობს ქართული საზოგადოება?**

— უნივერსიტეტი შექმნის დღიდან იყო აბსოლუტურად ევროპული, რადგან პროფესურა, რომელიც თავდაპირველად იდგა უნივერსიტეტის სათავეებთან, ევროპაში განათლებამიღებული ადამიანებისგან შედგებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩვენს ფაკულტეტს აქვს არაჩვეულებრივად საინტერესო ისტორია: ფაკულტეტის შექმნას საფუძველი ჩაუყარეს შალვა ნუცუბიძემ და ერეკლე ტატიშვილმა, რომლებსაც, იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო, ბოლშევიკების პერიოდში, აეკრძალათ საკუთარ სპეციალობაში წაეკითხათ ლექციები. ამიტომ, მათ, მიუხედავად იმისა, რომ არ იყვნენ სპეციალისტები, მოუხდათ ენა და ლიტერატურა ესწავლებინათ. ისინი გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში იყვნენ ნამოგზაურები, ნაცხოვრები, ნასწავლი და დაახლოებული იყვნენ იმ სამყაროსთან. ასე შეიქმნა ჰუმანიტარული ფაკულტეტის შიგნით გარკვეული ჯგუფები, რომელთაც ევროპულ ცოდნასთან ერთად მოჰქონდათ ევროპული პოზიცია და ღირებულებები. ამიტომ სულ ვამბობ, რომ იმ პერიოდის მოვლენებმა, როცა უნივერსიტეტში საშინელება ტრიალებდა და წითელი პროფესურა მოვიდა, როცა ივანე ჯავახიშვილი გააძევეს, შალვა ნუცუბიძე დაიჭირეს, ჩვენს ფაკულტეტს შექმნის ბიძგი მისცა. მაშინ ერეკლე ტატიშვილისთვის რომ არ აეკრძალათ საერთაშორისო ურთიერთობების სწავლება, ის არ დაიწყებდა ინგლისური ენისა და ლიტერატურის შესახებ ლექციების კითხვას. პოლიტიკური აკრძალვების გამო შეიქმნა გარკვეული ოაზისი, სადაც თავი მოიყარეს ევროპული მენტალიტეტის ადამიანებმა, რომლებმაც გაზარდეს ხალხი, ვინც ჩემს თაობას დახვდა უნივერსიტეტში – ნიკო ყიასაშვილი, ნოდარ კაკაბაძე, ოთარ ჯინორია, მიხეილ კვესელავა და სხვები;

**— დღეს რა ხდება ფაკულტეტზე და ანგლისტიკის შესწავლის კუთხით რა სიახლეები გაქვთ?**

— პირველ რიგში, ვცდილობთ, გავაღრმავოთ საერთაშორისო კონტაქტები: ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელშეწყობით რამდენჯერმე გვეწვია ოქსფორდიდან ჩემი კოლეგა, პროფესორი კარლ შმიდტი, რომელმაც ჩვენს სტუდენტებს ლექციები წაუკითხა, ასევე, დაფინანსდნენ ჩვენი სტუდენტები, რათა მიეღოთ მონაწილეობა უცხოეთში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში. ასეთი კონტაქტები ძალიან მნიშვნელოვანია.

წელს ჯოისის ,,დუბლინელების'' საიუბილეო წელია და რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაზე ვიყავი: დუბლინში, რომში. მოხსენების შემდეგ ჩვენი კრებულიც წარვადგინე, რომელიც ჯოისის საიუბილეოდ გამოვეცით. ციურიხის ჯეიმზ ჯოისის ფონდში კი ლექცია წავიკითხე ,,ჯოისის კვლევისა და თარგმნის ისტორია საქართველოში''. საერთოდ, სადაც კი მოვხვდები, მოხსენების დასრულების შემდეგ, ვცდილობ, ვისაუბრო იმის შესახებ, რომ საქართველოში არსებობს ჯოისის კვლევის ტრადიცია, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია: უცხოეთში ნაკლებად გვიცნობენ და ძალიან ძნელად წარმოუდგენიათ, რომ ჩვენისთანა მცირერიცხოვან ქვეყანაში შესაძლებელია ჯოისის შესწავლით დაინტერესდნენ. ბევრი ერი ვერ დაიკვეხნის იმას, რომ მათ სრულად ჰქონდეთ ნათარგმნი ჯოისის მთელი შემოქმედება საკუთარ ენაზე და ჰყავდეთ მკვლევარები, რომლებიც ჯოისის შემოქმედებაზე მუშაობენ. იგივეს ვიტყვი შექსპირთან დაკავშირებითაც: მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ჩვენ მიერ შექსპირის შესახებ მომზადებული კრებული ბოდლერის ბიბლიოთეკის წიგნთსაცავშია დაცული.

საბედნიეროდ, დიდი ძალისხმევის შემდეგ აღვადგინეთ შექსპირის შემსწავლელი ცენტრი. მცირე პერიოდის მიუხედავად, ცენტრში უკვე ბევრი რამ გაკეთდა: ჩავატარეთ ორი საერთაშორისო კონფერენცია, გამოვეცით კრებული და ახლა მეორე კრებულს ვამზადებთ გამოსაცემად. საერთოდ, მე და ჩემს გუნდს რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია გვაქვს ჩატარებული: ოქსფორდში, იქაურ კოლეგებთან ერთად ჩავატარეთ კონფერენცია „ბრიტანული ლიტერატურა დღეს"; თბილისში ჩავატარეთ „მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი"; ,,ჯოისი 130" და შექსპირისადმი მიძღვნილი ორი საერთაშორისო კონფერენცია.

რამდენიმე პროექტი განხორციელდა რუსთაველის თეატრთან ერთად. მაგალითად: 4 დღე სტურუას შექსპირის სამყაროში (პროექტის ავტორი, ასოცირებული პროფესორი დათო მაზიაშვილი). ამ პროექტის ფარგლებში სტუდენტებს, შექსპირის შემოქმედების შესწავლის პარალელურად, საშუალება მიეცათ, ენახათ მათი სცენური ხორცშესხმა, შეხვედროდნენ რეჟისორსა და მსახიობებს. ახლა ახალ პროექტს ვიწყებთ, რომელშიც სკოლის მოსწავლეებიც გვინდა ჩავრთოთ.

უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან გვეხმარება ბრიტანეთის საბჭო, რომელთან ერთადაც შექსპირის ცენტრმა შარშან ჩაატარა სტუდენტური კონფერენცია სახელწოდებით „შექსპირი საქართველოში." გამოსაქვეყნებლად შეირჩა ხუთი საუკეთესო მოხსენება, გამარჯვებულს კი, ბრიტანეთის საბჭოსა და ფაკულტეტის ხელშეწყობით, საშუალება მიეცა, ერთი თვის მანძილზე ოქსფორდში ემუშავა შექსპირის

მე-13 გვერდზე

# სტუდენტური პროექტი მომავალი ლიდერობისთვის

*თსუ-ში საგაზაფხულო სკოლა „ლიდერი“ გაიხსნა. ამ დროისთვის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 30 სტუდენტს ლექცია-სემინარები უტარდება. პროექტი „ლიდერი“ თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ ხორციელდება და მიზნად ისახავს მათთვის სამეწარმეო უნარების, პროფესიული ცოდნის, ანალიტიკური აზროვნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის უნარების გამომუშავება-განვითარებას. სემინარებს ატარებენ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული ელჩები და წარმატებული ბიზნესმენები, ადგილობრივი და საერთაშორიშო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები.*

**ნატო ოგოლაძე**

„ჩვენ სტუდენტებს გარკვეული დავალებები უკვე მივეცით. მენტორების ხელმძღვანელობით მათ მოამზადეს სხვადასხვა აქტუალურ თემებზე სტატიები, რომელიც თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსდა. ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება მათ ჯერ არ აქვთ, ამიტომ ჩვენ ვეხმარებით — ვაძლევთ რჩევებს, მასალებს ვარედაქტირებთ და ა.შ.

27 მარტს მათთვის ლექცია ესტონეთის ელჩმა წაიკითხა თემაზე „ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ესტონური გამოცდილება“. სტუდენტებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხი მიიღეს. ამ კვირაში, ვგეგმავთ ვიზიტს „ბარამბოს“ ქარხანაში. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ პროექტის დასრულების შემდეგ სტუდენტებს დამოუკიდებლად შეეძლოთ ეკონომიკურ აქტუალურ თემებზე ანალიტიკური სტატიების მომზადება და თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის მუშაობაში მონაწილეობის მიღება. სკოლა „ლიდერის“ მსმენელები საკმაოდ მკაცრი კონკურსის საფუძველზე შევარჩიეთ. ჩვენ ვითხოვთ მაღალ აკადემიურ მოსწრებას, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნას და IQ ტესტის წარმატებით გავლას. პროექტის დასასრულს, წარმატებულ სტუდენტებს სპეციალური საჩუქრებით დავაჯილდოვებთ,“ — განაცხადა თსუ-ის რექტორის მრჩეველმა, „თსუ ანალიზისა და პრგნოზირების ცენტრის“ ხელმძღვანელმა, ვახტანგ ჭარაიამ.

თსუ-ში საგაზაფხულო სკოლა „ლიდერი“ 13 მარტს გაიხსნა. ცერემონიას თსუ-ის რექტორი ლადო პაპავა, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, ლიტვის რეპუბლიკის ელჩი იონას პასლაუსკასი, ევროკავშირის ვიცე-ელჩი ბორის იაროშევიჩი, ესტონეთის ელჩი პრიიტ ტურკი, ისრაელის ელჩი იუვალ ფუქსი, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი ციმინტია, ცნობილი ბიზნესმენები და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლები და სხვა ცნობილი პირები დაესწრნენ.

„ეს პროექტი ჩვენი დოქტორანტების დიდებული წამოწყებაა. მინდა, მადლობა ვუთხრა მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებმაც მასში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტეს. სტუდენტებს სემინარებს საქართველოში აკრედიტებული ელჩები წაუკითხავენ და, შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, რომ პროექტი აუცილებლად წარმატებული იქნება,“ — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ.

„მიხარია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასეთი აქტიური ცხოვრება მიდის. მიხარია, რომ აქ სტუდენტები მხოლოდ სწავლისთვის არ მოდიან და ემზადებიან მომავალი ლიდერობისთვის, იმისათვის, რომ ხვალ უკვე მათ გადაიბარონ ქვეყანა და იგი უფრო წარმატებული გახადონ. იმედი მაქვს, რომ უნივერსიტეტი გაზრდის სტუდენტებს, რომლებიც მომავალში ქართულ პოლიტიკაში სერიოზულ სიტყვას იტყვიან,“ — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

საგაზაფხულო სკოლა „ლიდერის“ ორგანიზატორები საუკეთესო მსმენელებს სპეციალურ საჩუქრებს უმზადებენ. სტუდენტები დაჯილდოვდებიან საკონფერეციო მივლინებით საზღვარგარეთ, ფასიანი პრიზებით და სიმბოლური საჩუქრებით. ყველა მონაწილეს გადაეცემა მონაწილეობის დამადასტურებელი სხვადასხვა კატეგორიის სერტიფიკატი.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ში ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრი შეიქმნა, რადგან მიმაჩნია, ეს არის უნივერსიტეტის ხმა და სტუდენტებისთვის დიდი შესაძლებლობა — ამ პროექტის ფარგლებში შევხვდეთ ბევრ გამორჩეულ ადამიანს და მივიღოთ ცოდნა. დარწმუნებული ვარ, „ლიდერში“ მონაწილეობით დიდ გამოცდილებას შევიძენთ,“ — განაცხადა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა თამარ წულაიამ.

საგაზაფხულო სკოლა „ლიდერი“ მიმდინარე წლის ივნისის თვეში დასრულდება.

# „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს!“

## უნივერსიტეტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს საჯარო ლექციით ეხმაურება

**ნატო ოგოლაძე**

საქართველოს ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაცია დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულს შეუერთდა. ასოციაციის ორგანიზებით, აღნიშნულ თემაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. მათ შორის იყო პროფესორ თამარ გაგოშიძის საჯარო ლექცია და ფილმის — „მეც ასევე“ ჩვენება.

„ჩვენი ასოციაცია ფსიქოლოგიის კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობს. სწორედ ამიტომ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულში მონაწილეობის მიღება,“ — გვითხრა საქართველოს ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა გაგა გვენეტაძემ.

პროფესორ თამარ გაგოშიძის ლექცია დაუნის სინდრომის გამომწვევ მიზეზებს, ამ სინდრომის მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას, დაუნის სინდრომით დაბადებული ახალშობილების სტატისტიკური ზრდის მონაცემებსა და საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელობას შეეხებოდა. განხილული იყო კონკრეტული მაგალითებიც.

„მახსოვს ერთი ქალბატონი, რომელსაც სურდა, თავისი შვილისთვის თვალების ოპერაცია გაეკეთებინა, რათა არავის შეემჩნია მისთვის დაუნის სინდრომი. იმისათვის, რომ გადაეფიქრებინა, მასთან არა ერთი საუბარი დამჭირდა. შესაბამისად, ეს არ არის მხოლოდ ფსიქოლოგიური და სამედიცინო სპეციალისტების კომპეტენცია, ეს არის საზოგადოებრივი ცნობიერების საკითხი. საქართველოში დაუნის სინდრომის თუნდაც წარმოთქმა და აღიარება, სპეციალისტების და მშობლების მხრიდანაც, არ იყო ადვილი. არც ახლა არის მარტივი. თითქმის ანალოგიური ვითარებაა სხვა ქვეყნებშიც. ასეთი მდგომარეობის მქონე ადამიანებს აქვთ გარკვეული დაბრკოლებები, რომელთა შესახებ საუბარი და მათი გადალახვა აუცილებელია,“ — აღნიშნა თამარ გაგოშიძემ.

საჯარო ლექციას ფართო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ — მათ შორის, თსუ-ის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პროფესორები. მსგავსი ღონისძიებების და კონკრეტულად ამ ლექციის შეფასება მსმენელების მხრიდან ერთმნიშვნელოვნად დადებითი გახლდათ.

„ქალბატონი თამარ გაგოშიძის მიერ ჩატარებული საჯარო ლექცია, როგორც ყოველთვის, საკმაოდ საინტერესო იყო და ეხებოდა დაუნის სინდრომის თემას. ლექციის დროს განხილულ იქნა სინდრომის გამომწვევი მიზეზების და რისკების, ასევე, დაუნის სინდრომის მქონე პირთა მახასიათებლებისა და უნარების შესახებ, საუბარი ასევე შეეხო იმ პრობლემატურ საკითხებს, რომლებიც აწუხებთ საქართველოში დაუნის სინდრომის მქონე პირებს საზოგადოების მხრიდან, კერძოდ, ნეგატიური დამოკიდებულებების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის მხრივ... აღნიშნული თემა საკმაოდ აქტუალური და პრობლემატურია. პრობლემის გადაჭრა კი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვით იწყება და ძალიან მიხარია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად იღებს მონაწილეობას ამ მიმართულებით მოწყობილი საჯარო ლექციების გამართვასა და საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანაში. მომავალში კარგი იქნება, თუ მსგავსი ტიპის საჯარო ლექციებს უფრო ინტენსიური სახე მიეცემა. ჩემი აზრით, რაც მეტი ადამიანი შეძლებს ამ ინფორმაციის მიღებას, მით უფრო მაღალი იქნება იმის ალბათობა, რომ საზოგადოებამდე სწორი ფორმით მივიდეს ის გზავნილები, რომლებიც საჯარო ლექციის დროს გაჟღერდა — ადამიანებმა მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და იცხოვრონ ბედნიერად. დიდ მადლობას ვუხდი ორგანიზატორებს, მონდომებული ახალგაზრდები არიან და წარმატებებს ვუსურვებ პროფესიულ საქმიანობაში,“ — განაცხადა თსუ-ის კურსდამთავრებულმა, ფსიქოლოგმა გიორგი გერგაულმა.

საქართველოს ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაცია (GYPA) არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების შესახებ, ცნობიერების ამაღლებასა და ამ მიმართულებით მრავალი საინტერესო პროექტის განხორციელებაზე. ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერ მსურველს შეუძლია (GYPA)-სთან ერთად განახორციელოს სხვადასხვა იდეა თუ პროექტი. ორგანიზაციის დეპარტამენტები დაკომპლექტებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტებით, რომელთა უმრავლესობას აქვს პროფესიული კუთხით მუშაობის გამოცდილება. ასოციაცია მორიგ ღონისძიებას — საჯარო ლექციას, რომელიც აუტიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართება — 2 აპრილს გეგმავს.

# „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“ — გზამკვლევი ეკონომისტებისთვის

*საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებამ და განვითარებამ დღის წესრიგში ქართული ენის ნორმების დაცვა, ეკონომიკური ტერმინოლოგიის დახვეწა და ზუსტი ქართული შესატყვისების დამკვიდრების აუცილებლობა დააყენა. დღეს, როგორც ყოფით მეტყველებაში, ისე ოფიციალურ საქმისწარმოებასა და მიმოწერაში არცთუ იშვიათად შეხვდებით ქართული ენის ნორმების უხეში დარღვევის ფაქტებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით საგრძნობია ეკონომიკის სფეროში.*

*თანამედროვე ეკონომიკისა და ბიზნესის ტერმინოლოგიის სისტემატიზაციის საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ქვეყანაში, ახალი ეკონომიკური კულტურის ჩამოყალიბებასთან ერთად, ახალი პროფესიები გაჩნდა, ეკონომიკური ტერმინოლოგია გასცდა ეკონომიკური მეცნიერების ჩარჩოებს და თითქმის ყველა სფეროში დამკვიდრდა. ამიტომ ქვეყნის კულტურული განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური დარგის ენციკლოპედიების შექმნას, რადგანაც იგი შეიცავს შედარებით სრულყოფილ ინფორმაციას მოცემული დარგის შესახებ.*

**თამარ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ**




სწორედ ქართული ლექსიკის უცხო სიტყვებით დატვირთვისა და უცხოური ტერმინების არასწორად ხმარების თავიდან ასაცილებლად გამოსცა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრმა **როზეტა ასათიანმა** წიგნი **„თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“**, რომელიც განკუთვნილია მეცნიერ-ეკონომისტებისა და პრაქტიკოსებისათვის.

„საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების და განვითარების პროცესში, საბანკო და საფინანსო ლიტერატურაში დამკვიდრდა სიტყვები, რომლებიც უცხოურიდან პირდაპირ არის გადმოტანილი, რადგან ქართული ანალოგი არ გააჩნია. ასეთი ტერმინების პირდაპირი გადმოტანა კი ენას ამახინჯებს. სწორედ ქართული ლექსიკის უცხო სიტყვებით დატვირთვისა და უცხოური ტერმინების არასწორად ხმარების თავიდან ასაცილებლად გამოვეცი ეს ნაშრომი და იმედი მაქვს, ის თავის წვლილს შეიტანს ქართული ენის სალიტერატურო ნორმების დაცვის საქმეში,“ — აცხადებს როზეტა ასათიანი, რომელიც 10-მდე ეკონომიკური ლექსიკონის ავტორი და შემდგენელია.

„თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“ ავტორის 25-წლიანი შრომის შედეგია, რომლის ანალოგი თანამედროვე ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში არ მოიპოვება. ლექსიკონი საბაზრო ეკონომიკის 2 ათასამდე ტერმინს მოიცავს. მასში პირველადაა შეტანილი რამდენიმე ასეული ერთეული, რომელიც საქართველოში მანამდე გამოცემულ არც ერთ ეკონომიკურ ლექსიკონში არ ყოფილა ასახული და განმარტებული.

ნაშრომი მოიცავს თანამედროვე მიკრო, მეზო, მაკრო და მეგაეკონომიკის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხთა ფართო წრეს, აგრეთვე ცნობილი ეკონომისტების, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატების, მეცნიერული მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. ყოველი ტერმინის, ცნების სალექსიკონო სტატია შედგება მისი სახელწოდების, აბრევიატურის (თუკი აქვს), ინგლისური შესატყვისის, ეტიმოლოგიის და ახსნა-განმარტებისგან.

ნაშრომში წარმოდგენილია საბაზრო ეკონომიკაში გამოყენებული ტერმინები და ცნებები, მსოფლიოში ცნობილი არა ერთი უცხოელი მეცნიერისა და ღვაწლმოსილი ქართველი ეკონომისტის, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების ბიოგრაფიები.

ნაშრომს საფუძვლად დაედო ქართული და უცხოური ეკონომიკური ლიტერატურა (ენციკლოპედიები, ლექსიკონები, მონოგრაფიები, სტატიები), მათ შორის დევიდ. უ. პირსის საერთო რედაქციით გამოცემული „მაკმილანის თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ლექსიკონი (მეოთხე გამოცემა), „ოქსფორდის განმარტებითი ბიზნეს-ლექსიკონი“, ო. ბლანშარის „მაკროეკონომიკა“ და სხვა ნაშრომები.

წიგნში უმეტესად შესულია საკუთრივ ავტორისეული განსაზღვრებები — ჩამოყალიბებული ხანგრძლივ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის პროცესში. ამიტომ ზოგიერთი ტერმინი, ცნება, სხვებთან შედარებით, ვრცლად არის განმარტებული. ავტორი იძლევა როგორც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს ახსნას, ისე ბიზნეს-გარემოს ამსახველი ტერმინების განმარტებას, რაც, უდავოდ, გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს სალექსიკონო და საცნობარო ლიტერატურაში: „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“ დაეხმარება მკითხველს, გაერკვეს საბაზრო ურთიერთობების რთულ ლაბირინთში, ამასთან იგი ხელს შეუწყობს საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ტერმინებისა და ცნებების გავრცელებადამკვიდრებას“, — აღნიშნავს ქ-ნი როზეტა ასათიანი.

„ენციკლოპედია“ საყურადღებოა იმითაც, რომ სწორად იქნეს გააზრებული ეკონომიკური დოკუმენტები და საკანონმდებლო აქტები, გამოირიცხოს მათი არაადეკვატური ინტერპრეტირება. დღეს არსებული დოკუმენტების ტექსტში ტერმინების გამოყენება არცთუ იშვიათად იწვევს გარკვეულ სიძნელეებს, რომელიც, როგორც წესი, დაკავშირებულია მათი მნიშვნელობის აცოდნასა და ტერმინების აღრევასთან. ნაშრომი ხელს შეუწყობს აგრეთვე ქართული ენის ნორმების დაცვას და სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური ტერმინოლოგიის დამკვიდრებას.

აი, რა შეფასებას აძლევს ნაშრომს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა:** „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“ პროფესორ როზეტა ასათიანის შემოქმედების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. ის, უწინარეს ყოვლისა, გამოირჩევა ორიგინალობით, რადგან არ შექმნილა უცხოური ანალოგების უშუალო გადმოქართულებით. ავტორის დამსახურებაა ის, რომ მან კრიტიკულად შეაფასა ეკონომიკური ტერმინების არსებული განმარტებები და ორიგინალური ინტერპრეტაცია მისცა მათ დიდ უმრავლესობას.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე გამოცემულ ეკონომიკურ საცნობარო ლიტერატურაში პროფესორ როზეტა ასათიანის მიერ შექმნილი ენციკლოპედია თავისი სიღრმითაა განსაკუთრებით გამორჩეული. ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ წინამდებარე ნაშრომი ეკონომისტთა, მეცნიერებათა წარმომადგენლებისა და სტუდენტების სამაგიდო წიგნის ფუნქციას შეასრულებს“...

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი **ნოდარ ჭითანავა** მაღალ შეფასებას აძლევს „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედიას“ და მის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე საუბრობს: „წინამდებარე ნაშრომში ვრცლად არის განხილული ეროვნულ ეკონომიკაზე გლობალური პროცესების გავლენის თავისებურებები, ტენდეციები, ქართული ეკონომიკური მეცნიერების როლი, გლობალურისა და ლოკალურის თავსებადობის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები, გარდამავალი პერიოდის წინააღმდეგობრივი ხასიათი და მოცემულია, თვით ენციკლოპედიისადმი წაყენებული მოთხოვნების, მისი თავისებურებების გათვალისწინებით, მიმდინარე პროცესების ადეკვატური ახსნა. სწორედ ამით განისაზღვრება ნაშრომის ორიგინალური ხასიათი.

როგორია ნაშრომის მეცნიერული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა? სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ნაშრომი პასუხობს ენციკლოპედიის საყოველთაოდ ცნობილ მოთხოვნებს და გამოირჩევა სიახლეებით, რაც მას განსაკუთრებულ მეცნიერულ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს. ამაში თავად მკითხველი დარწმუნდება“... – ამბობს იგი.

„ტერმინოლოგიის სისტემიზაციის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის მიერ მომზადებული ნაშრომი „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“, — ასე მიაჩნია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **თეიმურაზ ბერიძეს,** რომელიც წიგნის ღირებულ მხარეებზე საუბრობს და მას „ეკონომიკის გზამკვლევს“ უწოდებს: „ავტორი იძლევა როგორც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს ახსნას, ისე ბიზნეს-გარემოს ამსახველი ტერმინების განმარტებას, რაც, უდავოდ, გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს სალექსიკონო და საცნობარო ლიტერატურაში. ავტორი არ იფარგლება მხოლოდ ტერმინების განმარტებით, არამედ იძლევა მათ სიღმისეულ ახსნას, რაც, ასევე, ლექსიკონის ღირებულ მხარესა და სიახლეს წარმოადგენს“...

პროფესორ როზეტა ასათიანის შემოქმედება 160-ზე მეტ მეცნიერულ ნაშრომს მოიცავს, მათ შორისაა: მონოგრაფიები, დამხმარე სახელმძღვანელოები, ეკონომიკისა და ბიზნესის განმარტებითი ლექსიკონები და ბროშურები. ის გახლავთ თანაავტორი და მთავარი რედაქტორი პირველი ქართული სახელმძღვანელოსი ეკონომიკურ თეორიაში (1998წ.). 40-ზე მეტი მონოგრაფიის მეცნიერ-რედაქტორმა, 1993 წელს ჩამოაყალიბა სტატისტიკური სამსახური „ბარომეტრის“ სახელწოდებით და გამოსცა სტატისტიკური კრებულები სერიით — „საქართველო და გარე სამყარო“. ასევე ნაყოფიერად მოღვაწეობს საცნობარო-ეკონომიკური ლიტერატურის შექმნის მიმართულებით და მრავალი ეკონომიკური ლექსიკონის ავტორი და შემდგენელია, მაგრამ როგორც ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **მერაბ გველესიანი** აღნიშნავს: „წიგნის ავტორი, თავისი ფართო ერუდიციის და აზროვნების წყალობით, ვერ ჩაეტია ამ ფორმატში და მისმა საქმიანობამ ბუნებრივი და კანონზომიერი ტრანსფორმაცია განიცადა. ამის პროდუქტი იყო „თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (2012წ.) და ამის პროდუქტია მცირე ენციკლოპედიაც, რომელიც ქმნის წინაპირობას და, ვფიქრობ, ფუნდამენტსაც დიდ ენციკლოპედიაზე სამუშაოდ“...

„ენციკლოპედია“ გამოსცა გამომცემლობა „სიახლემ“, რომლის პრეზიდენტი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როზეტა ასათიანია. წიგნის რეცენზენტები არიან: **ლეო ჩიქავა,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და **თეიმურაზ ბერიძე** — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

წიგნი განკუთვნილია არა მარტო მეცნიერ-ეკონომისტებისა და პრაქტიკოსებისთვის, იგი, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო მასალა, სამსახურს გაუწევს უმაღლესი სასწავლებლის როგორც ეკონომიკური პროფილის, ისე სხვა საუნივერსიტეტო სპეციალობების ბაკალავრებს, მაგისტრებს, დოქტორანტებსა და აკადემიურ პერსონალს, საერთოდ, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველს...

# შექსპირის კვლევის აღდგენილი ცენტრი და ანგლისტიკის ახალი გამოწვევები

**მეთერთმეტე გვერდიდან**

მასალებზე, რაც დარგის პერსპექტივისთვის და სამომავლოდ კადრების მომზადებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ახლახან მოვიპოვეთ მცირე გრანტი, რომლის საშუალებითაც უნდა ჩატარდეს კვლევა შექსპირის თარგმნისა და კვლევის ისტორიაზე საქართველოში. ამ მხრივ ბოლო პერიოდის პროცესები აბსოლუტურად შეუსწავლელია.მომავალ წელს არის შექსპირის საიუბილეო წელი, მინდა, რომ მოხერხდეს რამდენიმე ჩვენი სტუდენტის წაყვანა საიუბილეო კონფერენციაზე, რათა მიეცეთ საშუალება — მოუსმინონ ცნობილ მეცნიერებს და თან ჩვენი ნაშრომიც წავიღოთ. ახლო მომავალში ისევ ვაპირებთ ბრიტანეთის საბჭოსთან ერთად სტუდენტური კონფერენციის ჩატარებას სახელწოდებით — „შექსპირის აღქმა მე-20 საუკუნეში”, თუ როგორ აღიქვეს შექსპირი ვირჯინია ვულფმა, ელიოტმა, ჯოისმა, ფოლკნერმა, როგორ მოხდა მისი აღქმა თეატრში. უკვე მზადდება შექსპირის კვლევის ცენტრის ვებ-გვერდი, სადაც ეს მასალები გამოქვეყნდება.

**— თუმცა, ახალმა დრომ დააყენა ახალი გამოწვევები: დღეს ინგლისური ენის კომერციალიზაცია მოხდა. ამან ხომ არ იმოქმედა ლიტერატურული და ლინგვისტური პროცესების კვლევაზე?**

— რა თქმა უნდა, დრო შეიცვალა: დღეს ჩვენი სტუდენტების უმეტესობისთვის ინგლისური ენა იქცა იმის საშუალებად, რომ მოიპოვოს პური არსობისა. ვფიქრობ, ეს ბუნებრივი პროცესია. ინგლისური ფილოლოგიის მიმართულება ძალიან მრავალრიცხოვანია: კურსზე 200 სტუდენტი გვყავს და მათში ყოველთვის არის სტუდენტთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც დაინტერესებულები არიან უშუალოდ ენისა და ლიტერატურული პროცესების ღრმად შესწავლით. თავად ის ფაქტი, რომ ანგლისტიკის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამებზე ყოველთვის დიდი კონკურსია, მეტყველებს იმაზე, რომ მეცნიერული კვლევის ინტერესი ახალგაზრდობაში მაღალია. მოდით, საუბარი ასე დავასრულოთ: ჩემს გვერდით უკვე მუშაობენ ჩემივე გაზრდილი ,,ლიტერატურის სიყვარულით მოწამლული'' ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც დარწმუნებული ვარ, ამ ,,საწამლავს'' წარმატებით გაავრცელებენ.

# 2014 წლის სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციების ანგარიში

*მიმდინარე წელს, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით, რამდენიმე სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიცია ჩატარდა, რომლის დროსაც უნივერსიტეტის სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების მიერ არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა განხორციელდა. 19 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა და პროფესორთა 2014 წლის სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციების ანგარიშის მოსმენა გაიმართა, სადაც ექსპედიციის ხელმძღვანელებმა და სტუდენტებმა მიმდინარე წელს გამოვლენილ უახლეს აღმოჩენებზე ისაუბრეს.*

**შურთხია ბეროშვილი**

2014 წლის სასწავლო ექსპედიციების შედეგად სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს. ამჯერად მათი კვლევის არეალი, წინა წლებთან შედარებით, უფრო ფართო და კომპლექსური იყო: სვანეთის სასწავლო-სამეცნიერო არქეოლოგიური ექსპედიცია, არქეოლოგიური სასწავლო პრაქტიკა გრაკლიან გორაზე, ექსპედიცია ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიცია სამეგრელოში, ეთნოგრაფიული ექსპედიცია ზემო იმერეთში, ეთნოგრაფიული პრაქტიკა ქვემო ქართლში და სხვ. ექსპედიციის ანგარიშების შესახებ მოხსენებები პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, სტუდენტებმაც წარმოადგინეს.

თსუ-ის ემერიტუსი პროფესორის, გურამ გრიგოლიას აზრით, ის ფაქტი, რომ ანგარიშებს თავად სტუდენტები წარმოადგენენ, ერთგვარი სიახლეა და მას თავისი დადებითი მხარეც აქვს. „გასული წელი ჩვენი მიმართულებისთვის საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა, მრავალი საინტერესო ფაქტი გამოვლინდა. მისასალმებელია, რომ ჩვენ დღეს თამამად ვანდობთ ჩვენს სტუდენტებს ანგარიშების მომზადებას, რაც ჩემი სტუდენტობის დროს წარმოუდგენელი იყო. თუმცა, როგორც ჩანს, ეს მომგებიანი და სასარგებლოა ორივე მხარისთვის, სტუდენტს მეტი პასუხისმებლობა აქვს და უფრო გულისხმიერად ეკიდება საქმეს“, — აღნიშნა გურამ გრიგოლიამ.

2014 წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიცია კვლავ სვანეთში განხორციელდა, რომელსაც თსუ-ის პროფესორი ზვიად კვიციანი ხელმძღვანელობდა. „2011 წლიდან პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტმა განახორციელა საველე ექსპედიციები სვანეთში. ექსპედიციის მიზანი გახლდათ სვანეთის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, ასევე სადაზვერვო არქეოლოგიური კვლევა-ძიება, სვანეთის აქამდე უცნობი მატერიალური ძეგლების გამომზეურება. საველე სამუშაოები გაგრძელდა 2012–2013 წლებშიც. ამ დროიდან მოყოლებული, უკვე მეოთხე სეზონია, ძალიან მნიშვნელოვანი და უნიკალური აღმოჩენები გვაქვს. 2011-2014 წლებში ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ (დირექტორი, პროფ. ვ. ლიჩელი), არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტთა მონაწილეობით, განახლდა სვანეთის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციები (ხელმძღვანელი პროფ. ზ.კვიციანი). კონკრეტულ მიზანს წარმოადგენდა უცნობი მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლენა და აღნუსხვა სვანეთის ტერიტორიაზე სადაზვერვო კვლევა-ძიების შედეგად დღემდე; ადრე მიკვლეულ კლასიკური ხანის ძეგლებზე (ზედა მაღრი, იფარი, ბეჩო), ე.წ. ზარაფხანების ადგილებზე დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება.

2014 წლის ივლისში ექსპედიციის მიერ გაგრძელდა წინა წელს ხუდონჰესის მშენებლობის ზონაში დაწყებული არქეოლოგიური სამუშაოები. ასევე მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში, ჭუბერში, იფარში, ეცერში, ბეჩოში, ცხუმარში გაგრძელდა ძეგლების გამოვლენა-აღნუსხვა. დეტალურად შევისწავლეთ აღნიშნული მიკრორეგიონები და დაფიქსირდა რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი. გაიწმინდა ეცერის თემის სოფელ ცალანარის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია. მოხდა ნანგრევებში აღმოჩენილი ლაპიდარული წარწერებისა და არქეოლოგიური არტეფაქტების გამოვლენა და შესწავლა.

ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, გასულ წელს ამ ხეობაში ვაწარმოებდით არქეოლოგიურ გათხრებს. გადავწყვიტეთ, წელსაც გაგვეგრძელებინა არქეოლოგიური სამუშაოები ჭუბერის ხეობის სოფლებში ქვემო ლახამი, ზედა ლახამი, ქვემო მარღი და ზედა მარღი. როგორც აღვნიშნეთ, ხუდონჰესის ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ შესწავლილ დატბორვის ზონაში გაითხარა 10-მდე არქეოლოგიური ძეგლი, მიმდინარე წელს გათხრები (დაზვერვები) გავაგრძელეთ დატბორვის მიმდებარე ტერიტორიებზე.

ჩატარებული ინტენსიური ძიების შედეგად, მივაკვლიეთ ქვემოთ მოტანილი სპილენძისა და ბრინჯაოს ნივთების აღმოჩენის ადგილს. ეს არის მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის თემი, ადგილი — ქვემო ლუჰა. ლუჰას კოლექცია აღმოჩნდა 1984 წელს მდ. ენგურში (მარჯვენა სანაპირო) ადგილობრივი მცხოვრების, გივი დადეშქელიანის მიერ. კოლექციაში შედის: სპილენძის ყუამილიანი ცული, სპილენძის სატევარი, სპილენძის საკინძი და ბრინჯაოს შუბისპირი. სპილენძის ნივთები ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ სპილენძის უყუნწო სატევრის აღმოჩენა პირველი შემთხვევაა საქართველოში. დღემდე მდინარე ენგურში სხვადასხვა პერიოდის ორასზე მეტი არტეფაქტია აღმოჩენილი. ჩვენ გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ აღნიშნული ნივთები საკულტო-რელიგიური ხასიათისაა. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ არტეფაქტების აღმოჩენის ადგილებში მდინარე ენგურის ნაპირებზე დასტურდება ეკლესიები და ძველი ნაეკლესიარის ნაშთები, რომელიც, შესაძლოა, აიგო სწორედ ისეთ ტერიტორიაზე, სადაც, სპილენძ-ბრინჯაოს ინვენტარის წყალში გადაყრით, უძველესი საკულტო-სარიტუალო პროცესია სრულდებოდა.

ამ ეტაპზე ჩვენი პროექტის ფარგლებში ჩვენ შევძელით, რომ გაგვეგრძელებინა პროფესორ შოთა ჩართოლანის მიერ დაწყებული თანამედროვე — დღევანდელი სვანეთის (ენგურისა და ცხენისწყლის ხეობების) არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხისა და არქეოლოგიური რუქის შევსება და განთავსება ინტერნეტ სივრცეში.

სამომავლოდ ჩვენი კვლევის მიზანია, გავაკეთოთ ისტორიული სვანეთის არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხა თავისი რუქით.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციებში ყოველწლიურად თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა მიმართულების სტუდენტი მონაწილეობს, რომლებიც პროფესორებთან ერთად ამზადებენ სამეცნიერო-საველე ანგარიშებს, სწავლობენ პასპორტიზაციას, საველე დღიურის წარმოებას“, — აღნიშნა ზვიად კვიციანმა.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, მნიშვნელოვანი იყო გრაკლიანის გორის ექსპედიცია, რომელიც თსუ-ის პროფესორის, ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით განხორციელდა. გურამ გრიგოლიას თქმით, გრაკლიანი გორა ტერასებზე წარმოდგენილი ნამოსახლარია, რომლის ხნოვანება დაახლოებით მილიონ ნახევარი წლით შეიძლება განისაზღვოს. „გრაკლიანი გორა მართლაც მრავალმხრივ დიდებული ძეგლია, აქ არის აღმოჩენილი ერთ-ერთი უძველესი ადამიანის ნაკვალევი. ეს ქრესტომათიული ხასიათის ძეგლია, რომელიც ჩვენი სტუდენტების სამჭედლოა, მათი აღზრდა-განვითარების, საველე კვლევა-ძიების მეთოდიკის დაუფლების საქმეში“, — აღნიშნა გურამ გრიგოლიამ.

საინტერესო იყო თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის ნინო აბესაძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში აჭარაში მცხოვრები აფხაზი მოსახლეობის ეთნოლინგვისტური კვლევის შესახებ. „ჩვენი ექსპედიციის მიზანი იყო აჭარაში მცხოვრები აფხაზების ტრადიციების, მათი ლექსიკური და ზეპირი მასალის შეგროვება და ანალიზის გაკეთება, თუ რა განსხვავებაა, ლინგვისტური თვალსაზრისით, სალიტერატურო აფხაზურსა და აჭარაში მცხოვრები აფხაზების მეტყველებას შორის. კვლევის პროცესში განსაკუთრებით დაგვაინტერესა რელიგიური სინკრეტიზმის შემთხვევებმა, რომელიც ქრისტიანული და მუსლიმური რელიგიების შერწყმას გულისხმობს, “ — აღნიშნა ნინო აბესაძემ.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ექსპედიცია განხორციელდა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში და ტრაპიზონში, რომელსაც პროფესორები ნინო სილაგაძე და ზაზა სხირტლაძე ხელმძღვანელობდნენ.

„ჩვენი ექსპედიცია მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ სტუდენტებს საშუალება გვქონდა, გავცნობოდით ქართულ ისტორიულ ძეგლებს, რომელიც ამ მხარეში მდებარეობს, აგრეთვე ბიზანტიური კულტურის ძეგლებსაც. ზაზა სხირტლაძესთან ერთად შევისწავლეთ ტაძრების მოხატულობა. ეს იყო ძალიან ემოციური მოგზაურობა. ექსპედიციას არ ჰქონდა ერთი კონკრეტული მიზანი, თითოეული სტუდენტი სხვადასხვა ძეგლზე ვმუშაობდით და ვამზადებდით მოხსენებებს. უახლოეს მომავალში იგეგმება შიდა საექსპედიციო ანგარიშის მომზადება და კრებულად გამოცემა“, — აღნიშნა თსუ-ის ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა მარიტა სახლთხუციშვილმა.

აღსანიშნავია, რომ წელს თსუ-ის ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ მოეწყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ექსპედიცია ზემო იმერეთში, ეთნოგრაფიული პრაქტიკა მცხეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აზერბაიჯანულ მოსახლეობაში, ნაზარბაევის უნივერსიტეტთან ერთობლივი სტუდენტური საველე ექსპედიცია აჭარის რეგიონში და ეთნოგრაფიული პრაქტიკა ქვემო ქართლში.

თსუ-ის პროფესორის, როლანდ თოფჩიშვილის ხელმძღვანელობით, ექსპედიცია მოეწყო საჩხერის რაიონში, რომელშიც მონაწილეობდნენ დოქტორანტები, მაგისტრანტები, ბაკალავრები, რომლის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული კულტურის შესწავლა და ამავე დროს, თანამედროვე ყოფა. „მოგეხსენებათ, რომ ეთნოლოგია მხოლოდ წარსული კულტურით არ არის დაინტერესებული და თანამედროვე ვითარებასაც იკვლევს. სხვა ქვეყნებში, საერთოდ, დიდი გასაქანი აქვს ეთნოლოგიას, რომელიც ხელისუფლებას თავისი რეკომენდაციებით ეხმარება. იმედია, ჩვენც დაგვიდგება ასეთი დრო. ჩვენ შევისწავლეთ ზემო იმერეთის ეთნოდემოგრაფიული პრობლემები და მათი ტრადიციები. სტუდენტები მუშაობდნენ ძველ და თანამედროვე მიგრაციის პროცესებზე. შედეგებით კმაყოფილები ვართ. ველზე მუშაობა ძალზე მნიშვნელვანია. წლის ბოლოს გამოვცემთ კრებულს „ეთნოლოგ სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომები“, სადაც აისახება ექსპედიციის შედეგები და ნაშრომებს სათანადო ანალიზი გაუკეთდება, “ — აღნიშნა როლანდ თოფჩიშვილმა.

ასევე აღინიშნა, რომ სენაკის რაიონში განხორციელდა ექსპედიცია, რომლის ანგარიში: „ნოქალაქევის ისტორიული გეოგრაფიული „ქვეყანა“, დოქტორანტმა აკაკი ჩიქობავამ წარმოადგინა. „ექსპედიცია ემსახურებოდა იმ ცოდნის გაღრმავებას, რასაც სტუდენტები ლექციებზე იღებენ, რადგან თვალსაჩინოებას დიდი მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სტუდენტს სურვილი აქვს, კვლევები თავიანთ სადოქტორო თუ საბაკალავრო ნაშრომების დაცვისას გამოიყენონ,“ — აღნიშნა აკაკი ჩიქობავამ.

ღონისძიებაზე ასევე წარმოდგენილი იყო სოფელ ხანის (ზემო იმერეთი) ფოლკლორული ექსპედიციის ანგარიში და სვანეთის ექსპედიციის („M9 კურთხევანის ფრაგმენტის“) შესახებ.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტი მომავალ წელსაც მნიშვნელოვან სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციების განხორციელებას გეგმავს, რაც ახალი აღმოჩენების დასაბამი გახდება.

იუბილე

# ნოდარ ცინცაძეს 85 წელი შეუსრულდა

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებულ მოღვაწეს, მსოფლიოს პლაზმის ფიზიკის საბჭოსა და ჰიროსიმას უნივერსიტეტის საპატიო წევრს ნოდარ ცინცაძეს 85 წელი შეუსრულდა.*

*პროფესორმა ნოდარ ცინცაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში თანამედროვე ფიზიკის უმნიშვნელოვანეს დარგს — პლაზმის ფიზიკას და პირველხარისხოვანი შედეგებით ფუნდამენტური წვლილი შეიტანა მის განვითარებაში. ამ საკითხის შესწავლას ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში 1960 წელს შეუდგნენ, როცა იქ პლაზმური ფიზიკის განყოფილება შეიქმნა. სწორედ ამ განყოფილებას, დაარსების დღიდან, ბატონი ნოდარ ცინცაძე ხელმძღვანელობს.*

*გასული საუკუნის 70-იან წლებში, მაშინ როცა ძლიერი ლაზერების უახლოეს მომავალში შექმნის პერსპექტივაც კი არ იყო, ცინცაძისა და მისი გუნდის მიერ ჩატარებულმა ინტენსიურმა სამუშაოებმა ქართველ მეცნიერებს მსოფლიო მასშტაბის უპირობო პირველობა დაუმკვიდრა. იმ დროს შემუშავებული თეორია, შემდგომში კიდევ უფრო გაიშალა და დაიხვენა. კერძოდ, ნოდარ ცინცაძისა და მისი მოწაფეების მიერ პირველად იყო განსაზღვრული და ნაჩვენები, რომ „ძლიერი რელატივისტური ელექტრომაგნიტური ტალღების მკვრივ პლაზმასთან ურთიერთქმედებისას შესაძლებელია პლაზმის გაცხელებისას ჩამოყალიბდეს სოლიტონური ტალღები, როცა ველის ლოკალიზების არეში ხდება სიმკვრივის ზრდა“. ამ ნაშრომში ნაჩვენები იყო სრულიად ახალი ფიზიკა.*

*შრომის გამოქვეყნების შემდეგ, 1970 წლიდანვე, დაიწყო მისი ინტენსიური მიწვევა აშშ-ში, იაპონიასა და ევროპის წამყვან ქვეყნებში. ამერიკაში ჯერ კიდევ მეცნიერის ჩასვლამდე, ხდებოდა ამ თეორიის დამუშავება და, მასზე დაყრდნობით, ახალი შრომების გამოქვეყნება ისეთ უნივერსიტეტებში, როგორიც არის პრინსტონი, ბერკლი, კორნელი, ლოს-ანჯელესი... ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტში ყოფნისას ცნობილ მეცნიერებთან — ჯ. დრეიკთან და ვ.ს. ლიისთან ერთობლივად გამოქვეყნდა ნოდარ ცინცაძის ორი შრომა ყველაზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.*

*ნოდარ ცინცაძის სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც განხილულია რელატივისტური ინტენსივობის გამოსხივების ზეგავლენა პლაზმაზე, საერთო ჯამში, გამოქვეყნებული ან მოხსენიებულია მრავალ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალსა და კონფერენციაზე და მათ გააჩნია მაღალი ციტირების ინდექსი.*

*აკადემიკოსი, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პლაზმის ფიზიკის ქვემიმართულების სრული პროფესორი ნოდარ ცინცაძე გახლავთ 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მასვე ეკუთვნის ორი მონოგრაფიაც: „Релятивистские нелинейные эффекты в плазме“ “ (1989წ.) და „10th European School on Plasma Physics“ (World Scientific, 1991წ). მსოფლიოს პლაზმის ფიზიკის საბჭოს წევრს, მიღებული აქვს ხვარაზმის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია და ორი ღირსების ორდენი.*

*მსოფლიოში ესოდენ აღიარებული ქართველი მეცნიერის განვლილი ცხოვრებაც ნიშანდობლივი და სამაგალითოა: სოლიდური ასაკის მიუხედავად, იგი კვლავ ენერგიულად, მაღალნაყოფიერად იღვწის სამეცნიერო-პედაგოგიურ თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე. სწორედ ასეთ მეცნიერებს ეყრდნობა დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ჯეროვან პატივს მიაგებს ქართული მეცნიერების კორიფეებს. პროფესორ ნოდარ ცინცაძის ცხოვრება და მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ მიაღწიო დასახულ მიზანს, როგორ იღვაწო, რომ საერთაშორისო სამეცნიერო წრეებმა გაღიარონ, მსოფლიო დონის მეცნიერებმა რჩევა გკითხონ და შენი მოსაზრება და შეხედულება გაიზიარონ. ასეთი დონის მოაზროვნეები თანამედროვე ქართულ მეცნიერებას თითზე ჩამოსათვლელი ჰყავს და ჩვენი ვალია, თითოეულ მათგანს გავუფრთხილდეთ და დავაფასოთ.*

*ახლა კი, თავად პროფესორ* ***ნოდარ ცინცაძეს*** *მოვუსმინოთ, რომელიც საინტერესო ფაქტებს იხსენებს საკუთარი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ:*

— თბილისში დავიბადე და გავიზარდე. უამრავი ადამიანი მიცნობს... არავის ახსოვს, ცხოვრებაში თუნდაც პატარა ტყუილი მეთქვას, ან რამე უსამართლობა ჩამედინოს. თბილისის მე-19 საშუალო (ვაჟთა) სკოლა წარჩინებით დავამთავრე. თავიდან ქიმიკოსობა მიზიდავდა. მამაჩემის ბიძაშვილი გახლდათ ცნობილი ახალგაზრდა ქიმიკოსი შალვა ცინცაძე, რომელიც აბსურდული ბრალდებით 1937 წელს დახვრიტეს. მას სორბონისა და ამერიკის უნივერსიტეტებში ჰქონდა დისერტაციები დაცული და 6 უცხო ენა იცოდა ბრწყინვალედ. ოჯახში ხშირად საუბრობდნენ მისი ნიჭიერების შესახებ. ამან გადამაწყვეტინა, მეც ქიმიკოსი გავმხდარიყავი, მაგრამ მეგობრებმა დამიყოლიეს და ასე გავხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც 1955 წელს წარჩინებით დავამთავრე. ახლა ამ ნაბიჯს ნამდვილად არ ვნანობ. სწავლის გასაგრძელებლად ხარკოვის უნივერსიტეტში წავედი. ხარკოველი მეცნიერის, აკადემიკოს ახიეზერის წიგნი წავიკითხე. იქ განხილულმა საკითხებმა ძალიან დამაინტერესა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ამ საკითხების ქართველი სპეციალისტი ქვეყანაში არ გვყავდა. ეს ფიზიკის მეცნიერებაში ახალი სიტყვა იყო. ასე აღმოვჩნდი ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. ერთხელ უნივერსიტეტის რექტორმა მთხოვა, პლაზმური ფიზიკის საკითხებზე მემუშავა, ინგლისიდან მეცნიერთა ჯგუფს ელოდებოდა, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ამ საკითხით... მართლაც, დავწერე შრომა, რომელიც ინგლისელების ჩამოსვლამდე დაიბეჭდა. ნაშრომმა დიდი მოწონება დაიმსახურა. მაშინ საქართველოში პლაზმური ფიზიკის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ტერმინიც კი არ ჰქონდათ გაგონილი. ამ საკითხს მეორე შრომაც მივუძღვენი. ინგლისელები ძალიან დაინტერესდნენ და ინგლისშიც კი წაიღეს.

ერთი წლის შემდეგ, 1959 წელს, გამოდის ცერნის მთავარი თეორეტიკოსის, უდიდესი მეცნიერის, ლინხარტის შრომა, რომელიც პრაქტიკულად, ჩემს შრომებზეა აგებული. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი რამ — დიდი მეცნიერი ჩემი ნაშრომიდან მარტო ციტირებას კი არ აკეთებდა, არამედ დეტალურად განიხილავდა მას.

ამ ნაშრომების პოპულარიზაციის შემდეგ, ინგლისის დედოფლისგან მომდის მოწვევა, როგორც დედოფლის პირადმა სტუმარმა, მონაწილეობა მივიღო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. დედოფლის მიერ საბჭოთა კავშირიდან სულ 4 მეცნიერი ვიყავით მიწვეული. ოთხივე მეცნიერი დიდი პატივით მიგვიღეს. ამ დროს დაახლოებით 29 წლის ვიყავი.

1964-65 წლებში დაბეჭდილი შრომების გამო საბჭოთა კავშირში გამოცემულ ორტომეულში შემიტანეს, სადაც იხსენიებიან მეცნიერები, რომლებმაც საბჭოთა მეცნიერება განავითარეს. საქართველოდან მხოლოდ სამი ფიზიკოსია შესული: ელეფთერ ანდრონიკაშვილი, გოგი ჩიქოვანი და მე. ამ წიგნში ასევე მოხსენიებულია ნიკო მარი, ივანე ბერიტაშვილი და კიდევ რამდენიმე მათემატიკოსი.

**— საქართველოში როდის დაბრუნდით. როგორც ცნობილია, 1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში, თქვენი თაოსნობით, პლაზმის ფიზიკის განყოფილება ჩამოყალიბდა...**

— საქართველოში ძალით ჩამომიყვანეს, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის, ელეფთერ ანდრონიკაშვილის დაჟინებული თხოვნით ჩამოვედი. არ მინდოდა ხარკოვის უნივერსიტეტის დატოვება, რადგან საკმარისად მომზადებული არ ვიყავი. ფიზიკის ინსტიტუტში კი, პლაზმური ფიზიკა ჯერ კიდევ არ იყო დანერგილი.

აქ რომ ჩამოვედი, ფიზიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების გამგემ, ვაგან მამასახლისოვმა ორი ახალგაზრდა მომამაგრა, ვისთვისაც უნდა მესწავლებინა, რა იყო პლაზმა. ჩემი პირველი მოწაფეები ამ დარგში გახლდათ ჯუმბერ ლომინაძე და ავთო პატარაია. ერთ წელიწადში მათ არა მარტო პლაზმა შევასწავლე, შრომებიც კი გამოვეცით. 1976 წლიდან თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტზე გაიხსნა სპეციალობა „პლაზმის ფიზიკა“ და ინსტიტუტის პლაზმის ფიზიკის განყოფილება გახდა, იმავდროულად, უნივერსიტეტის საბაზო კათედრა. მოწაფეების რიცხვიც გაიზარდა.

**— 1970 წელს ფიზიკის ინსტიტუტის თაოსნობით დაარსდა და ორ წელიწადში ერთხელ იმართებოდა თბილისის საერთაშორისო სკოლა „პლაზმის ფიზიკასა და მართვად თერმობირთვულ სინთეზში“. ასეთი სულ 10 სკოლა გაიმართა, ბოლო კი — 1990 წელს. 2007 წელს ჩატარდა კონფერენცია, რომელსაც ეს ტრადიცია უნდა აღედგინა, დღეს რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით?**

— ეს სკოლა ოფიციალურად არ დახურულა. საბჭოთა კავშირის დროს ჩამოყალიბდა პრობლემური ბიურო პლაზმურ ფიზიკაში, სადაც 9 მეცნიერი მოღვაწეობდა საბჭოთა კავშირიდან. ჩემი ხელმძღვანელი, რომელიც ამ დარგში შრომებს აქვეყნებდა, საბჭოში არ იყო შეყვანილი, მაგრამ ვიყავი მე. სწორედ აქ შემომთავაზა საბჭოს ხელმძღვანელმა, საბჭოთა კავშირის აკადემიის აკადემიკოს მდივანმა ლ. არციმოვიჩმა საერთაშორისო სკოლა დაგვეარსებინა: „ევროპას პლაზმის სკოლა არა აქვს და თუ თქვენ ამ სკოლის დაარსების ინიციატივით გამოხვალთ, ევროპული მხარე მაშინვე გამოგყვებათო“. მართლაც, 2007 წელს ჩავატარეთ საერთაშორისო კონფერენცია, სადაც სკოლის აღდგენა მოვითხოვეთ. დღეს რომ ეს სკოლა აღარ მოქმედებს, ფინანსების არქონის ბრალია. ადრე საორგანიზაციო თანხა რუსეთიდან მოგვქონდა. დღეს კი ამის საშუალება არ გვაქვს.

**— ბატონო ნოდარ, რა გამოარჩევს ქართულ სამეცნიერო სკოლას უცხოეთის სამეცნიერო სკოლებისგან?**

— ქართული სამეცნიერო სკოლის დიდი დამსახურებაა, რომ ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის რექტორი საიდუმლოდ მეკითხება, ამა და ამ მეცნიერის პროფესორად არჩევა გვინდა და თქვენ რას ფიქრობთო. ასეთი მეორე შემთხვევაც მქონდა იმავე უნივერსიტეტიდან. ეს ნიშნავს რამეს, თუ არა? ამერიკის ფიზიკის ინსტიტუტი ყველაზე მაღალი რეიტინგის ჟურნალებს უშვებს ფიზიკაში. ჟურნალის რედაქტორი მწერს, საუკუნის 20 საუკეთესო მეცნიერულ ნაშრომში თქვენი ნაშრომიც შევიდაო.

დაახლოებით 10 წლის განმავლობაში ვიყავი ასპირანტებისა და დოქტორანტების კოლეჯის დირექტორი იტალიაში, აბდუსალამის ფიზიკის საერთაშორისო ცენტრში. ეს იყო 1983-93 წლები. ამ სკოლის მეშვეობით ბევრ ქართველ ახალგაზრდა მეცნიერს გავუხსენი გზა. ესენი არიან საქვეყნოდ აღიარებული პროფესორები: გია დვალი, ვაჟა ბერეჟიანი და სხვები. სწორედ აქ მთხოვა ირანის განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა, ირანში პლაზმური ფიზიკა განმევითარებინა. მართლაც, ჩავედი ირანში და 3 წელიწადში შვიდმა ირანელმა ახალგაზრდამ დაიცვა დისერტაცია პლაზმურ ფიზიკაში. ასე დავნერგე ირანში ახალი მიმართულება. კოლუმბიის უნივერსიტეტშიც ვკითხულობდი სპეციალურ ლექციებს, ბელგიაშიც. თუ ჩემს ბიბლიოგრაფიას გადავხედავთ, 100-ზე მეტი შრომა მაქვს გამოქვეყნებული უცხოელ კოლეგებთან თანაავტორობით.

დღეს საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში ბევრი ქართველი ახალგაზრდა მეცნიერი მოღვაწეობს, მაგრამ ასეთი ყოფნა იქ, დიდ წარმატებად არ მიმაჩნია. თუ მუშაობ, შენმა ნამუშევარმა უნდა „იყვიროს“ კიდეც! „ყვირილი“ კი იმას ნიშნავს, რომ შენი მოსაზრების ციტირება უნდა მოახდინონ სხვა მეცნიერებმა. ეს არის ნამდვილი აღიარება! ისე სამეცნიერო დაწესებულებაში მუშაობა არაფერს ნიშნავს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართველი მეცნიერიდან მოდიოდეს იდეა და მარტო ტექნიკოსად არ იქცეს იგი. ასეთი მოღვაწეობით ქართული მეცნიერება ვერ განვითარდება.

**— როგორ უნდა განვითარდეს ქართული ეროვნული მეცნიერება სწორი კუთხით?**

— მეცნიერებას ადამიანი ავითარებს და ეს ადამიანი მეცნიერად იბადება. თუ ადამიანს შიგნით არ აქვს ჩადებული ეს კოდი, თუ დღე და ღამეს არ ასწორებს შრომით, არ აზროვნებს, არ ფიქრობს, ისე ღირებულს ვერაფერს შექმნის. ამ ხნის კაცი ვარ და გასულ წელს 4 შრომა გამოვაქვეყნე, აქედან 3 ცნობილ ამერიკულ, რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა...

**— დღეს ბევრს საუბრობენ მეცნიერების კომერციალიზაციაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მეცნიერების განვითარებას...**

— ამის განხორციელებას მეცნიერული ტექნოლოგიის შექმნა, გამოგონება სჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვყავს იმ დონის მეცნიერი, რომელიც ამას მოახერხებს. არც დანადგარები გვაქვს. ერთი პატარა ტექნოლოგიის დანერგვით შეიძლება მილიონები მიიღო. ამისათვის მეცნიერების ყველა დარგის განვითარება კი არ არის საჭირო, არამედ მხოლოდ იმ დარგების, რომლებიც მოგებას მოგვცემს, რომელსაც მეტი პოტენციალი გააჩნია. თუ დარგს პოტენციალი არ გააჩნია, თუ წლების განმავლობაში რამე ღირებული არ შეუქმნია, რატომ უნდა დავაფინანსოთ? უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც ამას გამოიკვლევს და საჭირო დასკვნებსაც გამოიტანს... მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, 15-20 წლის შემდეგ საქართველოში განათლება მოისპობა.

**— რა რჩევას მისცემთ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან, ძალები მეცნიერებაში მოსინჯონ?**

— ფიზიკოსმა მოვლენა ჯერ ფიზიკურად უნდა გაიაზროს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუფარდოს მას შესაფერისი მათემატიკა. მეცნიერი სულ უნდა აზროვნებდეს, ეძებდეს, ფიქრობდეს... ნიჭიერი ახალგაზრდები მოდიან და ჩემი ვალია, მათ ყველაფერი მივცე, რაც გამოცდილებით დავაგროვე.

*მოამზადა* **თამარ დადიანმა**

# შეხვედრის „საბა-ბი“ და რატი ამაღლობელის პოეტური გარემოს დღევანდელი აღქმა

*ინტერნეტ სამყაროში წიგნთან შეხვედრის ახალი „საბაბი“ გაჩნდა. ინოვაციური ვებ–სივრცე ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“, რომელიც 2012 წელს დაფუძნდა, საზოგადოებას სთავაზობს თანამედროვე ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების ელექტრონულ ვერსიებს. როგორ უნდა „შევიძინოთ“ ელექტრონული წიგნები და როგორ შევქმნათ საკუთარი ბიბლიოთეკა? ამის შესახებ ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ლიტერატურული პროექტის, „შეხვედრის საბა-ბი“—ს ორგანიზატორებმა გააცნეს. პოეტმა რატი ამაღლობელმა პროექტის ფარგლებში საჯარო ლექცია „პოეზია, როგორც თავისუფლებაში ვარჯიში“ წაიკითხა.*

**შურთხია ბეროშვილი**

ელექტრონული სახლის — „საბას“ დირექტორის, ირინა ჯავახაძის ინფორმაციით, ყველა შემოქმედებითად მოტივირებულ სტუდენტს საშუალება ექნება, დარეგისტრირდეს ელგამომცემლად, განათავსოს და გაყიდოს თავისი ნაწარმოებები saba.com.ge-ზე, რომელსაც ამჟამად 70 0000 მდე მომხმარებელი ჰყავს. „საბა“ თავადვე იზრუნებს ტექსტის რედაქტირებასა და პოპულარიზაციაზე. „გარდა ამისა, ელექტრონული წიგნები უფრო იაფია ნაბეჭდ წიგნთან შედარებით და მათ წაკითხვას შეძლებთ ინტერნეტის გარეშეც. ამასთან, ჩვენ დავეხმარებით ახალგაზრდებს ტექსტის რედაქტირებასა და მათ პოპულარიზაციაში,“ — განაცხადა ირინა ჯავახაძემ.

„ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა, „დიდი მეხსიერებაა“, ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“ კი თანამედროვე ქართული ლიტერატურის 13 წლიანი ელექტროციფრული მეხსიერებაა. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელიც ბოლო 13 წლის წინ დაიწერა და წარდგენილი იყო ლიტერატურულ პრემია „საბაზე“, ამ ვებ-გვერდზეა თავმოყრილი. თავად ამ პრემიის დაარსებაც, თავისთავად, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან საბჭოთა კავშირის დროს მხოლოდ სახელმწიფო პრემიები არსებობდა. ამ პროექტის საშუალებით საზოგადოებას საშუალება მიეცა — თანამედროვე ლიტერატურული „მოსავალის“ მიხედვით შეგვეფასებინა მოვლენები,“ — განაცხადა პოეტმა რატი ამაღლობელმა.

რატი ამაღლობელის აზრით, მოსაზრება, რომ, თითქოს, თანამედროვე ახალგაზრდები არ კითხულობენ და წიგნი „მოძველდა“, მცდარია, თუმცა, თანამედროვე ეპოქაში ქაღალდზე დაწერილი წიგნი ხშირად მოუხერხებელია. „ოდესღაც ადამიანი თავის ნააზრევს ქვაზე წერდა, შემდეგ ეტრატზე, მერე ფურცელზე, თანამედროვე სამყაროში, ჩვენ გვინდა თუ არ გვინდა, წიგნი „ელექტრო“ გახდა, ახლა შესაძლებელია მისი ჩამოტვირთვა თქვენს სმარტფონებში, ტელეფონებში, თქვენ ყველგან შეგიძლიათ ეზიაროთ დიდ ხელოვნებას — მგზავრობისას, ლექციებს შორის შესვენებებზე და სხვა. ჩვენი გამოწვევა სწორედ ეს იყო, რომ ლიტერატურა შემოგვეტანა ყველგან, სადაც, თუნდაც ერთი შეხედვით, მას არაფერი „ესაქმება“. ელექტრონული წიგნები ლიტერატურის მომავალია. „საბა“ მაქსიმალურად ცდილობს, ფეხი აუწყოს დროის მოთხოვნას.

პროექტის ორგანიზატორების ინფორმაციით, დღეს ელექტრონული წიგნების გაყიდვამ საგრძნობლად გადაასწრო ნაბეჭდი წიგნების გაყიდვას. გარდა ამისა, ამ ვებ-გვერდზე დარეგისტრირებულ ავტორს შეუძლია სახლიდან გაუსვლელად მოიპოვოს პოპულარობა და „საბას“ კონკურსში მონაწილეობის უფლება.

რატი ამაღლობელმა სტუდენტებთან პოეზიის დანიშნულებაზეც ისაუბრა: „თანამედროვე სამყაროში ძალიან რთულია პოეზიაზე საუბარი. დღეს პოეტებს ძალიან არაპოეტურ სამყაროში უწევთ მოღვაწეობა — მან უნდა დაფაროს ბანკის კრედიტები, შეინახოს ოჯახი, ამიტომ მათი პოეტური გარემო საკმაოდ პროზაული და „თხრობითია“. პოეტების ქვეყანაში პოეტობა ხშირად რაციონალურად არც აღიქმება. პოეზიას არაფერი აქვს საერთო იმასთან, რაც სკოლაში ისწავლებოდა. თანამედროვე სამყაროში პოეზია უნდა „მოიპოვოს“ ადამიანმა, ეს არ არის ფუფუნება, რადგან, როდესაც ჩვენ პოეტური აზროვნებით განვიმსჭვალებით, თითქოს თანამედროვე ყოფა გვთრგუნავს, თითქოს აწმყო ხელიდან გვეცლება. ჩნდება კითხვა, რა საჭიროა ეს მისტიური, არარაციონალური ელემენტი, რასაც ჩვენ პოეზიას ვეძახით? თანამედროვე პოეზია აუტიზირებული, კამერული და უფრო პირადი გახდა, მასში აღარ ისმის ისე ძალოვნად ის ხმები, რომელიც ესმოდა, მაგალითად, შოთა რუსთაველს, როდესაც იგი „ვეფხისტყაოსანს“ წერდა. ის „სიმშრალე“, რომელიც ჩვენს ეპოქას გააჩნია, აუხეშებს ადამიანს და საყვარელი ნაწარმოებების გარეშე ჩვენს გარშემო სრული უდაბნო ისადგურებს, ამიტომ პოეზია მუდმივად არსებობს ჩვენში“, — ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება პოეზიის მიმართ რატი ამაღლობელმა.

## გადაცემა ყველა უნივერსიტეტელისთვის

**უყურეთ შაბათს, 4 აპრილს, 17 საათზე** საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში გადაცემას **„უნივერსიტეტი“**

## ცნობისთვის

TV

თსუ-ის ვებ-გვერდზე TSU.EDU.GE მარჯვენა ქვედა კუთხეში დაემატა უნივერსიტეტის გადაცემების ვიდეოჩანაწერების გვერდის აღმნიშვნელი პიქტოგრამა. ამ ღილაკზე ხელის დაჭერით

**თქვენ შეგიძლიათ უყუროთ უნივერსიტეტის გადაცემებს**



მოგვწერეთ:
facebook.com
Tsu/თსუ გადაცემა – უნივერსიტეტი

| | |
|---|---|
| მთავარი რედაქტორი | ნინო კაკულია |
| მთავარი სპეციალისტი | მაია ტორაძე |
| ტექნიკური რედაქტორი | მანანა ჯურხაძე |
| ფოტოკორესპონდენტი | ანა ბოლქვაძე |
| კომპ. უზრუნველყოფა | ზაზა გულაშვილი |

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, შალვა აბზიანიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11°
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62